საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 ნოემბერი **ორშაბათი** 2011
№268 (13565) ფასი 80 თეთრი



# უველაფერი ირამალა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## ქართველები იტალიაში: ორმაგი მოგება, დუბლი

იტალიის ჩემპიონატში გუშინ ორმა „ქართულმა“ გუნდმა ითამაშა: „კანტუმ“ „აველინო“ 90:55 გაანადგურა, ხოლო „ვირტუსმა“ „ვარეზეს“ 74:63 აჯობა.

ორმაგი დუბლი შეასრულა ვირტუსელთა ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** - 14 ქულა, 12 მოხსნა.

„დაბლ-დაბლამდე“ ერთადერთი ქულა დააკლდა კანტუელ **გიორგი შერმადინს:** 9 ქულა, 11 მოხსნა. **მანუჩარ მარკოიშვილმა** კი გამარჯვებაში 8-ქულიანი წვლილი შეიტანა.

## შევთანხმდეთ: ჩვენ ერთი გვჭკივა, ოღონდ, დაივიწყეთ, რომ მე ამას ვილაც მაწერინებს...

დავით მუჯირის კიდევ ერთი ღია წერილი თემურ ქეცბაიას



# მე მჯერა მწამს საქართველო

დაა, მოდი, ვიკამათოთ საერთო საქმეზე

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

# რა მტკივა, რა მაწერინებს?

# სა-ქა-რთვე-ლო!

## დავით მუჯირის კიდევ ერთი ღია წერილი თემურ ქეცბაიას

7 ნოემბერს გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვის" სპეციალურ გამოშვებაში მიწვეული იყო საქართველოს ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია, რომელსაც სპორტული ჟურნალისტების კითხვებზე უნდა ეპასუხა. მონოლოგის რეჟიმში გამართულმა ე.წ. პრესკონფერენციამ, ჟურნალისტების კითხვებზე რესპონდენტის არაკონკრეტულმა, ხშირ შემთხვევაში სიცრუეზე აგებულმა და საწინააღმდეგო აზრის მქონეთა მიმართ დამცირებისკენ მიმართულმა პასუხებმა მაიძულა, კიდევ ერთხელ მიმემართა ბატონ თემურ ქეცბაიასთვის ღია წერილით. ამავდროულად, ნებისმიერ დროს მზად ვარ ჩემი აზრის სატელევიზიო სივრცეში გამოსათქმელად და ჯანსაღ, ობიექტურ გარემოში დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად.

ნაკრების მწვრთნელი იმ ფეხბურთელებს იძახებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს და იგი არის პასუხისმგებელი შედეგზე. მწვრთნელი არავითარ შემთხვევაში არ არის ვალდებული, გამოიძახოს რომელიმე ფეხბურთელი, მათ შორის მეც, თუ მიაჩნია, რომ იგი არ გამოადგება გუნდს. მეორე მხრივ კი, ვთვლი, რომ ყოველ ფეხბურთელს ისე უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა და ისე უნდა სურდეს ნაკრებში თამაში, რომ გული უნდა სწყდებოდეს, როდესაც ამის საშუალება არ ეძლევა. სამწუხაროდ, ჩემი ის ფრაზა, რომ მე გული დამწყდა, ნაკრებს რომ ვერ დავეხმარე, ზოგიერთის მიერ სხვანაირად იქნა აღქმული და ჩემი პირველი წერილის დაწერის მიზეზად პირადი წყენა იქნა მიჩნეული. არავითარ შემთხვევაში, მერწმუნეთ. ისე კი, ქართველ ფეხბურთელს გული რომ არ სწყდებოდეს ამ ფაქტზე, ის იქნებოდა ცუდი. ფეხბურთელი თუ თვლის, რომ ეკუთვნის და იმედიანად არის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწვრთნელმა იგი აუცილებლად უნდა გამოიძახოს ნაკრებში.

ის ეჭვები, რომ თითქოს მე ამას ვიღაც მაწერინებს ან ვიღაც „მიყენებს", ბატონო თემურ, უნდა დაივიწყოთ და საღი გონებით მიუდგეთ პრობლემას. თქვენ, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ქართული ფეხბურთის სახედ ითვლებით და ამგვარად აზრის გამოთქმა არ შეგშვენით. ამიტომ, როდესაც ასეთ არაკორექტულ განცხადებას აკეთებთ და ცილს მწამებთ, როგორც მინიმუმ, დამარწმუნებელი არგუმენტები უნდა წარმოადგინოთ. თქვენ აღნიშნეთ, რომ თითქოს მე ჩემს პირველ წერილში შევეხე თქვენს პიროვნებას, რაც არანაირად არ იყო ჩემი მიზანი და ვერსად ჩემს წერილში ვერ აღმოაჩენთ თქვენს პიროვნულ შეურაცხყოფას. ჩემი აზრით, პრობლემა სწორედ ისაა, რომ თქვენ მიმართ მწვავე კრიტიკას და თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმას ვერ ჰგუობთ და შეურაცხყოფად აღიქვამთ. თქვენ, როგორც ფეხბურთელს, რა თქმა უნდა, დიდ პატივს გცემთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დღეს თქვენ, როგორც ნაკრების მწვრთნელს, სწორი გზით მიგყავთ გუნდი და რომ თქვენგან განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება არ მაქვს. ბატონო თემურ, თქვენ მხოლოდ იმაზე ლაპარაკობთ, რა და ვინ მამოძრავებდა ჩემი პირველი წერილის დაწერისას. ეს უფრო სტრატეგიულ ნაბიჯს ჰგავს, არ გსიამოვნებთ წერილში დასმული კითხვები და ამ ხერხით ცდილობთ, ფაქტებზე აგებული და საამკარაოზე გამოტანილი საჭირბოროტო საკითხები მეორეხარისხოვანი გახადოთ. არც არავის დაუპირისპირებია მუჯირი თქვენთვის და არც იგი გიპირისპირდებათ პირადად თქვენ! მუჯირი აკრიტიკებს გუნდის მართვის მეთოდებს, რომელსაც უპერსპექტივოდ მიიჩნევს და არგუმენტები მოჰყავს. ან რატომ გგონიათ, რომ მე ვინმეზე ნაკლებად მიყვარს ჩემი ქვეყანა და იმ სფეროზე, რომელშიც ვსაქმიანობ მთელი ჩემი ცხოვრება, არ გამაჩნია აზრის გამოთქმის უფლება?

თქვენ იმაზე თუ დაფიქრდით, რომ ჩემ მიმართ გამოთქმული ფრაზით, რომ ფეხბურთი ვერ ვითამაშე, მარტო მე კი არა, სხვა ქართველ ფეხბურთელებსაც აყენებთ შეურაცხყოფას? თქვენც ფეხბურთელი ბრძანდებოდით და კოლეგების მიმართ მეტი პატივისცემის გამოვლენა გმართებთ. საქართველოში უამრავი ფეხბურთელია. ყოველი მათგანი შრომობს, ცდილობს, უკეთესად ითამაშოს, კარგ გუნდში მოხვდეს, წარმატებული კარიერა გაიკეთოს და თავისი საყვარელი საქმით გამოადგეს საკუთარ ოჯახსა და ქვეყანას. რატომ ჩათვალეთ, რომ ის ათასობით ფეხბურთელი, რომლებსაც თქვენი დარი საფეხბურთო კარიერა ვერ გამოუვიდათ, არც ფეხბურთელები ვართ, არც პიროვნებები, ჩვენს შრომას ფასი არა აქვს და თქვენთან საუბრის და თქვენგან განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება არ გვაქვს? საქართველოს ნაკრებში არიან მოქმედი ფეხბურთელები, რომლებსაც თქვენთან შედარებით უფრო წარმატებული საკლუბო და სანაკრებო კარიერა გამოუვიდათ და ამჟამად თქვენს შეგირდებად ითვლებიან, თქვენ მიერ დამკვიდრებული სტანდარტებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ არც ერთმა მათგანმა თქვენი მითითებები ყურად არ უნდა იღოს და თქვენს აზრს პატივი არ უნდა სცეს. ყოველ მათგანს პირადად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, მათ ადამიანების შეფასების თქვენგან განსხვავებული კრიტერიუმები გააჩნიათ და, საბედნიეროდ, ასეთ უღირს საქციელს არც ერთი არ იკადრებს! თქვენივე ლოგიკით, თქვენ საერთოდ არ გაქვთ უფლება, მათ წინააღმდეგ აიმაღლოთ ხმა, ვინც 1981 წელს ქართულ ფეხბურთს ყველაზე დიდი წარმატება მოუტანა. არადა, ზუსტად მახსოვს, როგორი ტონით უსაყვედურეთ ამ თაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ამჟამინდელი ფედერაციის შტაბში არ არიან. თუ ასეთი უვარგისები არიან (იმიტომ, რომ აზრი არ გამოთქვეს მაშინ, როდესაც საჭირო იყო), ამგვარადვე შეგეძლოთ გაგეკრიტიკებინათ ფეხბურთის ფედერაციის მხარეს მყოფი იმავე თაობის წარმომადგენლები. ან თქვენ, პირადად, უკვე რამდენიმე წელიწადია, ვეტერანად ითვლებით და იქნებ, თქვენს თავსაც უსაყვედუროთ. გამოდის, რომ თქვენი აზრი და შეხედულებები სიტუაციიდან გამომდინარე იცვლება ხოლმე - უფროს თაობას სასტიკად აკრიტიკებთ უმოქმედობის გამო, ხოლო მე შეურაცხყოფას მაყენებთ, ხმის ამოღებას როგორ ბედავო. ჩემი აზრი აუცილებლად თქვენსას უნდა ემთხვეოდეს და მხოლოდ მაშინ ვარ მართალი? ვერ დაგეთანხმებით.




ჰიროშიმა, სადაც მე ვიმყოფებოდი მინისძვრის დროს, ეპიცენტრიდან 1.300 კილომეტრითაა დაშორებული. ის ფაქტი, რომ მე, ისევე, როგორც ქალაქის 1.200.000-მა მცხოვრებმა, ვერ შევიგრძენით ბიძგები, რომლებიც, საბედნიეროდ, არ იყო ჩემს ქალაქში, თქვენ ნამდვილად არ გაძლევთ იმის უფლებას, რომ პირდაპირ ეთერში ცინიკურად და აგდებულად ილაპარაკოთ ჩემზე. მით უმეტეს, ეს ნამდვილად არ არის დაკავშირებული იმ პრობლემებთან, რომლებზეც მე ვამახვილებ ყურადღებას და რომელ კითხვებზე პასუხსაც თქვენ თავს არიდებთ. ისევე, როგორც გოგიტა გოგუას ინტერვიუს მთავარ და მნიშვნელოვან საკითხს, სადაც ფეხბურთელმა განაცხადა, ისეთი შეურაცხყოფა მომაყენა მწვრთნელმა, იძულებული გავხდი, შეკრება დამეტოვებინაო. თქვენ კი თემას თავი აარიდეთ, კვლავ უარყოფთ კონფლიქტს, მისი ნაკრებიდან დათხოვნის მიზეზად ჩვენთვის კარგად ცნობილ თქვენეულ ვარიანტს გვთავაზობთ და გაიძახით, ჭორებზე კომენტარს არ ვაკეთებ, აქ საჭორაოდ არ ჩამოვსულვარო. თუმცა ჭორს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ ამ კონკრეტულ შემთხვევას, რადგან ფეხბურთელი თავად ლაპარაკობს. ვინ იტყუება? ქეცბაია თუ გოგუა? თუ ბატონი დომენტი სიჭინავა, რომელმაც სატელევიზიო ინტერვიუში აღნიშნა, გოგუა უყვიროდა ქეცბაიას, შენ თვალში ხომ არ გეპატარავებიო? კონფლიქტი რომ ნამდვილად იყო, ფაქტია და ამიტომაც არიდებთ თავს ამ თემაზე საუბარს. და ყველაზე სამწუხაროა, რომ სტუდიაში არ აღმოჩნდა ისეთი ჟურნალისტი, რომელიც მოითხოვდა შეკითხვებზე კონკრეტულ პასუხებს. ნუთუ გაცხარებულ რესპონდენტთან საკითხის მწვავედ დასმას ერიდებიან მიუხედავად იმისა, რომ პასუხები მათაც და გულშემატკივრებსაც ძალიან აინტერესებთ?

“ლატვიასთან ათწლეულის საუკეთესო მატჩი ვითამაშეთო”- რამდენიმეჯერ ბრძანეთ. გემოვნებაზე არ დავობენო, ამბობენ და ამიტომ დავას არც მე დავიწყებ, მიუხედავად იმისა, რომ სამარცხვინოდ მიმაჩნია ამ მატჩის ასე შეფასება. უბრალოდ, შეგახსენებთ თქვენი შეფასებით ათწლეულის საუკეთესო მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ თქვენსავე კომენტარს: “ფსიქოლოგი კი არა, ფეხბურთელები გვჭირდება”. ბატონო თემურ, ამ ფეხბურთელებს თქვენ ირჩევთ, თქვენ იძახებთ, მათთან ერთად უნდა მიაღწიოთ დასახულ მიზნებს და სულაც ეგრე რომ იყოს, არ შეიძლება, მათ გასაგონად და საჯაროდ იძახოთ, ფეხბურთელები მჭირდებაო. თან ამას ამბობთ იმ მატჩის შემდეგ, როდესაც მთელ საზოგადოებას არწმუნებთ - ათწლეულის საუკეთესო მატჩიაო... ნაკრებში მოთამაშე ყველა ფეხბურთელი ქვეყნის წინაშე ვალდებულებას გრძნობს, აუცილებლად ჩამოვა ნაკრებში სათამაშოდ და ყველაფერს გააკეთებს შედეგისთვის. მაგრამ თქვენ ხომ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ მათ მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნათ, თავი საჭირო ფეხბურთელად აგრძნობინოთ, ბედნიერების გრძნობა ჰქონდეთ ნაკრებში ჩამოსულთ და ფსიქოლოგიურად მზად ხვდებოდნენ თამაშს, რათა ეს ყოველივე შედეგზე დადებითად აისახოს? ურთიერთპატივისცემის გარეშე მე ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. როგორ ფიქრობთ, დადებით მუხტს შეიტანდა გუნდში და შეძლებდით თქვენ ნაყოფიერად გემუშავათ ფეხბურთელებთან, ანალოგიურ განცხადებებს რომ აკეთებდნენ, ანუ: „ისეთი მწვრთნელი არ გვყავს, ევროპის ჩემპიონატზე რომ გაგვიყვანოს"-ო?

ქართველი ქომაგისთვის ძალზე მტკივნეულია, როდესაც საქართველოსთან შედარებით ნაკლები პოტენციალის მქონე ქვეყნები უკეთეს შედეგს აღწევენ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ უკეთესად იყენებენ რესურსს. თქვენ კი, ბატონო თემურ, ფეხბურთში ჩახედული ვერც ერთი ადამიანი ტაშს ვერ დაგიკრავთ მარტო იმის გამო, რომ კუპერზე უკეთესი შედეგი გაქვთ. კუპერმა არ ივარგა, ნაკრების რესურსის 5% გამოიყენა და ამის გამო დაითხოვეს კიდეც სამსახურიდან. თქვენ კი, რადგან მასზე უკეთესი შედეგი აჩვენეთ და რესურსის 10% გამოიყენეთ, ამიტომ თქვენს მუშაობას წარმატებული ვუწოდოთ? იქნებ, სჯობს, თქვენი უამრავი შეცდომის გამო გაფლანგულ 90 %-ზე პასუხისმგებლობა იგრძნოთ, მე-5 ადგილი წარმატებულ შედეგად არ მიიჩნიოთ და მომავალში გულშემატკივრებს უფრო მეტი ოპტიმიზმის საფუძველი მისცეთ.

სიმართლის თქმას და აზრის დაფიქსირებას კი არავინ არ უნდა ერიდებოდეს და გადაცემაშიც აღინიშნა, რომ სიმართლეს განსაზღვრული დრო არა აქვს, იგი მუდამ უნდა ითქვას და, მიუხედავად იმისა, ვეტერანი ან მოქმედი ფეხბურთელი ხარ, სპორტული ჟურნალისტი, ფედერაციის თანამშრომელი თუ ჩვეულებრივი გულშემატკივარი, ქართული ფეხბურთის კეთილდღეობისთვის და წარმატებისთვის ძალა არავინ არ უნდა დავიშუროთ. ასე მჯერა და მწამს მე, ჩემი ქვეყნის გულშემატკივარს, ქართველ ფეხბურთელს, დავით მუჯირს!

ფეხბურთელთა მომზადება და კონტრაქტი არგენტინის კლუბებში

გიწვევთ პერსპექტიულ ფეხბურთელებს არგენტინაში, ჩვენ მოგამზადებთ და თქვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე წარგადგენთ არგენტინის პრიმერა „A, B, C და D დივიზიონის კლუბებში ტესტირებაზე. ქართველ ფეხბურთელებს კლუბებთან კონტრაქტის გაფორმება შეუძლიათ 18 წლიდან. არგენტინაში მგზავრობის, ვიზებისა და მომზადების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათი სპონსორების მიერ. დაწვრილებითი ცნობების მისღებად და საბუთების გასაფორმებლად დაუკავშირდით არგენტინის საფეხბურთო კომპანიის „ხეარგ სპორტის" წარმომადგენელს საქართველოში მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ№4, 17-დან-19 საათამდე ყოველდღე, (კვირის გარდა), წინასწარ ჩაწერით, ტელ: 579-41-53-35, 292-10-60

ფეხბურთელები არგენტინაში უნდა გამოცხადდნენ მ/წ 1 დეკემბრიდან. საუკეთესო სურვილებით, ედუარდო დელგადო არგენტინის საფეხბურთო კომპანიის /ხეარგ-სპორტის/ მმართველი კომპანიონი.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U19. ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

# დევდარიანის გუნდი ელიტრაუნდს მიუახლოვდა

13.11. ესქიშეჰირი. ათათურქი

| | |
|---|---|
| თურქეთი | 1 |
| საქართველო | 1 |

0:1 სხირტლაძე (60. ჭანტურიას პასით), დერიჯი 1:1 (74).

| თურქეთი | საქართველო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| ოჟენჩი | ლეგაშვილი |
| კანდემირი | გრიგალაშვილი |
| ბაშიბიუიკი | ხოჭოლავა |
| აზგარი | სანდოხაძე |
| ნუკანი | ტვილდიანი |
| ჩალხანოღლუ | გიგაური |
| იოკუშლუ | რეხვიაშვილი |
| ილმაზი | პარუნაშვილი |
| დერიჯი | ყაზაიშვილი |
| უჩანი | ჭანტურია |
| საიანი | სხირტლაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი: |
| თ. კაფკასი | გ. დევდარიანი |

**თურქეთი**

46. აზგარი - **ჩიფტჩინარი**
64. საიანი - **შახინი**
72. იოკუშლუ – **თორუნი**

*სათადარიგოები: უისალი, ათასევენი, ფეხლივანი, ბარდაკჩი.*

**საქართველო**

55. რეხვიაშვილი - **კილასონია**
86. სხირტლაძე - **კიკნაველიძე**

*სათადარიგოები: ტყეშელაშვილი, კალანდია, გელაშვილი, პაპავა, რუხაძე.*

გაფრთხილება: **ნუკანი (26), ბაშიბიუიკი (54), ჭანტურია (55), ტვილდიანი (73), კილასონია (82), შახინი (89), ილმაზი (92).**
გაძევება: **ბაშიბიუიკი (75).**
არბიტრი: **ს. მაკლინი (შოტლანდია)**

**გუშინ** ჯგუფის ლიდერები - საქართველო და თურქეთი შეხვდნენ ერთმანეთს და უეფას ტექსტური რეპორტაჟიდან ჩანს, რომ მატჩი მძიმედ და დაძაბულად წარიმართა, წესების დარღვევის გამო თამაში ხშირად ჩერდებოდა. ყველაზე სახიფათო მომენტი 41-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც **ხაკან ჩალხანოღლუს** დარტყმისას მეკარე **დავით ლეგაშვილმა** ჩვენები გადაარჩინა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა, მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში მოხდა: **გიორგი დევდარიანმა** მოედნის ცენტრში თამაშის გასააქტიურებლად 55-ე წუთზე **ვარლამ კილასონია** ჩართო თამაშში, ხუთ წუთში კი ქართველები დაწინაურდნენ: **გიორგი ჭანტურიას** საჯარიმო დარტყმის შემდეგ დანიური "ორჰუსის" თავდამსხმელმა **დავით სხირტლაძემ** ანგარიში გახსნა – 0:1.

მასპინძლებმა 74-ე წუთზე გაათანაბრეს – **ოკან დერიჯმა** თავისუფალი დარტყმის გათამაშების შედეგად გაიტანა – 1:1.

თურქების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა: 75-ე წუთზე **სეფა ბაშიბიუიკმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა.

თუმცა მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს და მეკარე ლეგაშვილმა ქართველები ორჯერ გადაარჩინა: 87-ე წუთზე ჩალხანოღლუს დარტყმა მოიგერია, 91-ეზე კი კუთხურისას ბურთი კარისკენ **ატინჩ ნუკანიმ** გაგზავნა და ლეგაშვილმა კვლავ ჩინებულად ითამაშა.

საბოლოოდ, ქართველებმა შეხვედრა ხელსაყრელი ანგარიშით — 1:1 დაასრულეს და ლიდერობა შეინარჩუნეს.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში პოლონეთმა ლუქსემბურგს 2:1 მოუგო.

**პოლონეთი–ლუქსემბურგი 2:1**

**გოლები: 1:0 მილიკი (17), 2:0 დრევნიაკი (53), 2:1 ლუიზი (82).**

მეორე ტურის შემდეგ ჯგუფში თურქეთმა და საქართველომ ლიდერობა შეინარჩუნეს. გამარჯვებულისა და ელიტრაუნდში გასულთა ვინაობა 16 ნოემბერს გაირკვევა – ბოლო ტურში საქართველო ლუქსემბურგს შეხვდება და მშვენიერი შანსი აქვს, ბევრი გაიტანოს და ბურთების უკეთესი სხვაობით პირველი ადგილი დაიკავოს, თურქეთი კი უფრო რთულ მეტოქეს - პოლონეთს ეთამაშება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**



სიტუაცია



# ბაია ისევ აირია

**ზუგდიდის „ბაია" რუსთავის „მეტალურგთან" მარცხის შემდეგ აღარ შეკრებილა. მიზეზი კლუბის ფინანსური დავალიანებაა ფეხბურთელების მიმართ. კითხვაზე, თუ რატომ არ ვარჯიშობენ ზუგდიდელები, კონკრეტული პასუხი არ აქვს გუნდის მთავარ მწვრთნელ ელგუჯა ქომეთიანს, რომელიც ჰოლანდიაში იმყოფებოდა მწვრთნელთა კვალიფიკაციის კურსებზე. ეს თავად ქომეთიანმა გვითხრა, თუმცა ორი დღის განმავლობაში ვერსიები რამდენჯერმე შეცვალა.**

- ჩვენს გუნდს დავალიანებები არ აქვს. პატარა შეფერხება იყო, ფული არის, მაგრამ გაცემა ვერ მოხერხდა. კვირას ვარჯიში ჩვეულებრივ, ორ საათზე ჩატარდება. თბილისიდან **გიორგი სომხიშვილი** ვერ ჩამოდის, ტრავმა აქვს და მკურნალობს, **ვალიკო ტყემალაძეს** სიცხე აქვს. **ნიკა მგელაძე, ნიკა შონია და გიორგი პაჭკორია** უკვე გაემგზავრნენ ზუგდიდში, ასე რომ, ვარჯიში კვირას მექნება, - გვითხრა შაბათს ქომეთიანმა.

მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ზუგდიდში მხოლოდ პაჭკორია და შონია გაემგზავრნენ, თუმცა არა სავარჯიშოდ, გიორგი სომხიშვილი კი დავალიანების გამო არ ჩადის იქ.

ამის შემდეგ ისევ დავუკავშირდით ქომეთიანს, რომელმაც გვაცნობა, რომ ნიკა მგელაძეს, რომელიც უკვე ზუგდიდში იყო, ერთი დღე უთხოვია, ხოლო გიორგი სომხიშვილს ყველანაირი ხელშეწყობა ჰქონდა, რათა ტრავმა მოეშუშებინა.

„ლელო" ნიკა შონიასაც ესაუბრა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ „ბაიაში" დიდი გაურკვევლობაა.

ნიკა შონია: „ისევ იგივე პრობლემებია, რაც გასულ წელს იყო. პირდაპირ რომ გითხრათ, გუნდში დიდი გაუგებრობა და გაურკვევლობაა. გვატყუებენ, ფული დღეს იქნება, ხვალ იქნებაო. „დინამოს" მოვუგეთ და, იმის მაგივრად, რომ წახალისება იყოს, პატარა ბიჭებით დაკომპლექტებულ გუნდს გამუდმებით წივილ-კივილი სჭირდება პრემიებისთვის. ახლა „დინამოს" და თასის პრემია და ამ თვის ხელფასი გვაქვს ასაღები. ისევ ტყუილები გვესმის და ამოვიდა ყელში. ვითომ „ფერერო" გვსპონსორობს, მაგრამ ესეც ვერ გავიგეთ, გვყავს თუ არა საერთოდ პატრონი. წინა კვირას დაგვიბარეს, ფული გადმოირიცხაო, მივედით და პრობლემაა, ვერ ვიღებთო. უკვე მერამდენედ მოხდა ეს. 19-ში მოედანზე გასვლას და თამაშს არ ვაპირებთ, ეს მარტო ჩემი პოზიცია არ არის, მთელმა გუნდმა გადაწყვიტა, სავარაუდოდ, პატარა ბიჭები გააგრძელებენ ჩემპიონატს."

ქომეთიანის თქმით კი ეს პირველი შემთხვევაა გუნდში და საგანგაშო არაფერია, არადა, სიტუაცია საპირისპიროზე მეტყველებს.

გიორგი სომხიშვილი ამბობს, რომ, როცა 18-19 წლის ბიჭებით დაკომპლექტებული გუნდი „დინამოს" უგებს და „ტორპედოსთან" ფრედ ასრულებს შეხვედრას, რაღაც უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს, მაგრამ ყველაფერი პირიქითაა. არც დამოკიდებულება შეცვლილა და არც სხვა პირობები გაუმჯობესებულა.

შეპირებისამებრ, ქომეთიანს კვირასაც დავუკავშირდით, მან ამჯერად დაადასტურა პრობლემების არსებობა და იმედი გამოთქვა, რომ პარასკევამდე ყველაფერი მოგვარდება.

- ვარჯიში არ ჩატარებულა, ბიჭები ცოტას ჯიუტობენ. პარასკევამდე დროა და გვპირდებიან, ყველაფრი გამოსწორდებაო. იმედია, საწვრთნელი პროცესი არ ჩაიშლება და გუნდი მომდევნო ტურში სრული შემადგენლობით ითამაშებს.

**- თუ ფინანსური პრობლემები პარასკევამდე არ მოგვარდა, რა იქნება შემდეგ?**

- აი, შემდეგ რა იქნება, ეს უკვე აღარ ვიცი. დიდი შანსია, რომ დარიგდეს პრემიები და ხელფასები, ამ პირობით ვაგრძელებთ მუშაობას. თბილისიდან ბიჭები ჯერ არ ჩამოსულან, მაგრამ აქ რა კონტინგენტიცაა, ის ივარჯიშებს.

მთავარი მწვრთნელის კომენტარის შემდეგ ისევ დავუკავშირდით ზუგდიდელ ფეხბურთელებს, რომლებმაც გვითხრეს, რომ ვარჯიშს დაიწყებენ, მაგრამ თუ 19 ნოემბრამდე დავალიანებები არ გაიცემა, მთელი გუნდი განცხადებას გააკეთებს და სათამაშოდ არ გავა.

**მაგდა კლდიაშვილი**

გადადებული მატჩი

# კოლხეთი–ზესტაფონი ზუგდიდში

15 ნოემბერს ფოთის "კოლხეთისა" და "ზესტაფონის" გადადებული მატჩი გაიმართება. შეგახსენებთ, ეს შეხვედრა 6 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ თავსხმა წვიმამ ლანჩხუთის "ევგრაფი შევარდნაძეზე" მოედანი დატბორა და თამაში შეუძლებელი გახდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა შეხვედრა 15 ნოემბრისთვის უმალვე დანიშნა, მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში მატჩის ჩატარების ადგილი გაურკვეველი იყო. ლანჩხუთის ვარიანტი, ფაქტობრივად, თავიდანვე გამოირიცხა. საქართველოში ბოლო დღეებში უმეტესად ავდარია და ლანჩხუთის სტადიონი ისეთ მდგომარეობაშია, წვიმის შემთხვევაში სათამაშოდ ისევ უვარგისი გახდებოდა. იყო ქუთაისის სტადიონის ვარიანტიც, მაგრამ საბოლოოდ გაირკვა, რომ მატჩი ზუგდიდში გაიმართება.

დღეისთვის უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში "ზესტაფონი" მესამე ადგილზეა, მაგრამ ფოთელთა ძლევის შემთხვევაში "ტორპედოსა" და "დინამოს" ჩამოიტოვებს და კვლავ ერთპიროვნულად გალიდერდება. "კოლხეთს" კი "გაგრას" გასასწრებად და ზედა რვა გუნდში მოსახვედრად ასევე გამარჯვება სჭირდება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ "ზესტაფონს" საქართველოს ეროვნულ, ახალგაზრდულ და 19-წლამდელთა ნაკრებებში რვა ფეხბურთელი ჰყავდა მივლენილი, საიდანაც ექვსი უკვე დაუბრუნდა. 19-წლამდელთა განკარგულებაში რჩებიან **თორნიკე გრიგალაშვილი** და **ნოდარ კიკნაველიძე.**

უკეთესობისკენ მიდის "ზესტაფონის" ძირითადი მეკარის, **როინ კვასხვაძის** მდგომარეობა, რომელსაც ხელის თითის მოტეხილობის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა და ეროვნული ნაკრების შეკრებასაც დააკლდა.

"კოლხეთთან" "ზესტაფონს" დისკვალიფიცირებული **ედიკ საჯაია** დააკლდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბავი

# ოდიკაძე იმერეთში დაბრუნდა

**თამაზ ოდიკაძე** „ზესტაფონის" მეკარეებს, სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე გაწვრთნის. კონტრაქტს ოდიკაძესა და ქვეყნის ჩემპიონს შორის 11 ნოემბერს მოეწერა ხელი.

ოდიკაძემ მეკარის კარიერა სწორედ „ზესტაფონში" დაასრულა 2004 წელს.

შემდეგ იგი „ლოკომოტივის" მეკარეებს ავარჯიშებდა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ოდიკაძის გაწვრთნილთა შორის არიან **გიორგი ლომაია**, რომელიც ეროვნული ნაკრების კარს იცავდა, **ზურაბ ბათიაშვილი** (რუსთავის „მეტალურგის" სარეზერვო მეკარე) და კიდევ რამდენიმე ნიჭიერი მეკარე.

თუ ოდიკაძის მუშაობით კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩება, მხარეები გრძელვადიან ხელშეკრულებას გააფორმებენ.

**მაგდა კლდიაშვილი**

ინტერვიუ



სანდრო კობახიძე (№7)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სანდრო კობახიძე: ვნანობ. ზედმეტად ავენთე

## ისე, ინგლისში ამაზე არ აძევებენ

მოლდოველებთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე თემურ ქეცბაიამ თქვა: *"დღევანდელ მატჩში საუკეთესო სანდრო კობახიძე იყო, თუმცა კარგად დაწყებული ცუდად დაასრულა და მეტოქის პროვოკაციას წამოეგო. პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ასეთი არასერიოზულობა არ შეიძლება".*

24 წლის კობახიძე მართლაც საუკეთესო იყო, გოლიც გაიტანა და მოლდოველებს გამუდმებით თავსატეხს უჩენდა, ვიდრე არბიტრმა მოედნიდან არ გააძევა.

კიევის "არსენალი", ტრავმა, საკლუბო მომავალი და ნაკრები – სანდროს ამ თემებზე ველაპარაკეთ.

**- ნაკრებში ბევრი მატჩი არ დაგეთვლება, მოლდოვასთან კი გამოცდილი ნევრივით იყავი, ქეცბაიამ საუკეთესოდაც დაგასახელა.**

- მე უფრო ჩემს თანაგუნდელებს გამოვყოფ, რომლებიც პასებით დროულად მამარაგებდნენ. რა თქმა უნდა, გოლი გასახარი იყო, რადგან ნაკრებში თამაში სხვა გრძნობაა.

**- ყველაფერი კარგად აეწყო, გაძევების გარდა. არადა, შეიძლებოდა, თამაში უპრობლემოდ დაგესრულებინა.**

- ემოციებს ავყევი და ისეთი უსიამოვნების მონაწილე გავხდი, მოთამაშეს რომ არ ეპატიება. ვწუხვარ და ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს.

**- როგორც ვიცი, ეს წითელი ბარათი ოფიციალურ შეხვედრებზე არ იმოქმედებს.**

- ეგრეა და ეს მახარებს. ისე, ინგლისის პრემიერლიგაში, შესაძლოა, მსაჯს ყვითელი ბარათიც კი არ ეჩვენებინა. მაგრამ, ვიმეორებ, დამნაშავე მე ვარ და არა მსაჯი, ნაკრებში თამაში დიდი პატივია და თავშეკავება, ემოციების მოთოკვა მმართებდა, მაგრამ...

**- უკრაინაში თავიდან არ გწყალობდნენ, მაგრამ კიევის "არსენალში" გენდობიან და გათამაშებენ. აშკარაა, უფრო თავდაჯერებული ხარ, რაც ნაკრებშიც დაგეტყო და კლუბშიც.**

- "არსენალში" ლეონიდ კუჩუკი დაგვინიშნეს, რომელიც ტირასპოლის "შერიფს" ავარჯიშებდა. სერიოზული სპეციალისტია და ძლიერი გუნდი ჩამოყალიბდა. პირველად მომიხდა უკრაინაში იმ მწვრთნელთან მუშაობა, რომელიც მენდობა. ემოციური ვარ და მწვრთნელის დამოკიდებულება ჩემზე განსაკუთრებულად მოქმედებს. კუჩუკი კარგი ფსიქოლოგია, მისმა ნდობამ და სათამაშო პრაქტიკამ კი მართლაც თავდაჯერებული გამხადა. ცხადია, საკუთარ თავზეც ვმუშაობდი.

ეგაა, საქართველო-საბერძნეთის მატჩამდე ერთი კვირით ადრე კუნთი დამეჭიმა და ამ შეხვედრასთან ერთად უკრაინის ჩემპიონატის ერთი ტურიც გამიცდა. სანამ ტრავმა მოვირჩინე და ფორმა აღვიდგინე, ძირითადში პოზიციები შემერყა. თუმცა ბოლო ოთხი ტურიდან ორში ძირითადში მათამაშეს, ორჯერაც შეცვლაზე და მიმაჩნია, რომ ეს არის ჩემი საუკეთესო უკრაინული სეზონი. ასე მგონია, რომ ჩემი გუნდი და ადგილი ვიპოვე.

**- "არსენალთან" იჯარა როდის გიმთავრდება?**

- იანვარში, მაგრამ წასვლა არ მინდა.

**- კლუბის მხარდაჭერას რომ არ გრძნობდე, ამას არ იტყოდი.**

- ასეც არის, ჯერჯერობით შეთანხმება იჯარაზეა, მერე კი ვნახოთ. "არსენალში" თავს მშვენივრად ვგრძნობ და მწვრთნელიც დაინტერესებულია, საიჯარო ვადის შემდეგ „არსენალის" საკუთრება გავხდე, მათი სურვილი კი ჩემსას ემთხვევა. მაგრამ ეს ამბავი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

**- ქართველებს უკრაინაში ისე არსად გაუხარიათ, როგორც "არსენალში" - შალვა აფხაზავა, გელა შეყილაძე, ლაშა ჯაკობია, ჯაბა კანკავა და გიორგი დემეტრაძე მისი ლიდერები იყვნენ.**

- შეიძლება ითქვას, ილბლიანი, საჩვენო კლუბია. უკრაინელებისგან განსხვავებულ და ჩვენთვის უფრო მისაღები სტილის ფეხბურთსაც თამაშობენ.

**- რა არის წლეულს "არსენალის" მიზანი?**

- ევროპის ლიგაზე თამაში, რისთვისაც ოთხეულში მოხვედრაა საჭირო. კარგი გუნდი გვყავს და ეს შესაძლებელი მგონია, თუმცა ძლიერი კონკურენტები გვყავს.

**- "არსენალშიც", ისე, როგორც ნაკრებში, მარცხენა შემტევ ნახევარმცველად გათამაშებენ?**

- ხან მარცხენა ფლანგზე მაყენებენ, ხანაც — მარჯვნივ. გუნდი 4-3-3 სქემით თამაშობს და სადაც მწვრთნელს ვჭირდები, იქ მათამაშებს.

**- რა ხეირია ცაციას მარჯვენა ფლანგზე დაყენებაში, ასე ხომ ბურთის ჩაწოდების, თუ მარცხენა ფეხზე გადატანისას შეტევა ყოვნდება?**

- დღეს ასე ბევრ გუნდშია და ამას თავისი პლუსები აქვს. მაგალითად, ამ დროს შუაში ხშირად შედიხარ და უფრო მოხერხებულად უტევ. მაგრამ მაინც მარცხნივ მირჩევნია, რადგან ბავშვობიდან სულ ამ პოზიციაზე ვთამაშობ.

**- უკრაინაში მოთამაშე ქართველებზე რას იტყვი?**

- უმრავლესობა თავისი კლუბის ლიდერია, რაც დასაფასებელი ამბავია, რადგან უკრაინაში სამი წელია, ვთამაშობ და ჩემპიონატის დონე ძალიან ამაღლდა. შეუძლებელია, იქ ფეხბურთელი არ გაიზრადოს, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ მინიმუმს მაინც დააკმაყოფილებს. სამწუხაროდ, პრემიერლიგაში არც ისე ბევრი ქართველია, მაგრამ მათ პატივს სცემენ. მაგალითად, კანკავა და ლობჟანიძე "კრივბასს" კარგად შეეწყვნენ და მათ გარეშე ეს გუნდი წარმოუდგენელია. თარგამაძე კი "ოლექსანდრიას" ლიდერი და მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენაა. წლებია, "ტავრიაში" თამაშობს გიგიაძე, რომელიც ამ კლუბის სიმბოლო გახდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ნამატჩევს

# ის, რაც ჰაერივით იყო საჭირო

18 წლის **გიორგი განუგრავამ** 2006 წელს ეროვნულ ნაკრებში მერვე შეხვედრა ჩაატარა, კარიერა თითქოს იდეალურად ჰქონდა აწყობილი, მაგრამ საქმეები სწორედ მას შემდეგ აერია — ჯერ ტრავმებმა გააწვალა, მერე კლუბთან გაურთულდა ურთიერთობა, მხოლოდ წლების შემდეგ უნგრეთში მოახერხა ფორმის აღდგენა და ნაკრებში მორიგი შანსი მიეცა.

გიორგი ახლა უნგრეთის „დიორი ეტოს" ეკუთვნის, მაგრამ „ლომბარდ პაპაშია" განათხოვრებული, სადაც მიმდინარე სეზონში ძირითადის მოთამაშე გახდა და 23 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **თემურ ქეცბაიამ** ნაკრებში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ მიიწვია.

მოლდოვასთან ამხანაგურ შეხვედრაში ქეცბაიას ბევრი მოთამაშის გამოცდა სურდა და ერთი მათგანი განუგრავაც იყო, რომელიც მოედანზე 53-ე წუთზე გამოჩნდა.

*"მიხარია, ნაკრებში თამაშის საშუალება რომ მომეცა, თანაც, მოგებულ შეხვედრაში. წარუმატებელი სერიის შემდეგ გამარჯვება ნაკრების წევრებს ჰაერივით სჭირდებოდათ და, იმედია, ეს ფსიქოლოგიურად ყველას წაადგება. შევეცადე, იმედი გამემართლებინა, რა გამოვიდა აქედან, ეს მწვრთნელმა უნდა შეაფასოს,"* - ამბობს განუგრავა.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველო-მოლდოვა. გამოხმაურება

# ბალინტისთვის საბედისწერო თავხოტორების დუელი

*უინტერესო არ უნდა იყოს, რა გამოხმაურება მოჰყვა 11 ნოემბრის თბილისურ მატჩსა და სტუმართა მარცხს მოლდოვაში. "მოლდფუტბოლი" აზერბაიჯანელი არბიტრის, **ვუსალ ალიევის** მსაჯობას აღმაშფოთებელს უწოდებს, თუმცა მოლდოველთა უსუსურობაზე, მასპინძლეთა დამსახურებულ გამარჯვებასა და მწვრთნელ **გაბი ბალინტის** წასვლის აუცილებლობაზეც მსჯელობს.*

*"ვინ ვინ და, ქართველები ჩვენთვის ლამის შინაურები არიან. მოლდოვის ნაკრები დაარსების დღიდან მათთან თამაშობს და ხშირად წარმატებითაც. თუმცა საეჭვოა, ფეხბურთელები აღფრთოვანებულები ყოფილიყვნენ შესარჩევი ციკლის შემდეგ სპარინგის გამართვისა და კლუბიდან მოწყვეტის გამო.*

*სავსებით შესაძლებელია, თბილისური მატჩი მწვრთნელის პოსტზე გაბი ბალინტისთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს. რუმინელ სპეციალისტს მოლდოვის ფედერაციასთან კონტრაქტი დაუმთავრდა და დრო გვაჩვენებს, გაუგრძელებენ თუ არა.*

*... თამაში მოლდოველმა თავდამსხმელებმა ჩააგდეს, თუმცა არა მხოლოდ მათ. მეორე ნახევარი მოლდოვამ სამი ნომინალური ფორვარდით დაიწყო, მაგრამ ქართველები მაინც უკეთ გამოიყურებოდნენ... ქართველთა მეკარეს საქმე არც ჰქონია, მეორე ტაიმში მის კარში არც დაურტყამთ.*

*დიახ, ქართველებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს, მაგრამ ამ გამარჯვებას უხარისხო მსაჯობის ელფერი დაჰკრავდა. ორი მოგონილი პენალტი და სადავო გაძევება... ვითომ აზერბაიჯანელმა მსაჯმა ორხეიში გამართული მოლდოვა-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისთვის იძია შური?*

*. ორი თავხოტორა მწვრთნელის დუელი თემურ ქეცბაიამ მოიგო, მისი ვიზავი გაბი ბალინტისთვის კი მაგიური დღე 11.11.11 ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე, ალბათ, ბოლო თამაში იყო,"* – წერს "მოლდფუტბოლი".

**მერაბ მამულაშვილი**



გაბი ბალანტი

ლეგიონერები

## მუჯირს ამხანაგურშიც გააქვს

იაპონიაში "სანფრეჩე ჰიროშიმამ" ამხანაგურ მატჩში 4:3 დაამარცხა "გამბა ოსაკა". ჰიროშიმელთა ვეტერანმა ქართველმა **დავით მუჯირმა** ამ გამარჯვებაში საკუთარი წვლილი გოლით შეიტანა.

ჯეი-ლიგის დასრულებამდე სამი ტური დარჩა. 18-გუნდიან ჩემპიონატში „ჰიროშიმა" მე-8 ადგილზეა. მუჯირმა, იმის მიუხედავად, რომ მოედანზე 90 წუთს იშვიათად ატარებს, 31-ივე მატჩში მიიღო მონაწილეობა და 6 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჯაკობიას მეშვიდე

უკრაინის რანგით მეორე ლიგაში "ზაკარპატიამ" საკუთარ მოედანზე "მიკოლაევი" 3:0 გაანადგურა და ამ სამიდან ერთი გოლი **ლაშა ჯაკობიას** ანგარიშზეა. მან თავისიანები მე-12 წუთზე დააწინაურა.

"ზაკარპატია" სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და პრემიერლიგაში აღზევების კარგი შანსი აქვს, ჯაკობიასთვის კი ეს სეზონში მეშვიდე გოლი იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## კლიმიაშვილმა დუბლი, პახტაკორმა თასი

უზბეკეთის თასის ფინალი „ნასაფი" — „პახტაკორი" ტაშკენტელთა ქართველის, 23 წლის **ირაკლი კლიმიაშვილის** ბენეფისად იქცა.

„პახტაკორი" თასის ფინალშიც კლიმიაშვილის მიერ „შურთანის" კარში გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გავიდა, ახლაც კლუბის ხელმძღვანელობას ყველაზე მეტად სწორედ მისი ეიმედებოდა და არც შემცდარან.

კლიმიაშვილმა სწრაფი (მე-6 წუთზე) გოლით დააწინაურა ტაშკენტელები, 29-ე წუთზე **კლეცკოვმა** „პახტაკორის" უპირატესობა ორბურთიანი გახადა,

82-ე წუთზე კი კლიმიაშვილმა დუბლი მიითვალა და, ფაქტობრივად, მან გადაწყვიტა თამაშის ბედი.

ნასაფელებმა ერთადერთი გოლი დამატებულ, 94-ე წუთზე გაიტანეს, გამარჯვება და თასი კი ტაშკენტელებს დარჩათ.

შეგახსენებთ, რომ კლიმიაშვილი „პახტაკორში" „ანჟიდან" არის განათხოვრებული, იჯარის ვადა კი ნოემბრის ბოლოს იწურება.

**მაგდა კლდიაშვილი**



ირაკლი კლიმიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# ვინ შეცვლის რუნის?


გაბრიელ აგბონლაჰორი


დენი უელბეკი

ᲓᲘᲓᲘ ხანია ინგლისური პრესის საყვარელი რუბრიკა „ათი ყველაზე“ აღარ გადაგვითვალიერებია. ვფიქრობთ, პერიოდულად მასთან დაბრუნება საინტერესოა და ამიტომ დღეს გაზეთ „სანის“ ერთ-ერთ ბოლო ათეულს გთავაზობთ. ამჯერად, ტაბლოიდი ასეთ საკითხს განიხილავს: როგორც ცნობილია, 26 წლის ფორვარდი, უეინ რუნი სამი სანაკრებო თამაშით არის დისკვალიფიცირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ 2012 წელს, ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ის ვერ ითამაშებს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის ადგილი სხვამ უნდა დაიკავოს. ინგლისელებმა შაბათს მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთს 1:0 მოუგეს, ხვალ კი შვედებს ხვდებიან. ამ ამხანაგურ შეხვედრებში მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ალტერნატიული ვარიანტების შესწავლის შესანიშნავი საშუალება აქვს. მას გამოძახებული ჰყავს დარენ ბენტი, დენი უელბეკი, დენიელ სტარიჯი და ბობი ზამორა. შაბათამდე ამ ფეხბურთელებს ერთად, ნაკრებში 14 შეხვედრა ჰქონდათ ჩატარებული, ახლა კი 16 აქვთ, რადგან ესპანეთთან კაპელომ ბენტი თავიდანვე ათამაშა, უელბეკი კი მის მაგივრად 64-ე წუთზე შეიყვანა. ჩამოთვლილთა გართა ინგლისელები, ბუნებრივია, სხვა კანდიდატურებსაც განიხილავენ. ვინ შეიძლება შეცვალოს პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე თავდამსხმელი? ამ კითხვაზე „სანი“ რუბრიკიდან გამომდინარე ათ პასუხს იძლევა.


დარენ ბენტი


ენდი ქეროლი

### 1. გებრიელ აგბონლაჰორი
### (ასტონ ვილა)

25 წლის; ნაკრებში: 3 თამაში, 0 გოლი.

აგბონლაჰორს, რასაკვირველია, ძალიან არ გაუმართლა, ტრავმის გამო ესპანეთისა და შვედეთის ნაკრებებთან თამაშის საშუალება რომ არ მიეცა. გასულ სეზონში „ვილას“ თავდამსხმელს ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა და ნაკრების კანდიდატთა სიიდანაც ამოშალეს, მაგრამ რაც ბირმინგემის კლუბს სათავეში **ალექს მაკლიში** ჩაუდგა, ის შესანიშნავად ათამაშდა და 11 ტურში 5 გოლიც შეაგდო.

### 2. დარენ ბენტი
### (ასტონ ვილა)

27 წლის; ნაკრებში: 12 თამაში, 4 გოლი

ბენტი კარგ პოზიციაშია, რადგან ჯერ კიდევ რუნის დისკვალიფიკაციამდე მის პარტნიორად განიხილებოდა. თუმცა, „ვილას“ ბომბარდირმა იცის, რომ სეზონის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. 2006 წელს მან ამის მწარე გამოცდილებაც მიიღო და ბოლომდე მობილიზებული იქნება.


პიტერ კრაუჩი


ჯერმაინ დეფო

### 3. ენდი ქეროლი
### (ლივერპული)

22 წლის; ნაკრებში: 3 თამაში, 1 გოლი

ქეროლის შემთხვევა ნათლად ადასტურებს, რომ ყოველ წალიწადს დიდი მნიშვნელობა აქვს. ზუსტად ერთი წლის წინ ქეროლი „ნიუკასლის“ თავდამსხმელი იყო, გოლი გოლზე გაჰქონდა და საფრანგეთის წინააღმდეგ ნაკრებშიც ათამაშეს. ეს მისი დებიუტი გახლდათ. ასეთმა გაბრწყინებამ თავდამსხმელს შესანიშნავი ტრანსფერიც მოუტანა — მასში, არც მეტი, არც ნაკლები, „ლივერპულმა“ 35 მილიონი ფუნტი გადაიხადა, მაგრამ თითქოს გუნდის გამოცვლამ აწყინაო. დღეს ქეროლი ნამდვილად არ ჰგავს ფეხბურთელს, რომელიც ასე ძვირი უნდა ღირდეს. კაპელომაც მის გამოძახებაზე ხელი აიღო.

### 4. პიტერ კრაუჩი
### (სტოკ სიტი)

30 წლის; ნაკრებში: 42 თამაში, 22 გოლი

ნაკრებში სანიმუშო შედეგიანობის მქონე კრაუჩი, ალბათ, კითხულობს, ნეტავ რა დავაშავე, რომ აღარ მიძახებენო. არადა, კაპელო ნამდვილად არ ჰგავს იმ კაცს, კრაუჩს რომ უხმობს. ვინ იცის, „სტოკში“ პატარა სასწაულები რომ მოახდინოს...

### 5. ჯერმაინ დეფო
### (ტოტენჰემი)

29 წლის; ნაკრებში: 46 თამაში, 15 გოლი

დეფო, წესით, შეშფოთებული უნდა იყოს — ცუდი გასული სეზონის შემდეგ კვლავ დაიწყო გოლების გატანა, მაგრამ კაპელომ რუნის არყოფნაშიც კი არ ათამაშა. არადა, თავი, ალბათ, მთავარ კანდიდატად მიაჩნდა.

### 6. დენიელ სტარიჯი
### (ჩელსი)

22 წლის; ნაკრებში: 0 თამაში, 0 გოლი

2011 წელი დენიელ სტარიჯზე შთამბეჭდავად ბევრმა ვერ დაიწყო. თავდამსხმელი ჯერ „ბოლტონში“ იყო გაქირავებული, სადაც შესანიშნავად ათამაშდა, შემდეგ კი „ჩელსიში“ დაბრუნდა და **ანდრე ვილაშ-ბოაშის** ხელში გააგრძელა კარგად დაწყებული საქმე. ის, რომ სტარიჯს ნაკრებში გამოიძახებდნენ, ძნელი მისახვედრი აღარ იყო, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანენ თუ არა, ძნელი სათქმელია.

### 7. თეო უოლკოტი
### (არსენალი)

22 წლის; ნაკრებში: 20 თამაში, 3 გოლი

უოლკოტმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ მისი ბუნებრივი პოზიცია ფლანგზე კი არ არის, არამედ თავდასხმაშია. უსწრაფეს მოთამაშეს მოწინააღმდეგის მცველების დაწიოკება რომ შეუძლია, ფაქტია და თუ გოლების გატანის ჩვევასაც აღიდგენს, რუნის ადგილის დაკავების მართლაც დიდი შანსი ექნება. ყველას დღემდე თვალწინ უდგას 2008 წელს, ხორვატიასთან მისი ჰეთ-თრიკი.


დენიელ სტარიჯი


თეო უოლკოტი

### 8. დენი უელბეკი
### (მანჩესტერ იუნაიტედი)

20 წლის; ნაკრებში: 3 თამაში, 0 გოლი

ბოლო დროს უელბეკის საქმე სულ უკეთ და უკეთ მიდის, ასე რომ, მის ევროპის ჩემპიონატზე, რუნის მაგივრად გამოჩენას ნუ გამოვრიცხავთ. ცნობილია, რომ კაპელო მისი დიდი ფანია.


კონორ უიკჰემი


ბობი ზამორა

### 9. კონორ უიკჰემი
### (სანდერლენდი)

18 წლის; ნაკრებში: 0 თამაში, 0 გოლი

უიკჰემი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელსაც „სანდერლენდი“ 8,1 მილიონ ფუნტად აფასებს. ეს ყმაწვილკაცისთვის დიდი თანხაა და მართალია, მისი „ევრო 2012“-ზე გამოჩენა მოსალოდნელი არ არის, მაინც ნურაფერს გამოვრიცხავთ.

### 10. ბობი ზამორა
### (ფულჰემი)

30 წლის; ნაკრებში: 1 თამაშო, 0 გოლი

ზამორამ 30 წელიწადს მიაღწია და, ალბათ, ფიქრობდა, რომ ნაკრებში ალარასოდეს გამოიძახებდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ახლანდელ შეკრებაზე კაპელომ დეფო არ გამოიძახა და ზამორა იქ ჰყავს. მოკლედ, გამორიცხვა არაფრის შეიძლება.

კონფლიქტი

# კარლოს ტევესი კვლავ ჩუმადაა

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ, რასაკვირველია, ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს და ახლა, როდესაც ამ ინფორმაციას ეცნობით, 27 წლის არგენტინელი თავდამსხმელის, **კარლოს ტევესის** შესახებ მეტი რამ იყოს ცნობილი, მაგრამ ამ სიტყვების წერისას „მანჩესტერ სიტის“ წარმოდგენა არ ჰქონდა მისი გაპარული ფეხბურთელის ადგილმდებარეობის შესახებ.

მოგეხსენებათ, კლუბმა ფეხბურთელს სმს-ით შეხმიანება მოსთხოვა, მაგრამ ტევესს ყურიც არ შეუბერტყავს. ჩვენი მკითხველისთვის ისიც ცნობილია, რომ დღეს, ისტლენდზე თათბირია დანიშნული, სადაც არგენტინელის უნებართვოდ წასვილს საკითხს განიხილავენ.

„სიტიმ“ უკვე დაადგინა, რომ თავდამსხმელს სამკვირიან დისკვალიფიკაციას მიუსჯის. მწვრთნელებს უნდოდათ სანაკრებო კვირაში, როდესაც პრემიერლიგა ისვენებს, ტევესს ფიზიკური მომზადება გაეუმჯობესებინა, მან კი თავი დაადო და სამშობლოში გაემგზავრა. ყველაზე ცუდი, რაც ტევესის საქციელს შეიძლება მოჰყვეს, ეს იქნება: „სიტი“ მას დაითხოვს, სარეგისტრაციო ბარათს კი დაიტოვებს და დიდი კომპენსაციის გარეშე არ გაყიდის. ისტლენდელთა პრესმდივანმა თქვა:

*„ჩვენ კარლოს ტევესს დაკავშირება ვთხოვეთ, მაგრამ მისგან პასუხი არ მიგვიღია“.*

ტევესს გასულ კვირაში სამშაბათს უნდა დაესვენა, მაგრამ, რადგან არგენტინის ნაკრებში არ გამოუძახიათ, ოთხშაბათს კვლავ ვარჯიშზე უნდა გამოცხადებულიყო. ფეხბურთელის წარმომადგენელმა განაცხადა:

*„კარლოსს უთხრეს, რომ მისი წასვლა-დარჩენის ამბავი რობერტო მანჩინის გადასაწყვეტი იყო და მანაც მწვრთნელის ნომერზე უამრავი მესიჯი გააგზავნა“.*



სახალისო

# შჩესნიმ ძმაკაცს კბილი გაჰკრა

„ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ“ ყოფილი კაპიტნის, 24 წლის ესპანელი **სესკ ფაბრეგასის** ლონდონიდან „ბარსელონაში“ გადაბარგების რთული ისტორია ყველამ კარგად იცის. 12 ნოემბერს ფაბრეგასი ინგლისს, უფრო ზუსტად კი ლონდონს, მეტიც, ჩრდილოეთ ლონდონს დაუბრუნდა, სადაც ესპანეთში წასვლის შემდეგ აღარ ყოფილა — „უემბლიზე“ ინგლისისა და ესპანეთის ნაკრებთა შორის ამხანაგური თამაში გაიმართა. ინგლისელებმა მოიგეს 1:0 და ფაბრეგასმა ერთი ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან, თუმცა მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა, „არსენალის“ მეკარემ, 21 წლის **ვოიცეხ შჩესნიმ** სულ სხვა რამეზე გაამახვილა ყურადღება.

წინაისტორია ასეთია: ლონდონში ცხოვრების წლებში ფაბრეგასი თმას მოკლედ იჭრიდა, რასაც ერთ-ერთ მეძვირე პარიკმახერთან ან, უფრო სწორად, ელიტური სტილისტთან აკეთებდა. მასთან ერთად იმავე დალაქის კლიენტები იყვნენ ზემოხსენებული შჩესნი და **ჯეკ უილშირი.** ესპანეთში გადაბარგების შემდეგ კი სესკმა თმის შეჭრას თავი დაანება და სამხრეთელებისთვის ჩვეული გაპრანჭული ვარცხნილობა დაიყენა. ამის დანახვაზე შჩესნიმ „ტვიტერში“ დაწერა:

*„ბარაქალა ინგლისის ნაკრებს, ესპანეთის დამარცხება რომ შეძლო. აი, სესკ ფაბრეგასს კი კარგი იქნება, ვინმე ვარცხნილობაზე კეთილ რჩევას თუ მისცემს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



● იტალიის ნაკრები



# აძურა ახალი გმირით

**პოლონეთი–იტალია 0:2**

**პოლონეთი (4-4-2):** შესნი – პიშეკი, პერკი (69. ვასილევსკი), გლოვაცკი, ვავჟინიაკი – პოლანსკი (56. მატუშიკი), მურავსკი (80. დუდკა), ბლაშიკოვსკი, ობრანიაკი (56. ბროჟეკი) – ლევანდოვსკი, პეშკო (65. მერჟეევსკი).

**იტალია (4-4-2):** ბუფონი – აბატე, კიელინი, რანოკია, კრიშიტო (77. ოგბინა) – დე როსი (46. მოტა), პირლო (46. პეპე), მარკიზიო (61. მატრი), მონტოლივო (61. ნოჩერინო) – ბალოტელი, პაცინი (61. აკვილანი).

**გოლები:** 0:1 ბალოტელი (30), 0:2 პაცინი (60).

## თამაში

იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა ისტორიაში პირველად მოიგო პოლონეთში, თუმცა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ **ჩეზარე პრანდელის** ხელში "სკუადრა აძურა" პროგრესს განაგრძობს და თუ ასე გაგრძელდა, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით ათი დღის წინ იტალიის ნაკრებს ორი წამყვანი ფეხბურთელი დაახლოებით ხუთი თვით გამოაკ;ლდა – მაინც ვთქვათ, რომ საუბარია **ანტონიო კასანოსა** და **ჯუზეპე როსიზე**.

პოლონელებთან ამხანაგური თამაშის წინ, იტალიელ ჟურნალისტებს ყველაზე მეტად სწორედ ის აინტერესებდათ, ვის დაეყრდნობოდა თავდასხმაში ჩეზარე პრანდელი? – "აძურას" თავკაცმა **მარიო ბალოტელისა** და **ჯამპაოლო პაცინის** ტამნდემზე შეაჩერა არჩევანი და არც წაუგია – ორივე ფორვარდმა გოლი გაიტანა, რამაც განაპირობა კიდეც სტუმართა დამაჯერებელი გამარჯვება. გოლები ერთობ ეფექტური გამოვიდა, განსაკუთრებით ეს ბალოტელის შედეგიან დარტყმაზე ითქმის – შეხვედრის 30-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც "მანჩესტერ სიტის" ფორვარდმა დაახლოებით 25 მეტრიდან დაუბათქუნა და პოლონელთა კიპერი უშანსოდ დატოვა. რაც შეეხება პაცინის გოლს, აქაც მარიოს მიუძღვის დიდი წვლილი, ბალოტელიმ მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი და საჯარიმოში დაბალი გადაცემა გააკეთა, **სიმონე პეპემ** ბურთს მიმართულება მცირედით შეუცვალა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ჯამპაოლო პაცინიმ კი ერთი შეხებით აიღო **შჩესნის** კარი – აღსანიშნავია, რომ პოლონელთა კიპერს ბურთი ფეხებშუა გაუძლვა.

იტალიელებს კიდევ არაერთი მომენტი ჰქონდათ გოლის გასატანად და ფორვარდები რომ უფრო ზუსტნი ყოფილიყვნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ანგარიში გამანადგურებელი იქნებოდა. მარტო **ალესანდრო მატრის**, რომელიც მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში, მინიმუმ ორჯერ უნდა გაეტანა გოლი, ორჯერვე პირისპირ იყო გაწამებულ შჩესნისთან, თუმცა ერთხელ ააცილა ბურთი კარს, ერთხელ კი სწორედ კიპერმა იმარჯვა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მატჩის უკანასკნელ წუთებზე პოლონელებს ერთი ბურთის გაქვითვის 100%-იანი შანსი ჰქონდათ, მაგრამ თერთმეტმეტრიანის გამოყენება ვერ შეძლეს, ბურთი **ჯანლუიჯი ბუფონმა** აიღო. მთლიანობაში, იტალიელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს.

## რგოლები

თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ რგოლებს შორის კავშირი ერთი წუთითაც არ გაწყვეტილა, რამაც იტალიელთა თამაში ძალიან მობილური და ეფექტური გახადა. დაცვაში შესანიშნავად წარმოჩინდა **ინაციო აბატე**, რომელსაც დებიუტი ჰქონდა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ინაციო მთელ მარჯვენა ფრთას აკონტროლებდა, თამამად და ეფექტურად ერთვებოდა შეტევებში, რიგ შემთხვევებში კი ფლანგიდან ცენტრშიც ინაცვლებდა, რითიც არეულობა შეჰქონდა პოლონელთა უკანახაზელებში. დიახ, ამპლუით მცველი აბატე უშუალო მოვალეობების კარგად შესრულების გარდა შეტევაშიც ერთობ ეფექტური იყო. შესანიშნავად წარმოჩინდა **ანდრეა რანოკია**, რომელიც დაცვის ცენტრში **ჯორჯო კიელინის** შეუწყვილდა. არაერთხელ ჩაშალა მასპინძელთა მწვავე იერიშები და დაზღვევაზეც კარგად გამოიყურებოდა – მისი თამაში იდეალური იქნებოდა, რომ არა აკიდებული თერთმეტმეტრიანი, რომელიც მისდა ბედად ჯიჯი ბუფონმა აიღო. კარგად გამოიყურებოდა **დომენიკო კრიშიტოც**, რომელიც შემდეგ **სტეფან ოგბინამ** შეცვალა. აღსანიშნავია, რომ ოგბინა სერია B-ს გუნდის, "ტორინოს" ღირსებას იცავს და მიუხედავად ამისა, პრანდელის ნდობას იმსახურებს.

ნახევარდაცვაში **კლაუდიო მარკიზიო** უნდა გამოვარჩიოთ, ძალიან ბევრს მოძრაობდა და თანაბრად ეფექტური იყო როგორც დაცვითი, ისე შეტევითი ფუნქციების შესრულებისას. **ანდრეა პირლომ** მხოლოდ პირველ ტაიმშიც ითამაშა, ტრადიციულად არიგა პასები, თუმცა ანტრაქტის შემდეგ, მის ნაცვლად მოედანზე **ტიაგო მოტა** გამოჩნდა. "ინტერის" ნახევარმცველმა მეტი მობილურობა შესძინა იტალიელთა შუა ხაზს, რაც **ანტონიო ნოჩერინოს** გამოსვლამ კიდევ უფრო განამტკიცა. მთლიანობაში "აძურამ" ცენტრში აჯობა მეტოქეს, რაც შესაძლოა გადამწყვეტი ფაქტორიც კი გახლდათ სტუმართა გამარჯვებაში.

თავდასხმის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და დიდხანს აღარ შევჩერდებით – მარიო ბალოტელიმ და ჯამპაოლო პაცინიმ სრულად გაამართლეს მოლოდინი, აი ალესანდრო მატრის კი აშკარად უკეთ შეეძლო თამაში. "იუვენტინო" კარგად იხსნებოდა და მომენტებიც ამად შეექმნა, მაგრამ ფორვარდის უპირველესი მოვალეობა მაინც ხელსაყრელი მომენტების რეალიზებაა, ამ მხრივ კი მატრიმ აშკარად მოიკოჭლა.

## მატჩის შემდეგ

იტალიურმა სპორტულმა პრესამ "სკუადრა აძურას" თამაში ცალსახად დადებითად შეაფასა – ჩეზარე პრანდელის კი ჟურნალისტთა მხრიდან სრული მხარდაჭერა აქვს. რაც შეეხება კონკრეტულად პოლონელებთან შეხვედრას, მთავარი სასაუბრო თემა მარიო ბალოტელის ბრწყინვალე ასპარეზობა გახლდათ. ანტონიო კასანოსა და ჯუზეპე როსის ტრავმების შემდეგ, მთელი იმედები მარიოზე მყარდება, რაც თავად პრანდელის სიტყვებიდან ნათლად ჩანს:

*"ძალიან კარგი თამაში იყო, რომელშიც დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩვენი მიზანი იყო, რომ პირველი ნომრიდან გვეთამაშა, რაც მთლიანობაში გამოგვივიდა კიდეც. შეგირდთა ასპარეზობით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით ეს მარიო ბალოტელიზე ითქმის, რომელიც გუნდის ლიდერად ყალიბდება. არ ვიქნები იმის წინააღმდეგი თუ "აძურა" მარიოზე დამოკიდებული გახდება, მთავარია, რომ მან ასევე გააგრძელოს ასპარეზობა და ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. რაც მთავარია, გუნდი პროგრესირებს და თამაშიდან თამაშამდე უკეთეს ფეხბურთს აჩვენებს".*

პოლონელებთან მატჩის შემდეგ, ბალოტელის მიმართ მხარდაჭერა ბევრმა გამოხატა, მათ შორის, იტალიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდა **ლუიჯი რივამ**: "ბალოტელის შეუძლია, რომ "აძურას" ახალი გმირი გახდეს, რაც აუცილებლად უნდა გააკეთოს. ერთხელ შევხვდი მარიოს პირადად და ვუთხარი, რომ ჩვენ მასზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ. ჩემი აზრით, ბალოტელი სხვადასხვა ადამიანია კლუბში და ნაკრებში – გუნდში ხშირად ავლენს უხასიათობას, ეროვნულ გუნდში კი მუდამ მომღიმარია და ყველასთან მეგობრული. როგორც ჩანს, მასთან ჩეზარე პრანდელი მუშაობს ძალიან კარგად და სწორად, რაც ძალიან მახარებს. მჯერა, ევროპის ჩემპიონატზე მარიო თავის სიტყვას იტყვის".

**ლაშა ნიკლაური**

● ტოტენჰემ ჰოტსპური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰარი რედნაპს სასამართლო ელის

ინფორმაცია, რომელსაც საგულდაგულოდ მალავდნენ მოულოდნელად საჯარო გახდა: იანვარში „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მწვრთნელ **ჰარი რედნაპს** სასამართლო გარჩევა ელის. 64 წლის რედნაპი საუთუორკში პარტნიორ **მილან მანდარიჩთან** ერთად წარდგება. მანდარიჩი, მოგეხსენებათ, პირველი ლიგის გუნდის, „შეფილდ უენსდის" თავმჯდომარეა. პირველი სხდომა 23 იანვარს გაიმართება.

რედნაპი და მანდარიჩი ერთად „პორტსმუთში" მუშაობდნენ. მანდარიჩი იქაც თავმჯდომარე გახლდათ, რედნაპი კი მწვრთნელი. საეჭვოა ორი თანხის ამბავი — ლაპარაკია, 145 ათას და 150 ათასი დოლარზე, რომელიც რედნაპს მანდარიჩისგან მიუღია. როგორც ირკვევა, მწვრთნელმა ანგარიში მონაკოს ბანკში გახსნა და თავმჯდომარემაც ფული იქ გადაურიცხა. დეტალები ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო არ უნდა იყოს და მათი აღწერაც აშკარად მოსაწყენი საქმიანობაა, მაგრამ ზოგადად მოგახსენებთ, რომ საქმე გადასახადებისგან თავის დაძვრენას ეხება. რედნაპიცა და მანდარიჩიც კანონის დარღვევას უარყოფენ.

საინტერესოა, რომ სასამართლოს სხდომამდე ერთი დღით ადრე „ტოტენჰემი" პრემიერლიგაში „მანჩესტერ სიტის" ხვდება. ეს, უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მანჩესტერში, „ეტიჰედ სთედიუმზე" უნდა გაიმართოს. საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ სასამართლო პროცესი ორ კვირას გასტანს, ამ დროის განმავლობაში კი „დეზები" შინ „უიგანს" და სტუმრად „ლივერპულს" შეხვდებიან. თუკი რედნაპს ამ პერიოდში სასამართლოში მოუწევს სიარული, მას, ბუნებრივია, ვარჯიშებიც გაუცდება და მათ მისი ასისტენტები, **ჯოი ჯორდანი** და **კევინ ბონდი** ჩაატარებენ.

მოგეხსენებათ, „ტოტენჰემ ჰოთსპური" ჰარი რედნაპის ხელში, ბოლო 25 წლის განმავლობაში, საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებს. „დეზები" გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოდიოდნენ და მეტიც, ჯგუფურ ეტაპს გაცდნენ კიდეც — მეოთხედფინალში „რეალთან" დამარცხდნენ. გარდა ამისა, ბოლო წლებში გუნდი პრემიერლიგის უძლიერეს გუნდებს საკმაოდ ავიწროებს და ოთხეულში ადგილის დამკვიდრებას ცდილობს.

„ტოტენჰემში" მიღწეული წარმატებების გამო რედნაპი ინგლისში არნახულად პოპულარული გახდა და **ფაბიო კაპელოს** გადადგომის შემდეგ ანუ 2012 წლის ზაფხულში (ევროპის ჩემპიონატი რომ დასრულდება), მის შემცვლელად ჰყავთ შეგულებული.

ჰარი რედნაპმა გულის მცირე ოპერაციის გამო, „სფურზის" ბოლო ორი მატჩი გამოტოვა.

**ილია ბაბუნაშვილი**



ჰარი რედნაპი

● ამბები

## პედრო გამოჯანმრთელდა



„ბარსელონას" 24 წლის ფორვარდმა **პედრო როდრიგესმა** კლუბის ლაზარეთში ნახევარი თვე გაატარა, თუმცა მან უკვე მოირჩინა ტრავმა და გუნდთან ერთად ვარჯიშიც განაახლა. **ხოსეპ გვარდიოლა** ფიქრობს, რომ პედრო შაბათის მატჩისთვის („სარაგოსას" წინააღმდეგ) მზად იქნება. ესპანეთის ნაკრების ნევრმა კოჭი „გრანადასთან" 1:0 მოგებულ მატჩში დაიშავა. შაბათს პედრო პირველად შეუერთდა თანაგუნდელებს, თუმცა შემდეგ ისევ ტრენაჟორების დარბაზს დაუბრუნდა.

## რადამელ ფალკაო: მინდა, რეალს გავუტანო

**რადამელ ფალკაომ**, რომელმაც კოლუმბიის ნაკრების ვარჯიშზე მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა, განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ 27 ნოემბერს მადრიდული დერბისთვის სრულ მზადყოფნაში იყოს. 25 წლის ფეხბურთელი, რომელიც „ატლეტიკოს" 40 მილიონი ევრო დაუჯდა, ესპანურ პრიმერაში კარგად გამოიყურება იმის მიუხედავად, რომ მადრიდული კლუბი მაინცდამაინც ვერ ყოჩაღობს. ამ ტრავმამ ფალკაოს ვენესუელასთან შეხვედრა გამოატოვებინა, ფორვარდი ვერც არგენტინელებს დაუპირისპირდება.

*„ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ვითამაშო. ვიცი, რომ იქამდე დრო ცოტა რჩება. იმედია, გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფად წარიმართება და მეც მწყობრში მალე ჩავდგები. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა „რეალს" გავუტანო",* - განაცხადა „პორტუს" ექსვარსკვლავმა.

## საით, ბიჭო?

**ხავიერ სავიოლას** აგენტმა განაცხადა, რომ 29 წლის ფეხბურთელის მომავალი ბედი მთლიანად მისი ამჟამინდელი კლუბის, „ბენფიკას" გადასაწყვეტია. მწვრთნელი სავიოლაზე წინ **ოსკარ კარდოსოსა** და **როდრიგოს** აყენებს, არგენტინელს კი ძირითადად შეცვლაზე უწევს თამაში. სავიოლა 2012 წლამდე ლისაბონურ კლუბთან არის დაკავშირებული, მაგრამ პორტუგალიაში ჭორი დაირხა, რომ ის იანვარშივე გამოიცვლის გუნდს. ფეხბურთელის აგენტი მოვლენათა ასეთ განვითარებას არ გამორიცხავს, მაგრამ **დიეგო კიეროგას** მიაჩნია, რომ ყველაფერი „ბენფიკას" ხელთაა. *„ჩემს კლიენტს კიდევ 6 თვე დარჩა კონტრაქტით სათამაშო. თუკი რამე შეიცვალა, ინიციატორი აუცილებლად კლუბი იქნება და არა ჩვენ",* - განაცხადა აგენტმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები. უკრაინასთან მატჩის შემდეგ

# გერმანია ეძებს დაცვის ბურჯს

## უკრაინასთან სამი გოლის გაშვება მარტო ტაქტიკური სქემის შეცვლის ბრალი არ იყო...



ჰუმელსი არ ვარგოდა, ბადშტუბერს (მარჯვნივ) კიდევ არა უშავდა



მიუხედავად იმისა, რომ სამი გოლი გაუშვა, დებიუტანტი ცილერი მაინც შეაქეს

**პარასკევს, გერმანიის ნაკრებმა კიევში სამი გოლი გაიტანა, მაგრამ ამდენივე გაუშვა და უკრაინასთან 3:3 ბუნდესგუნდისთვის მისალებ შედეგად ვერ ჩაითვლება. თუმცა ეს ამხანაგური მატჩი იყო, რომელშიც იოახიმ ლიოვმა არაერთი ექსპერიმენტი შემოგვთავაზა – ყველაზე მთავარი ტაქტიკური სქემის შეცვლა და სამ მცველზე გადასვლა გახლდათ.**

| უკრაინა–გერმანია | 3:3 |
|---|---|

**უკრაინა (4-1-3-2):** რიბკა – ბუტკო, კუხერი, რაკიცკი, სელინი – ტიმოშჩუკი – იარმოლენკო (82. ალიიევი), ბეზუსი (39. ნაზარენკო), კონოპლიანკა (93. ფედეცკი) – მილევსკი (66. დევიცი), შევჩენკო (67. გაი).

**გერმანია (3-4-2-1):** ცილერი – ბოატენგი, ბადშტუბერი, ჰუმელსი – ტრეში (46. შიურლე), ხედირა (46. როლფესი), კროოსი (87. ლ. ბენდერი), აოგო – გიოტცე (66. თ. მიულერი), იოზილი (66. პოდოლსკი) – გომესი (83. კაკაუ).

**გოლები:** 1:0 იარმოლენკო (28), 2:0 კონოპლიანკა (36), 2:1 კროოსი (38), 3:1 ნაზარენკო (45), 3:2 როლფესი (65), 3:3 თ. მიულერი (77)

**გაფრთხილება:** ბეზუსი, კონოპლიანკა, ტიმოშჩუკი

**მაყურებელი:** 69 720

### ვინ უნდა იყოს დაცვის შეფი?

უკრაინასთან ამხანაგური თამაში **იოახიმ ლიოვისთვის** თავიდან ბოლომდე ექსპერიმენტი იყო და რაკი თავიდანვე თქვა, ბევრი რამით გაგაოცებთო, ალარავის გაუკვირდა ისიც, რომ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კიევში ისეთი ტაქტიკური სქემით დაიწყო თამაში, რომლითაც ბუნდესგუნდს მის ხელში არასდროს უასპარეზია. 3-4-2-1 – ასეთი იყო ლიოვის ახალი, ექსპერიმენტალური სქემა, რომელშიც განაპირა მცველების ფუნქციებს **კრისტიან ტრეში** (მარჯვნივ) და **დენის აოგო** (მარცხნივ) ითავსებდნენ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათ ორივე ფლანგი მთლიანად ჰქონდათ ჩაბარებული. სამი მცველით (**ბოატენგი, ბადშტუბერი, ჰუმელსი**) ბუნდესგუნდმა ლიოვის ხელში პირველად ითამაშა და გერმანიის ნაკრების გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა იმედოვნებს, რომ ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო. ეს სქემა თავის მხრივ ცუდი ნამდვილად არ არის, პირიქით, ერთ-ერთი ყველაზე კრეატიული ტაქტიკაა, მაგრამ მას შეჩვევა სჭირდება, გერმანიის ნაკრებს კი ამის დრო ალარ აქვს. წინა ხაზი კიდევ გაართმევდა თავს (კიევშიც გაართვა), აი დაცვა კი აშკარად აჭრილი იყო. უკრაინის ნაკრებმა გერმანიას სამი გოლი რომ გაუტანა, ეს მხოლოდ ტაქტიკური ცვლილების ბრალი არ ყოფილა – კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ გერმანიის ნაკრებს დაცვის ბურჯი არ ჰყავს.

ჟერომ ბოატენგმა, ჰოლგერ ბადშტუბერმა და მატს ჰუმელსმა შეუცვლელად ისპარეზეს და მათგან მოწონება მხოლოდ 22 წლის ბადშტუბერმა დაიმსახურა. ორთაბრძოლების დროს მშვენივრად მოქმედებდა, შეტევებსაც ჭკვიანურად იწყებდა და პოზიციურადაც შესანიშნავად იდგა. გაგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიოვი მას მარცხენა მცველის პოზიციაზე ათამაშებდა (ჰოლგერი ცაციაა), მაგრამ მერე ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა, ახლა კი ისევ დაუბრუნდა სასტარტო თერთმეტეულს და დღევანდელი გადასახედიდან, გერმანიის ნაკრები ბადშტუბერის გარეშე წარმოუდგენელია.

ექსპერტები და ქომაგები ყველაზე მეტს ჰუმელსისგან ელოდნენ, მაგრამ 22 წლის დორტმუნდელმა ყველას იმედები გაუცრუა – უკვე მერამდენედ?! ლიოვმა დორტმუნდელი 2011 წლის 12 მატჩიდან რვაში ძირითად შემადგენლობაში ათამაშა, მაგრამ ჰუმელსზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, შანსი გამოიყენა და ბუნდესგუნდის ძირითადში ადგილი დაიმკვიდრაო. „ბორუსიაში" ძალიან კარგად გამოიყურება, ნაკრებში კი მატსის უმთავრესი პრობლემა ტაქტიკური უდისციპლინობაა. უკრაინელთა მეორე გოლის დროს სწორედ მან დაკარგა ბურთი და მერე **მარიო გიოტცე** იძულებული გახდა, დაცვას მის ნაცვლად მიხმარებოდა. გარდა ამისა, ჰუმელსი შეტევებს ყოველთვის ერთნაირად იწყებს – გრძელი, მაღალი პასით წინ, რაც ლიოვს სასტიკად არ მოსწონს.

დაცვის ცენტრში ლიოვს ბოატენგის ვარიანტიც აქვს – მით უმეტეს, რომ 23 წლის ჟერომი ხშირად იმეორებს, ჩემი ადგილი ცენტრშია და არა ფლანგზეო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იოგი სურვილს არ შეუსრულებს, რადგან ბოატენგი ზედმეტად ხისტი და ფსიქოლოგიურად არამდგრადი ფეხბურთელია, ხშირად საჯარიმოს ხაზთან უაზროდ არღვევს თამაშის წესს და ლიოვს ამიტომაც ურჩევნია, რომ ის მარჯვენა მცველის პოზიციაზე ათამაშოს. თანაც, ბუნდესმწვრთნელის აზრით, ბოატენგი ფლანგზე უფრო პროდუქტიულია.

წლების მანძილზე გერმანიის ნაკრების დაცვის შეფი **პერ მერტეზაკერი** იყო, რომელიც ახლა ლონდონის „არსენალში" თამაშობს და 27 წლისაა. მერტეს სამი დიდი ტურნირი აქვს ნათამაშები და ბუნდესგუნდში 78 მატჩის ჩატარება მოასწრო, რითაც დღეისათვის გერმანიის ნაკრების ყველა მცველზე გამოცდილია. თუმცა პერი ამ ბოლო დროს არასტაბილური გახდა. თვალშისაცემია, რომ მას პრემიერლიგასთან შეგუება უჭირს, რადგან ინგლისში გერმანიაზე მაღალი ტემპია. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების დაცვის ბურჯობის საუკეთესო შანსი დღეს მაინც მერტეზაკერს აქვს. უკრაინასთან პერს არ უთამაშია და ცხადია, რომ ხვალ ჰოლანდიასთან აუცილებლად ითამაშებს.

### ლიოვის 50-ე დებიუტანტი: ცილერი კარგი იყო

უკრაინასთან გერმანიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 22 წლის მეკარე **რონ-რობერტ ცილერს**, რომელიც „ჰანოვერის" ღირსებას იცავს, 2008 წელს კი ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონი გახდა. იმის გამო, რომ 3 გოლი გაუშვა, ახალგაზრდა კიპერი თავის სადებიუტო შეხვედრას წარმატებულად ვერ ჩათვლიდა, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი გოლი მისი ბრალი არ იყო. მეტიც: ცილერი ბუნდესგუნდს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გადაარჩენდა – უკრაინელთა გოლები გერმანიის ნაკრების მცველების სინდისზეა: პირველი გოლი უკრაინელთა სასტიკ კონტრიერიშს მოჰყვა და ცილერი **იარმოლენკოს** დარტყმის დროს უშანსოდ იყო, მეორე გოლის დროს ჰუმელსმა დაუშვა უპატიებელი შეცდომა და ჰანოვერელი ვერც **ნაზარენკოს** შორეულ, შესანიშნავ დარტყმას მოიგერიებდა. 89-ე წუთზე კი ცილერმა თავისი ნიჭი გამოავლინა და გერმანიას ფრე გადაურჩინა.

*„ცილერის თამაშით კმაყოფილი დავრჩი, რადგან გაშვებულ გოლებში მას ბრალი ყველაზე ნაკლებად მიუძღვის. საერთო ჯამში, დღეს ორჯერ გვიხსნა გაშვებული გოლისგან,"* - ეს ლიოვის სიტყვებია.

### გიოტცე და იოზილი ერთად ჯერ ვერ ძოვენ

უკრაინასთან ძირითად შემადგენლობაში ერთად პირველად ვიხილეთ მარიო გიოტცესა და **მესუთ იოზილის** ტანდემი და თუკი ცალ-ცალკე დაფრინავენ ხოლმე, ერთად ბევრი ვერაფერი მოახერხეს. „გიოტცინიო" და მესუთი ერთადერთი ცენტრფორვარდის, მარიო გომესის უკან მოქმედებდნენ, რომელიც კარიერაში პირველად იყო ბუნდესგუნდის კაპიტანი. აშკარად ჩანდა, რომ „რეალისა" და „დორტმუნდის" გამთამაშებლები ერთმანეთს ვერ უგებდნენ და ხშირად ხელსაც კი უშლიდნენ. თვალსასეირო კომბინაცია მათ მხოლოდ ერთხელ გამოუვიდათ, როცა გიოტცემ ბრწყინვალე პასი მისცა იოზილს, რომელმაც უკრაინელთა კარს ბურთი მცირე მანძილით ააცილა. 66-ე წუთზე კი ლიოვმა თამაშიდან ორივე მოხსნა.

ლოგიკურად, ლიოვმა ჰოლანდიასთან ისინი ერთად ალარ უნდა ათამაშოს.

● მოსალოდნელი ტრანსფერები



მარკო როისს ინგლისში უხმობენ

# როისი სიტიმაც დაადასტურა

## გადაიხდიან მანჩესტერელები 18 მილიონს?

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" უნიჭიერესი გარემარბის, **მარკო როისის** მსურველთა რაოდენობა იზრდება. რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, რომ 22 წლის ნახევარმცველის შეძენა ლონდონის „არსენალს" უნდა, რაც გერმანულმა კლუბმა ოფიციალურად დაადასტურა. ახლა კი, გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის გადაბირება „მანჩესტერ სიტიმაც" მოისურვა.

*„მარკო როისს დიდი ხანია ვაკვირდებით. დასამალი არაფერია: მე ის ძალიან მომწონს,* - აცხადებს „ბილდთან" საუბარში „სიტის" შეფსკაუტი **მარკ რიჯი** და იქვე დასძენს, *- როისი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელია."*

მარკოს „გლადბახთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც როისს მიონხენგლადბახიდან წასვლა მანამდეც შეუძლია. კერძოდ, 2012 წლის ზაფხულში „გლადბახმა" თავისი „მარგალიტი" 18 მილიონ ევროდ უნდა დათმოს, 2013 წლის ზაფხულში 15 მილიონად, 2014 წლის ზაფხულში კი – 12 მილიონად. „სიტის" კი ფული არ უჭირს. შეგახსენებთ, რომ როისით მიუნხენის „ბაიერნიცაა" დაინტერესებული.

# დელ პიეროს ათიანს გიოტცეს უნახავენ

## იუვენტუსს ჰამბურგელი აოგოც უნდა

„ჰამბურგის" მარცხენა მცველი **დენის აოგო** ამ ბოლო დროს ისე ველარ თამაშობს, როგორც მისგან გულშემატკივრები ითხოვენ – ვერც კლუბში და ვერც ნაკრებში მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. მიუხედავად ამისა, 24 წლის გერმანელზე მაინც არის მოთხოვნა. დიდი ხანია, ტურინის „იუვენტუსის" ხელმძღვანელები მის გადაბირებაზე ფიქრობენ და თუკი აქამდე საბოლოო გადაწყვეტილებას ვერ იღებდნენ, ჩვენი იტალიელი კოლეგების ინფორმაციით, ბოლოს და ბოლოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აოგო სჭირდებათ.

„კორიერე დელო სპორტის" ცნობით, „იუვეს" თავკაც **ანტონიო კონტეს** აოგო მოსწონს, რის გამოც „ბებერი ქალბატონის" ბოსები გერმანელი მარცხენა მცველის ყიდვას ზამთარში შეეცდებიან. ხსენებული გამოცემა იმასაც გვამცნობს, რომ „იუვემ" აოგოსთვის შვიდი მილიონი ევრო გაამზადა. ფაქტი ის არის, რომ ტურინელებს ახალი მარცხენა მცველი მართლაც სჭირდებათ, რადგან ამ პოზიციაზე კონტესთვის ერთადერთი ალტერნატივა „იუვეს" აღზრდილი **პაოლო დე ჩელიეა**. ბოლო დროს კონტე მარცხენა მცველის პოზიციაზე **ჯორჯო კიელინის** ათამაშებს, რომლის ადგილი დაცვის ცენტრშია.

ახალი კი უფრო საინტერესო ცნობა იტალიიდან: როგორც ირკვევა, კონტეს ბუნდესლიგიდან მხოლოდ აოგოს გადაბირება არ უნდა და არც მეტი, არც ნაკლები, დორტმუნდის „ბორუსიას" ვუნდერკინდ **მარიო გიოტცესაც** უმიზნებს. ამ ტრანსფერის რეალურობაზე „გაძეტა დელო სპორტი" წერს. ტაბლოიდი იტყობინება, რომ „იუვენტუსი" „ბორუსიას" გიოტცეს სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს და **მილოშ კრასიჩს** ან **ელჯერო ელიას** შესთავაზებს. „გაძეტა" იმასაც იუწყება, რომ ტურინელები **ალესანდრო დელ პიეროს** ათნომრიან მაისურას სწორედ გიოტცეს უნახავენ, რომელიც თამაშის სტილით ალექსს მართლაც ძალიან ჰგავს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



მარიო გიოტცეს გადაბირება იუვემაც მოინდომა

## უცხოური ფეხბურთი

● ევროტრეპეტიცია

# ზოგჯერ ჩემპიონებიც მარცხდებიან

## ამჯერად უემბლი ტიკი-ტაკას მომზადებული დაუხვდა



ეს ეს არის ლემპარდმა გამარჯვების გოლი გაიტანა

| ინგლისი–ესპანეთი | 1:0 |
|---|---|

**ინგლისი (4-3-3):** ჰარტი - გ. ჯონსონი, ლესკოტი, ჯეგიელკა, ე. კოული - ჯონსი (57. როდველი), პარკერი (85. უოლკერი), ლემპარდი (57. ბერი) - უოლკოტი (46. დაუნინგი), ბენტი (64. უელბეკი), მილნერი (76. ა. ჯონსონი).

**ესპანეთი (4-3-3):** კასილიასი (46. რეინა) - არბელოა, რამოსი (74. პუიოლი), პიკე, ალბა - ჩავი (46. ფაბრეგასი), ბუსკეტსი (64. ტორესი), ჩაბი ალონსო - ინიესტა (74. კასორლა), სილვა (46. მატა), ვილია.

**გოლი:** 1:0 ლემპარდი (49)

**გაფრთხილება:** მილნერი - რამოსი, ფაბრეგასი

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 18-9; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 3-21 (2-2); **ბურთის ფლობა:** 29%-71%.

**მაყურებელი:** 87 189

**ფაბიო კაპელომ** და ინგლისის ნაკრებმა ნათლად დაგვანახეს, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი, ჩვენი მომავალი მეტოქე მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე, სულაც არ არის დაუმარცხებელი გუნდი. იმისდა მიუხედავად, რომ სტუმრებმა კარისკენ 21-ჯერ დაარტყეს, მასპინძლებმა კი მხოლოდ 3-ჯერ (აქედან გოლის ეპიზოდში 2-ჯერ), „ლა როხამ" ბურთი დროის 71% შეინარჩუნა, გამარჯვება „სამ ლომს" დარჩა - **ფრენკ ლემპარდმა** 49-ე წუთზე ცოტა უშნო, მაგრამ გადამწყვეტი გოლი გაიტანა **პეპე რეინას** კარში.

შესაძლოა, უპირატესობა სულ ესპანელებისა იყო, მაგრამ კაპელოს გუნდმა კარგად დაიცვა თავი. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ მასპინძლები, მეტოქისგან განსხვავებით, უძლიერესი შემადგენლობით არ თამაშობდნენ. განსაკუთრებით კი შუახაზში **სკოტ პარკერის**, დაცვის ცენტრში კი **ჯოლეონ ლესკოტის** გარჯას გამოვყოფთ. ესპანელებმა კი ვერაფრით გაასწორეს სამიზნე, მხოლოდ **დავიდ ვილიამ** 7-ჯერ დაარტყა **ჯო ჰარტის** კარისკენ და ყველა ააცილა (ერთხელ კი ხარიხას გაარტყა, მაგრამ სტატისტიკის ენაზე ეს აცილებაა). კარში სტუმართა 21 დარტყმიდან მხოლოდ 2 წავიდა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან სამი წუთი იყო გასული, როცა ინგლისელებმა მარცხენა ფრთიდან ჩამოაწოდეს, ყველას თავით **დარენ ბენტმა** დაასწრო, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. სიტუაციაში უმალ გაერკვა **ჯონ ტერის** არყოფნაში კაპიტნად დანიშნული ფრენკ ლემპარდი და ახლო მანძილიდან თავით ცარიელი კარი დალაშქრა. ეს ალბათ ლემპარდის კარიერაში ყველაზე იოლი გოლია, არადა, მან თავი გადაჭედილ „უემბლიზე", მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ გამოიჩინა. „სამმა ლომმა" „ლა როხას" „უემბლიზე" 1968 წლის მერე პირველად მოუგო.

თამაში დაიწყო და **ვისენტე დელ ბოსკემ** 5 ბარსელონელი გამოიყვანა, იმათთაგან, რომელთაც მაისში ამავე სტადიონზე შესანიშნავი გაკვეთილი ჩაუტარეს „მანჩესტერ იუნაიტედს". იგივე „ტიკი-ტაკა" ერთი განსხვავებით - მათ (ბუნებრივია) აკლდათ მთავარი მოქმედი პირი **ლეო მესი**. შედეგად, ინგლისელებს ბურთი სანატრელი გაუხდათ, ერთადერთი არ დაბნეულა **სკოტ პარკერი**, რომელიც ორთაბრძოლებში შესვლას არ ერიდებოდა. კარში პირველი მაინც მასპინძლებმა დაარტყეს, მაგრამ ესპანეთის ნაკრების რეკორდსმენ **იკერ კასილიასს** სულ არ გასჭირვებია ლემპარდის დარტყმულის აღება.

ესპანეთმა კი შეუტია, მაგრამ ჰარტს საქმე არ მომატებია, თუ არ ჩავთვლით მისი თანაკლუბელი **დავიდ სილვას** დარტყმულს, ისიც მახვილი კუთხიდან, მეკარეს საქმე არ ჰქონია, ისევე როგორც წინ წაწეულ ფორვარდ ბენტს.

ერთადერთი გოლი **ალვარო არბელოას** შეცდომას მოჰყვა, რომელმაც ინგლისელებს ჯარიმის დარტყმის საშუალება მისცა, **ჯეიმს მილნერმა** ჩააწოდა და მერე რაც მოხდა, უკვე მოვყევით. ეს ლამპარდის 23-ე გოლია ეროვნული ნაკრების მაისურით. ამის მერე იყო ვილიას აცილებები, მისი სახიფათო გასროლა, როცა ბურთი ხარიხას მოხვდა და ბოლოს, **სესკ ფაბრეგასის** მომენტი, როცა ყოფილმა არსენალელმა 8 მეტრიდან ააცილა კარს.

**ფრენკ ლემპარდი:** *„ყველას გვიხარია, მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ - უნდა გვახსოვდეს, რომ უპირატესობა სულ მეტოქეს ჰქონდა. ჯერ ის გუნდი არ ვართ თავი მოვიწონოთ, თუმცა ესპანეთის დარი ნაკრებების დამარცხება სწორედაც, რომ საამაყოა. მინდა აღვნიშნო დაცვის ხაზი და სკოტ პარკერი, სკოტი უბრალოდ ფანტასტიკურად თამაშობდა. რომ არა ეს ხუთეული, ესპანეთი თავიანთ თამაშს ჩვენივე საჯარიმოში მოგვახვევდა. ეჭვიც არაა, ესპანეთის ნაკრები მსოფლიოში საუკეთესოა".*

**ვისენტე დელ ბოსკე:** *„ჩემმა გუნდმა ყველაფერი გააკეთა სწორად. კარგად ვითამაშეთ, ბევრი შანსიც შევქმენით, მაგრამ ვერაფრით გავიტანეთ. ინგლისელებმა კი კარგად გამოიყენეს ერთადერთი შანსი. რაც მთავარია, ჩვენ არ ვუღალატეთ საკუთარ თამაშის სტილს".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




● ბრაზილია 2014 შესარჩევი მატჩები

# სუარესის დღე

## არგენტინა ისევ შერცხვა

| სამხრეთ ამერიკა. III ტური | |
|---|---|
| არგენტინა–ბოლივია | 1:1 |

**არგენტინა:** რომერო, ბურდისო, დემიკელისი, საბალეტა, კ. როდრიგესი, მასკერანო (82. სოსა), გაგო, პასტორე, რ. ალვარესი (59. ლავეცი), მესი, იგუაინი.

**გოლები:** 0:1 მარტინსი (56), 1:1 ლავეცი (60)

| ურუგვაი–ჩილე | 4:0 |
|---|---|

**ურუგვაი:** მუსლერა, ლუგანო, კასერესი, გოდინი, ა. პერეირა, დ. პერესი, ა. გონსალესი (70. ეგურენი), არევალო, გ. რამირესი (58. აბრეუ), სუარესი (77. კ. როდრიგესი), კავანი.

**გოლები:** 1:0 სუარესი (42), 2:0 სუარესი (45), 3:0 სუარესი (68), 4:0 სუარესი (74)

| პარაგვაი–ეკვადორი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 რივეროსი (47), 2:0 დ. ვერონი (57), 2:1 როხასი (90)

| კოლუმბია–ვენესუელა | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 გუარინი (11), 1:1 ფელტშერი (79)

**პერუ ისვენებდა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ურუგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-3 | 7 |
| 2. არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 3. კოლუმბია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. პარაგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 5. ვენესუელა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 6. ეკვადორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 7. პერუ | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 8. ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 5-10 | 3 |
| 9. ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - ლუის სუარესი (ურუგვაი); 3 - გონსალო იგუაინი (არგენტინა).

**მომდევნო ტური**

15 ნოემბერი: კოლუმბია-არგენტინა, ეკვადორი-პერუ, ჩილე-პარაგვაი, ვენესუელა-ბოლივია.

იშვიათად, რომ სანაკრებო მატჩში ერთ ფეხბურთელს ასე კარგად ეთამაშოს - საქმე მხოლოდ ისიც არაა, რომ **ლუის სუარესმა** ჩილელთა კარში 4 გოლი გაიტანა, თუმცა მეტი რაღა უნდა ექნა - „ლივერპულის" 24 წლის ფორვარდმა უბრალოდ სისხლი გაუშრო მეკარე **კლაუდიო ბრავოს**, თუმცა, რომ არა „რეალ სოსიედადის" გოლკიპერის სიყოჩაღე, ანგარიში კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. მონტევიდეოს „სენტენარიოზე" კოპა ამერიკის ჩემპიონმა 4:0 მოუგო ჩილეს და შესარჩევ ციკლში გალიდერდა.

სუარესმა გოლებიც ყველანაირი გულშემატკივრის გემოვნების დასაკმაყოფილებლად გაიტანა, თითო მარჯვენათი და მარცხენათი, ორიც თავით. ის პირველი ურუგვაელია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პოკერი შეასრულა. *„სიხარულისგან ვტიროდი, ისეთი ოვაციები მივიღე ტრიბუნებისგან, როცა მოედნიდან გავდიოდი. თამაში ისე განვითარა, რომ ვერც ვიოცნებებდი. ჩემი გოლები? ეს ხომ მთავარი არაა, მთავარია, რომ მოვიგეთ და პირველ ადგილზე ვართ"*, - განაცხადა ტურის გმირმა შეხვედრის შემდეგ.

9-გუნდიანი ტურნირიდან ბრაზილიის საგზურს 4 მოიპოვებს, ერთი კი ბრძოლას რეპეშაჟში გააგრძელებს. თუ ასე გააგრძელა, არგენტინის ნაკრებს მუნდიალის საგზურის მოპოვება გაუჭირდება. მე-3 ტურში **ალეხანდრო საბელიას** გუნდმა „რივერ პლეიტის" „ესტადიო მონუმენტალზე" შეცვლაზე შესული **ესეკილ ლავეცის** გოლის წყალობით გადაარჩინა ქულა ბოლივიასთან. არადა, **ლეო მესიმაც** ითამაშა, **ხავიერ პასტორემაც** და **გონსალო იგუაინმაც** - სამმა სუპერვარსკვლავმა, რომლებიც ევროპაში სუპერფორმაში არიან. არ იყო მხოლოდ **სერხიო აგუერო**, რომელსაც ტრავმამ შეუშალა ხელი.

**კონკაკაფი. V ტური**

**A ჯგუფი**

| დომინიკ. რესპ.–კაიმანი | 4:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ნავარო (15), 2:0 ოსუნა (40), 3:0 კ. როდრიგესი (63), 4:0 მორილიო (79)

| სურინამი–ელ სალვადორი | 1:3 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ბლანკო (21), 0:2 ბლანკო (58), 0:3 ე. სანჩესი (77), 1:3 ესპერანსე (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელ სალვადორი | 5 | 5 | 0 | 0 | 16-5 | 15 |
| 2. დომინიკ რ. | 5 | 2 | 1 | 2 | 11-7 | 7 |
| 3. სურინამი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 4. კაიმანი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |

**B ჯგუფი**

| ბერმუდა–ბარბადოსი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ადამსონი (7), 1:1 სმიტი (27-პენ), 2:1 სტიდი (49)

**გაძევება:** ბოქსილი (90. ბარბადოსი)

| გაიანა–ტრინიდადი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 შეიკსი (10), 2:0 კორტი (81), 2:1 კ. ჯონსი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაიანა | 5 | 4 | 1 | 0 | 9-3 | 13 |
| 2. ტრინიდადი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-4 | 9 |
| 3. ბერმუდა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 4. ბარბადოსი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-12 | 0 |

**C ჯგუფი**

| ნიკარაგუა–დომინიკა | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 ლეგუიასი (57)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანამა | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 9 |
| 2. ნიკარაგუა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 3. დომინიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-8 | 0 |

**D ჯგუფი**

| სტ. კიტსი–კანადა | 0:0 |
|---|---|
| სტ. ლუსია–პუერტო რიკო | 0:4 |

**გოლები:** 0:1 არიეტა (4), 0:2 რამოსი (14), 0:3 რამოსი (46), 0:4 კაბრერო (53)

**გაძევება:** ედვარდსი (82. სტ. ლუსია), მარტინესი (82. პუერტო რიკო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 5 | 3 | 2 | 0 | 14-1 | 11 |
| 2. სტ. კიტსი | 5 | 1 | 4 | 0 | 6-4 | 7 |
| 3. პუერტო რიკო | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 4. სტ. ლუსია | 5 | 0 | 1 | 4 | 4-20 | 1 |

გაგრძელება მე-9 გვერდზე



ლუის სუარესმა პოკერი მოითვალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012 პლეი ოფების I მატჩები

# სუარესის დღე

### E ჯგუფი

**ბელიზი–სტ. ვისენტი 1:1**

გოლები: 0:1 სტუარტი (13), 1:1 მაკოლი (16)
გაძევება: ტრიმინგამი (89. სტ. ვისენტი)

**გვატემალა–გრენადა 3:0**

გოლები: 1:0 გარსია (1), 2:0 გარსია (30), 3:0 პადილა (44)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გვატემალა | 5 | 5 | 0 | 0 | 15-2 | 15 |
| 2. სტ. ვისენტი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-10 | 5 |
| 3. ბელიზი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| 4. გრენადა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |

### F ჯგუფი

**ვირჯინის კ.–კერემაო 0:3**

გოლები: 0:1 სიბერი (8), 0:2 სიბერი (13), 0:3 ბიტო (26)

**ანტიგუა–ჰაიტი 1:0**

გოლი: 1:0 სკეპლი (82)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანტიგუა | 5 | 5 | 0 | 0 | 25-3 | 15 |
| 2. ჰაიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 19-5 | 10 |
| 3. კერემაო | 5 | 1 | 1 | 3 | 9-12 | 4 |
| 4. ვირჯ. | 5 | 0 | 0 | 5 | 1-34 | 0 |

*შენიშვნა: III საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯგუფის გამარჯვებულები გადიან.*

### აზია. IV ტური

### A ჯგუფი

**ერაყი–ჩინეთი 1:0**

გოლი: 1:0 მაჰმუდი (90)
გაძევება: ლინპენი (85. ჩინეთი)

**იორდანია–სინგაპური 2:0**

გოლები: 1:0 იბრაჰიმი (15), 2:0 დეები (65)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იორდანია | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| 2. ერაყი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-2 | 9 |
| 3. ჩინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 4. სინგაპური | 4 | 0 | 0 | 4 | 1-9 | 0 |

### B ჯგუფი

**საამიროები–კორეა 0:2**

გოლები: 0:1 კეონ-ჰო ლი (88), 0:2 ჩუ-იუნ პარკი (90)

**ქუვეითი–ლიბანი 0:1**

გოლი: 0:1 ელ ალი (57)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორეა | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| 2. ლიბანი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-9 | 7 |
| 3. ქუვეითი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 4. საამიროები | 4 | 0 | 0 | 4 | 4-10 | 0 |

### C ჯგუფი

**ტაჯიკეთი–იაპონია 0:4**

გოლები: 0:1 კონო (35), 0:2 ოკაზაკი (61), 0:3 მაედა (82), 0:4 ოკაზაკი (90)

**უზბეკეთი–ჩრდ. კორეა 1:0**

გოლი: 1:0 კაპაძე (49)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იაპონია | 4 | 3 | 1 | 0 | 14-1 | 10 |
| 2. უზბეკეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 4-1 | 10 |
| 3. ჩრდ. კორეა | 4 | 1 | 0 | 3 | 1-3 | 3 |
| 4. ტაჯიკეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-14 | 0 |

### D ჯგუფი

**ომანი–ავსტრალია 1:0**

გოლი: 1:0 ალ ჰოსნი (18)

**ს. არაბეთი–ტაილანდი 3:0**

გოლები: 1:0 ჰაზაზი (59), 2:0 ალ ფრაიდი (80), 3:0 ნოორი (89-პენ)
გაძევება: ბუნმატჰანი (90. ტაილანდი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრალია | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| 2. ს. არაბეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 3. ტაილანდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 4. ომანი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-6 | 4 |

### E ჯგუფი

**ბაჰრეინი–ირანი 1:1**

გოლი: 1:0 ალ ოიაიმი (46), 1:1 ჯაბარი (90)

**ყატარი–ინდონეზია 4:0**

გოლები: 1:0 რაზაქი (30), 2:0 იბრაჰიმი (33-პენ), 3:0 იბრაჰიმი (64), 4:0 სორია (90)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირანი | 4 | 2 | 2 | 0 | 11-2 | 8 |
| 2. ყატარი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 3. ბაჰრეინი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-7 | 5 |
| 4. ინდონეზია | 4 | 0 | 0 | 4 | 2-12 | 0 |

*შენიშვნა: ჯგუფიდან 2-2 გადის შემდეგ ეტაპზე*

### აფრიკა. I რაუნდი. I მატჩები

| | |
|---|---|
| კომორები-მოზამბიკი | 0:1 |
| ჯიბუტი-ნამიბია | 0:4 |
| ერიტრეა-რუანდა | 1:1 |
| სეიშელები-კენია | 0:3 |
| სვაზილანდი-კონგოს რესპ. | 1:3 |
| ეკვ. გვინეა-მადაგასკარი | 2:0 |
| ჩადი-ტანზანია | 1:2 |
| სან ტომე-კონგო | 0:5 |
| გვინეა-ბისაუ-ტოგო | 1:1 |
| ლესოტო-ბურუნდი | 1:0 |
| სომალი-ეთიოპია | 0:0 |

*საპასუხო მატჩები 15 ნოემბერს*














# ქართული სპორტი

## სამბო. მსოფლიოს ჩემპიონატი


ლომერ ყორყოლიანი


უშანგი კუზანაშვილი


ნიკოლოზ კუცია


დავით ლორიაშვილი

# ხუთი მედალი, გუნდური - მესამე

ვილნიუსში დამთავრებულ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა 1 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვა. ტურნირის პირველ დღეს **ავთანდილ ცინცაძის** (52) გაჩემპიონების შესახებ უკვე გაცნობეთ, შაბათს ვერცხლის მედლები **უშანგი კუზანაშვილმა** (57) და **ლომერ ყორყოლიანმა** (100) მოიპოვეს, გუშინ კი მესამე პრიზიორები **ნიკოლოზ კუცია** (82) და **დავით ლორიაშვილი** (+100) გახდნენ. ნაკრები გუნდურ ჩათვლაშიც მესამეზე გავიდა.

როგორც ვხედავთ, შაბათი ჩვენებისთვის გამორჩეული დღე აღმოჩნდა - ორი ფინალი იჭიდავეს, თუმცა ოქროს გარეშე დარჩნენ. მისასალმებელია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ უშანგი კუზანაშვილის წარმატება, რომელმაც ის ტიტულები ქვედა წონაში მოიპოვა, 57-ში კი პირველად ჭიდაობდა პირველხარისხოვან შეჯიბრებაზე. ჩვენებური ფინალში ყაზახ **იერბოლატ ბაიბატიროვთან** დამარცხდა. ასევე აღსანიშნავია ძიუდოისტების - ყორყოლიანისა და ლორიაშვილის მიღწევაც, რადგან ისინი პირველად ჭიდაობდნენ სამბოში, კუციასგან კი მედალს ნამდვილად ველოდით. გუშინდელ შეხვედრებზე ვერაფერს გეტყვით, ყორყოლიანმა კი ფინალი რუს **არტემ ოსიპენკოსთან** წააგო, ვინც მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

**ირაკლი თავაძე**

გაბრიელ ბარჯაძის ფოტოები

## სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი

# ცუდი სტარტი

წლის უკანასკნელი ბაშო ქართველი სუმოისტებისთვის ცუდად დაიწყო - სამივე ჩვენებურმა წააგო საწყისი ორთაბრძოლები. ფუკუოკაში მე-2 მაეგაშირა **ტოჩინოშინის (ლევან გორგაძე)** პირველი მეტოქე **კოტოშოგიკუ** გახლდათ, რომელიც კარიერაში პირველად ჭიდაობდა ოძეკის ტიტულით. მაშინ, როცა იაპონელს ამხელა მოტივაცია ჰქონდა მოსაგებად, ჩვენებურს ფრთები თავისივე დამრიგებელმა შეუკვეცა, როცა ტოჩინოშინი სავარჯიშო დოჰიოდან მოკვეთა. შედეგად, ლევანმა ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა კოტოშოგიკუს, რომელმაც ოძეკის რანგში პირველი გამარჯვება იზეიმა.

გოლიათთა ბრძოლაში **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** შეცდომა დაუშვა და **ტოჩინოვაკას** ზურგი აქცია. შეგახსენებთ, რომ ქართველი 199 კილოგრამს იწონის, იაპონელი კი - 180-ს. ქართული სუმოს პიონერ **კოკაის (ლევან ცაგურია)** კი ღონით **ფუჯიაზუმა** მოერია.

ქართველთაგან დღეს ყველაზე ძლიერი მეტოქე ისევ ტოჩინოშინს ეყოლება - ესტონელი ოძეკი **ბარუტო**, რომელმაც მოულოდნელად წააგო პირველი დღის შეხვედრა.

### I დღე

ჰაკუჰო-ჰომაშო (ჰატაკიკომი), ტოიონოშიმა-ბარუტო (სუკუინაგე), ჰარუმაფუჯი-ოკინოუმი (იორიტაოში), კოტოოშუ-გოეიდო (ოკურიტაოში), კოტოშოგიკუ-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), კისენოსატო-კიოკუტენჰო (იორიტაოში), კაკურიუ-არანი (იორიკირი), ტოჩინოვაკა-**გაგამარუ** (ოკურიდაში), ტოჩიოძანი-კიტატაიკი (იორიკირი), იოშიკაძე-ამინიშიკი (ოშიდაში), ტოკიტენკუ-მიაბიამა (ოშიდაში), ტაკეკაძე-ტაკაიასუ (ოშიდაში), ვაკაკოიუ-ვაკანოსატო (ოშიდაში), ფუჯიაზუმა-**კოკაი** (იორიკირი), ტოიოჰიბიკი-დაიდო (ცუკიდაში), მიოგირიუ-საგაცუკასა (ჰიკიოტოში), ასასეკირიუ-ტამავაში (ოკურიდაში), კაისეი-ტაკარაფუჯი (უვატენაგე), სადანოფუჯი-შოჰოზანი (სუკუინაგე), აოიამა-ცურუგიდაკე (ოშიდაში), ტენკაიჰო-კიმურაიამა (ოშიდაში)

### II დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ოკინოუმი, ჰარუმაფუჯი-ჰომაშო, კოტოოშუ-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-გოეიდო, ბარუტო-**ტოჩინოშინი**, კაკურიუ-კიოკუტენჰო, კისენოსატო-არანი, **გაგამარუ**-ტოჩიოძანი, ტოჩინოვაკა-კიტატაიკი, იოშიკაძე-მიაბიამა, **კოკაი**-ტაკაიასუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ჭიდაობა

# მოსკოვური წარუმატებლობა

საქართველოს ნაკრებმა მეხუთე ადგილზე დაასრულა გამოსვლა მოსკოვში „ევროპის ერთა თასზე". იქ საქართველოს ნაკრები მხოლოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირში იყო წარმოდგენილი, რადგან ბერძენ-რომაელებს მონაწილეობისთვის რეიტინგი არ ეყოთ. ჩვენი ფალავნები მეორე ჯგუფში მოხვდნენ რუსეთისა და თურქეთის გუნდებთან ერთად, პირველში კი აზერბაიჯანი, ბელარუსი და ბულგარეთი იყვნენ.

პირველი შეხვედრა ჩვენებმა რუსებთან გამართეს და 2:5 დამარცხდნენ. **გიორგი ედიშერაშვილმა** (55) ევროპის ჩემპიონ **ნარიმან ისრაპილოვთან** წააგო, ამჯერად ზედა წონაში მოჭიდავე **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60) წმინდად დამარცხდა ევროპის ორგზის ჩემპიონ **ოპან სატთან**, როგორც ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მალხაზ ზარქუა** (66) - **სოსლან რამონოვთან. გელა სალირაშვილმა** (74) ერთი პერიოდი კი მოუგო **მუსლიმ დადაევს**, მაგრამ საბოლოოდ მაინც წააგო - 1:2. ამით შეხვედრის ბედიც გადაწყდა, თუმცა ასევე ზედა წონაში მოჭიდავე მსოფლიოს პრიზიორი **დავით ხუციშვილიც** (84) ევროპის ორგზის ჩემპიონ **ანზორ ურიშევთან** დამარცხდა. ჩვენებმა მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს ორი გამარჯვების მოპოვება - ასევე დროებით წონაშეცვლილმა მსოფლიოს პრიზიორმა **დავით მარსაგიშვილმა** (96) **მაგომედ მუსაევი** დაჯაბნა, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელმა **გიორგი საკანდელიძემ** (120) კი - **კირილ გოტოვცევი**. მარსაგიშვილმა მუსაევს პირწმინდად აჯობა. გოტოვცევი 96-ის ფალავანია და რუსთა ამ ვარსკვლავურ წონაში ჯერჯერობით „პირველი ვიოლინოს" ნოდებისგან საკმაოდ შორსაა, მაგრამ სანაკრებო კანდიდატებში სტაბილურად ირიცხება და გამოცდილებით საკანდელიძეს იქნებ კიდეც აღემატება, ისეთ ფალავნებთან უწევს კონკურენცია და ჭიდაობა. საკანდელიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საგრძნობლად აღემატებოდა მეტოქეს, თუმცა ორივეს მაინც მეტი ოსტატობა მოეთხოვება. გოტოვცევმა მოიგო პირველი პერიოდი და მერეც რამდენჯერმე თითქოს უფრო მაღალი კლასი გამოავლინა, მაგრამ საკანდელიძემ მაინც დამაჯერებლად დაამარცხა, 3-ქულიანზეც გადააგდო მეტოქე, 2-იანზეც და საერთოდ, ბლომად ილეთები ჩაუტარა.

სამწუხაროდ, ამან ჩვენებს საერთო ანგარიშში ვერ უშველა - 2:5 წააგეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც გამოეთიშნენ, რადგან მანამდე რუსებმა თურქებსაც მოუგეს - ასევე 5:2 და ფინალშიც გავიდნენ. ამის შემდეგ თურქებთან დარჩენილი შეხვედრა უფრო პრესტიჟის მნიშვნელობისა იყო, თუმცა ჩვენებმა ვერც იქ იმარჯვეს - 3:4 დათმეს, საბოლოოდ მხოლოდ ბელარუსებს მოუგეს - 5:2 და მეხუთეზე გავიდნენ. ამ შეხვედრაში არ უჭიდავია ზარქუას, რომელმაც თურქებთან ტრავმა მიიღო. ესეც ერთი მაგალითი, რომ მსგავსი ფათერაკი ნებისმიერ შეჯიბრებაზე შეიძლება მოხდეს და ამის შიშით საქართველოს ჩემპიონატის გამოტოვება გაუმართლებელია. არადა, ლიდერთა უმეტესობას თვის ბოლოს გასამართ ეროვნულ პირველობაზე ამ მიზნით ასვენებენ.

ჩემპიონი რუსეთის ნაკრები გახდა, თუმცა ფინალში აზერბაიჯანთან დიდხანს აგებდა. თავიდან ისრაპილოვმა ასევე ევროპის ჩემპიონი **მაჰმუდ მაგომედოვი** დაამარცხა და რუსები დააწინაურა, მაგრამ მერე აზერბაიჯანელებმა აიწყვიტეს - **ტოგრულ ასგაროვმა, ემინ აზიზოვმა** და მაგომედოვივით რუსეთიდან გადაბირებულმა **კირილ გოსტიევმა** ზედიზედ იმარჯვეს, რითაც ანგარიში 3:1 გახადეს. თამამად შეიძლება ითქვას, შეხვედრაში გარდატეხა ურიშევმა შეიტანა, რომელიც მოსკოვში თურმე სამკურნალოდ ჩასულა - **ნაურუზ ტემრეზოვს** დამატებით დროში მოუგო და თავისიანებს შანსი შეუნარჩუნა. **არსლანბეკ ალიევმა** (96) ანგარიში გაათანაბრა, რუსთა მოგება კი მძიმეწონოსანმა **ბარსაგ კესაევმა** გამოჭედა **ასლან ძებისოვთან** ასევე დამატებითში გამარჯვებით.

**ირაკლი თავაძე**

## ძიუდო. სამოას მსოფლიოს თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ბრინჯაო ასეთ ტურნირზე?

სამოაში დასრულებულ მსოფლიოს თასზე ორი მონაწილე გვყავდა და ორივემ ბრინჯაოთი დაამთავრა გამოსვლა, რასაც წარმატებად ვერ მივიჩნევთ - **ნუგზარ ტატალაშვილისგანაც** (73) და განსაკუთრებით **ავთანდილ ჭრიკიშვილისგან** (81) ბევრად მეტს ველოდით. მით უფრო, რომ მსოფლიოს ამ თასს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „სოფლის პირველობა" - მონაწილეთა უმეტესობას ავსტრალიის, პოლინეზიის და წყნარი ოკეანის კუნძულების წარმომადგენლები შეადგენდნენ, სადაც ძიუდო ახლა იდგამს ფეხს; ჯგუფებში სულ 3-4 ძიუდოისტი მოგროვდა და ზოგან ნახევარფინალში გასასვლელად ერთი შეხვედრის მოგებაც კი საკმარისი იყო, ხოლო ტურნირში არც ერთი ტოპკლასის ათლეტი არ გამოდიოდა... ასეთ სუსტ შეჯიბრებებშიც კი მეტის გაკეთება თუ არ შეგვიძლია, საქმე იმაზე უფრო ცუდად ყოფილა, ვიდრე წარმოგვიდგენია.

ქართული დუეტიდან პირველ დღეს ჭრიკიშვილი ჭიდაობდა და ავსტრალიელ **კაი ტროტერთან** წმინდად მოგების შემდეგ მეორე წრეში თურქ **აჰმეტ სარისთან** ასევე სუფთად წაგება იმას დავაბრალეთ, რომ ჩვენებური არ იყო ფორმაში - მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, პრაქტიკულად, არც უვარჯიშია, რადგან ჯერ ისვენებდა, პარალელურად კი ფედერაცია-მწვრთნელთან სავსებით სამართლიანად არკვევდა ურთიერთობას, მერე კი გლანდების ოპერაცია გაიკეთა. ცხადია, ეს მიზეზი არანაირად არ გვაკმაყოფილებდა და ამით იქნებ უფრო თავს ვიმშვიდებდით, მაგრამ ამ მარცხს ასე თუ ისე მაინც მოეძებნებოდა ახსნა. გუშინ კი ტატალაშვილის დამარცხება (მანამ ავსტრალიელ **დარენ როჯერსს** სუფთად აჯობა) ჩინელ **ვეი ლიუსთან** ალიყურზე მეტი იყო! სამწუხაროა, რომ ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს მედალოსან ტატალაშვილის ჩავარდნა ისევ გრძელდება და ამას ვერაფრით უწამლეს. ჩინელი არც ისე დიდი ხნის წინათ გამოჩნდა ამ რანგის შეჯიბრებებში და არც ლიდერებს მიეკუთვნება. კიდევ უფრო დიდია სხვაობა სარისა (ის ქართველ ქომაგსაც კარგად ახსოვს თბილისის წლევანდელ მსოფლიოს თასიდან - ნახევარფინალში **დავით კარბელაშვილთან** დამარცხდა, მერე კი ბრინჯაო მოიპოვა) და ჭრიკიშვილს შორის, რომელმაც ორი წლის წინათ ახალგაზრდებში დუბლი შეასრულა.

სანუგეშო წრეში ჩვენებურებმა ასეთი გზა გაიარეს - ჭრიკიშვილმა ბრიტანელი **ტომას დევისი** დიდი უპირატესობით დაამარცხა, დამამშვიდებლის ფინალში კი კიდევ ერთ ჩინელს, **სი რიჯიგავას** გადაეყარა. მან სერიოზული წინააღმდეგობაც გაუწია ჩვენებურს, რომელმაც მხოლოდ იუკოთი მოიგო. ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ტატალაშვილმა არგენტინელი **ალეხანდრო კლარა**, ბოლო შეხვედრაში კი საკმაოდ ძლიერ ამერიკელ **ნიკოლას დელპოპოლოს** ვაზარით მოუგო.

ამ მედლით ორივე ჩვენებურმა 40-40 სარეიტინგო ქულა შეიმატა, რაც უფრო ტატალაშვილს წაადგა. ჭრიკიშვილი ისედაც ხვდებოდა სალიცენზიო 22-კაციან ზონაში, თუმცა ჯერ მაინც ბოლოსკენაა და ქულები კვლავაც ჰაერივით სჭირდება. ტატალაშვილი 22-ში ჯერაც ვერ შედის, მაგრამ უკვე ხვდება ევროპისთვის განკუთვნილ 14-კაციან კვოტაში, რაც ყოველ წონაში 2-2 საგზურს ითვალისწინებს. ჩვენდა საუბედუროდ, ამ წონაში 22-ში უმეტესად არაევროპელები შედიან და ევროპელთა შორის იმ ორ კვოტაზე ფიცხელი კონკურენციაა. ტატალაშვილს ძალიან წაეხმარა აპიაში განვითარებული მოვლენები - თურქული ფინალი გაიმართა, ერთი ქვეყნის ფალავანთაგან რომელიღაცა კი სალიცენზიო რეიტინგიდან აუცილებლად გამორიცხულია. ჩვენთვის კარგი იყო ისიც, რომ რეიტინგში უფრო წინმდგომმა **სერეზ ჰიუზუსმა** გაიმარჯვა (**ჰასან ვანლიოღლუს** აჯობა), რითაც 100 ქულით 22-შიც შევიდა და თურქეთიც გამოაკლდა ევროპული საგზურისთვის ბრძოლას. ახლა ამ კვოტის მოპოვების კანდიდატი ჩვენ და ესტონეთი ვართ, თუმცა ტატალაშვილი მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს რუმინელ **კოსტელ დანცულეას**. ევროპულ კვოტაში 66-შიც გვაქვს მოხვედრის შანსი, რაც დამატებით პრობლემას გვიქმნის - ამ სიით ქვეყანას მხოლოდ ერთ საგზურს აძლევენ და არა მეტს. ამდენად, ორივე რომც შევიდეს იქ, მაინც ერთი ლიცენზია დაგვემატება, ანუ ოლიმპიადაზე სრული გუნდი ვერ გვეყოლება. საამისოდ ერთ-ერთი მაინც უნდა მოხვდეს იმ 22-ში. იმედია, ამას ტატალაშვილი შეძლებს, როგორც უფრო გამოცდილი, თუმცა სამოაში ნანახმა ოპტიმიზმის საფუძველი არ დაგვიტოვა. ეს ბიჭები მზად თუ არ იყვნენ (თუნდაც ჭრიკიშვილი ზემოდასახელებული მიზეზის გამო), რატომ წაიყვანეს იმ სიშორეზე, მით უფრო, როცა მსოფლიომდე ბევრად ახლო ქვეყნებში გამოვტოვეთ შეჯიბრებები, გადაფრენებში დრო გვეკარგებაო... თუ მზად იყვნენ და ამის მეტი არ შეუძლიათ, ცუდად ყოფილა საქმე. მომდევნო უქმეებზე უკვე სრული გუნდი ამსტერდამში „დიდ პრიზზე" იჭიდავებს და ვნახოთ, იქ როგორ გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

სპორტული რადიო ჯა — კო Ja — Ko FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# ჩემპიონმა გამარჯვებით დაიწყო

თბილისში, ვაჟა კაჭარავას სახელობის ოლიმპიური მზადების საფრენბურთო ცენტრში, ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო. წლეულს შეჯიბრებაში 7 გუნდი ასპარეზობს. მათგან ერთი, „საქართველოს უნივერსიტეტი", იმ ასაკის გოგონებითაა დაკომპლექტებული, რომლებმაც 2015 წელს თბილისში გასამართ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უნდა ითამაშონ.

ტურნირის ფავორიტები, ისვე როგორც შარშან, ამჯერადაც დიდი ჯიხაიშის „ჯიკო" და „ბათუმი" არიან. ამ გუნდების გზა ადრეულ ეტაპზე, უკვე მეორე ტურში გადაიკვეთა და შეხვედრა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის „ჯიკოს" გამარჯვებით დასრულდა. ამავე ტურში „საქართველოს უნივერსიტეტის" ნორჩმა გუნდმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია თსუ-ს და მშრალი ანგარიშით 0:3 დამარცხდა. ასეთივე ანგარიშით „ბოლნისმა" ქუთაისელთა გუნდს მოუგო.

**I ტური**

თბილისი-საქ.უნივერსიტეტი 3:0, ბათუმი-ქუთაისი - 3:0, თსუ-ბოლნისი 3:0.

**II ტური**

თსუ-საქ.უნივერსიტეტი 3:0, ჯიკო-ბათუმი 3:1, ბოლნისი-ქუთაისი 3:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. თსუ - 4 ქულა, 2. თბილისი - 2, 3. ჯიკო - 2, 4. ბათუმი - 2, 5. ბოლნისი - 2, 6. ქუთაისი - 0, 7. საქ. უნივერსიტეტი - 0

**14 ნოემბერი. III ტური**

ბოლნისი-ჯიკო, ქუთაისი-საქ. უნივერსიტეტი, თბილისი-თსუ

**15 ნოემბერი. IV ტური**

თბილისი-ბათუმი, ჯიკო-თსუ, საქ. უნივერსიტეტი-ბოლნისი

**16 ნოემბერი. V ტური**

ქუთაისი-თსუ, საქ. უნივერსიტეტი-ბათუმი, ჯიკო-თბილისი

**17 ნოემბერი. VI ტური**

ჯიკო-ქუთაისი, ბათუმი-თსუ, თბილისი-ბოლნისი

**18 ნოემბერი. VII ტური**

ბათუმი-ბოლნისი, ქუთაისი-თბილისი, ჯიკო-საქ. უნივერსიტეტი.

ბესიკ ჯანგავაძე

ძალოსნობა

# დიდ ბრინჯაომდე კილო დააკლდა


გია მაჭავარიანი

საფრანგეთის დედაქალაქში გუშინ დამთავრდა ძალოსანთა მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 6 სპორტსმენიც მონაწილეობდა. შესანიშნავად იასპარეზა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა (ატაცში, აკვრასა და ორჭიდში მე-2 ადგილები დაიკავა) **გია მაჭავარიანმა** (105 კგ). ატაცში მან 187 კილოგრამი დაიმორჩილა და მცირე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა (ჩვენებურს რუსებმა - ხაჯიმურატ აკაევმა (198) და დმიტრი კლიკოვმა (196) აჯობეს). მაჭავარიანმა 222-კილოგრამიანი შტანგა აკრა, რაც მე-6 შედეგი იყო. ქართველმა ძალოსანმა ორჭიდში 409 კილოგრამით მე-4 ადგილი დაიკავა - მესამე ადგილზე გასულ უკრაინელ ალექსეი ტოროხტის მხოლოდ ერთი კილოგრამით ჩამორჩა.

ამავე წონაში 23-წლამდელთა შორის 2011 წლის ვერცხლის მედალოსანმა **დავით გოგიამაც** იასპარეზა. სამწუხაროდ, მან შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა და 376 კილოგრამით (171+205) მე-17 ადგილს დასჯერდა.

პარიზის ფიცარნაგზე ჩვენებურთაგან პირველი გავიდა 20-წლამდელებში ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მეორეადგილოსანი **გიორგი ლომთაძე** (69 კგ). მან 137 კილოგრამი აიტაცა, მაგრამ აკვრაში საწყისი წონა ვერ დაძლია და უადგილოდ დარჩა. 85 კილოში ძალებს ცდიდა პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **რაულ ცირეკიძე.** 352 კილოგრამით (157+195) მან მე-16 ადგილი დაიკავა. 382 კილოთი (173+209) მსოფლიოს ჩემპიონობა ირანელმა ქიანუშ როსტომმა მოიპოვა.

მძიმე წონაში ქართველთაგან ორი ათლეტი გამოდიოდა. 18 წლის **ლაშა ტალახაძემ** წლეულს 20-წლამდელთა ევროპის პირველობაზე სამი ოქროს მედალი დაიმსახურა. პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატი მისთვის დებიუტი არ ყოფილა (შარშან ანტალიაშიც იასპარეზა, მაგრამ შეჯიბრება ბოლომდე არ დაუმთავრებია). ამის მიუხედავად, ახალგაზრდა სპორტსმენმა გამოცდილ ათლეტებს სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია - ორჭიდში მხოლოდ 387 კილოგრამს (180+207) მოუყარა თავი. უკეთეს შედეგს ველოდით **ირაკლი თურმანიძისგან.** მართალია, მან ატაცში კარგად დაიწყო (180 კგ ასწია), მაგრამ მერე ორი ცდა გაუცუდდა. აკვრაში 218-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და 398 კილოთი B ჯგუფში მეორე იყო, საბოლოოდ მე-12 საფეხურზე დამკვიდრდა, ტალახაძეს კი მე-20 ხვდა.

ვაჟა დანელია

ინდორ ჰოკეი. საქართველოს თასი



# თასი ევროპის საგზურით ქუთაისმა დაიმსახურა

ხუთი გუნდი მონაწილეობდა ინდორ ჰოკეიში ქალთა შორის საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელსაც ქუთაისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ტურნირის ფავორიტი საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „ქუთაისი" იყო, რომელსაც საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ავთანდილ თევდორაძე** წვრთნის. ქუთაისელმა გოგონებმა თასზე აბაშა დაამარცხეს 6:1, ნახევარფინალში კი „ლანჩხუთს" უხვგოლიან შეხვედრაში მოუგეს 7:3 და ფინალის საგზური მოიპოვეს. ქუთაისელთა მეტოქე „ჩოხატაური"—„ბათუმის" ნახევარფინალურმა მატჩმა გამოავლინა, რომელშიც გაცილებით გამოცდილმა გურულებმა ზღვისპირელები 8:3 დაამარცხეს.

თასის ფინალი საინტერესო გამოდგა. ჩოხატაურელებმა ტურნირის მასპინძლებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ქუთაისელთა ლიდერის **თამუნა სუპატაშვილის** კარგი თამაშისა და გოლების წყალობით „ქუთაისმა" მეტოქის წინააღმდეგობა დაძლია და საბოლოოდ 3:1 გაიმარჯვა. ტურნირის ბომბარდირი 7 გატანილი ბურთით სწორედ ფინალის გმირი თამუნა სუპატაშვილი გახდა. „ქუთაისი", როგორც საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი დაშვებულია ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე, რომელიც მომავალი წლის 24-26 თებერვალს უელსის დედაქალაქ კარდიფში ჩატარდება. ქუთაისური გუნდის მწვრთნელები და მოთამაშეები იმედოვნებენ, რომ ქალაქის მერია მათ საზღვარგარეთული ტურნირისთვის დააფინანსებს და გუნდი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრება.

ბოლოს გაცნობებთ, რომ 22-23 ნოემბერს ქუთაისის სპორტის სასახლეში საქართველოს თასი მამაკაცებს შორის გათამაშდება.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ჭადრაკი

# გუნდური მესამე და კიდევ სამი ჯილდო

უკვე გაუწყეთ, რომ ბერძნულ პორტო კარასში დამთავრებულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ქალთა ნაკრებმა (**ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნაზი პაიკიძე, ნინო ხურციძე, სალომე მელია,** კაპიტანი **ნინო გურიელი,** მწვრთნელები - **ზურაბ სტურუა, თამაზ გელაშვილი**) 18 შესაძლებლიდან 14 ქულით მესამე ადგილი დაიკავა - მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა მე-2 ადგილზე გასულ პოლონეთის გუნდს. ჩემპიონობა კი ზედიზედ მესამედ რუსეთის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც ტურნირზე მხოლოდ ქულა დაკარგა.

გუნდური საპრიზო ადგილების გარდა, შეჯიბრებაზე გამოვლინდნენ დაფების მიხედვით მედალოსნები. პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძემ 8 შესაძლებლიდან 5 ქულას მოუყარა თავი და მცირე ბრინჯაო ერგო. ამდენივე ქულა მოაგროვა უკრაინელმა კატერინა ლახნომ, ოღონდ 7 პარტიიდან და მას ვერცხლი ხვდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კი სლოვენიის სახელით მოასპარეზე ანა მუზიჩუკი ავიდა ჩინებული შედეგით - 6,5 ქულა 9-დან.

ნანას მსგავსად ბრინჯაოს მედალი ერგო მე-5 დაფაზე სალომე მელიას (5 ქულა 7-დან). ქართველ დიდოსტატს რუსმა ნატალია პოგონინამ (4 ქულა 5-დან) და უკრაინელმა მარია მუზიჩუკმა (5,5 ქულა 8-დან) გაუსწრეს.

ბოლო ტურში დასანანი მარცხი რომ არა, ნინო ხურციძე (IV დაფა), ოქროს დაიმსახურებდა. რვიდან 6,5 ქულით კი ვერცხლის მედალს გამოჰკრა ხელი. უმაღლესი სინჯის ჯილდო რუს ალექსანდრა კოსტენიუკს ხვდა 7-დან 5,5 ქულით. პოლონელი კარინა ჩუეპკოვსკა (8-დან 6) მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. მე-2 დაფაზე 8 შესაძლებლიდან 4,5 ქულით ლელა ჯავახიშვილმა მე-7 ადგილი დაიკავა. აქ უძლიერესი გახლდათ რუსი ტატიანა კოსინცევა (8-დან 6). მე-3 დაფაზე საუკეთესო იყო უკრაინელი ანა უშენინა (8-დან 6). 5-დან 1,5 ქულით ნაზი პაიკიძე, ცხადია, რვა საუკეთესოში ვერ მოხვდა.

ქართველ ვაჟთაგან დაფების მიხედვით რვა საუკეთესოში ვერავინ დაიბევა ადგილი, რადგან ისინი არა ქულების, არამედ პერფომანსის მიხედვით განაწილდა, თორემ **ბაადურ ჯობავამ** 8 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა, **ლევან ფანცულაიამ** კი 8-დან 5,5 ქულა. ჩვენებურთა დანარჩენი მონაგარი ასეთია: **მიხეილ მჭედლიშვილი** - 4,5 (8-დან), **მერაბ გაგუნაშვილი** - 3,5 (7), **დავით ზარქუა** - 2 (5) ქულა.

ვაჟა დანელია


საქართველოს გუნდი

ფიგურული ციგურაობა

# მეხუთე ადგილი ტოკიოში


ელენე გედევანიშვილი

ტოკიოში NHK-ს თასზე, რომელიც ამავდროულად მსოფლიოს გრან პრის ეტაპიცაა, **ელენე გედევანიშვილმა** საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა, რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია გრან-პრიზე. გასულ თვეში „სკეიტ ამერიკაზე" ელენე მე-7 იყო, პროგრესი ჩანს, თუმცა გრან-პრის ფინალურ ეტაპზე ჩვენებური რომ ვერ მოხვდება, ცხადზე ცხადია.

თავისუფალი პროგრამის წინ ქართველი მოციგურავე მე-4 ადგილზე იყო. პროგრამისთვის მან 103,07 ქულა მიიღო, რაც 10 მონაწილეს შორის მე-6 შედეგია. ორივე დისციპლინის ჯამში ელენემ წინ ამერიკელი **ეშლი ვაგნერი** გაუშვა. გრან პრი მასპინძელმა **აკიკო სუზუკიმ** მოიგო - 185,98 ქულით. მეორე ადგილზეც იაპონელია - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მაო ასადა** (184,19). პოდიუმზე შედგა რუსი **ალიონა ლეონოვა** (170,68). გედევანიშვილმა 160,44 ქულა დააგროვა, 5 ქულით ნაკლები, ვიდრე მე-4 ადგილზე გასულმა ვაგნერმა. ქართველმა თითქმის სამი ქულით გაუსწრო ფინელ **კიირა კორპის.**

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

● საქართველოს XXI ჩემპიონატი. სუპერლიგა. V ტური

„არმიას“ სამშაბათს, თურქეთში, „ბეშიქთაშთან“ ევროჩელენჯზე პასუხსაგები მატჩი ელის, რომლის მზადებისთვისაც მწვრთნელს თსუ-სთან სუპერლიგის შეხვედრა უნდა გამოეყენებინა. თუმცა ყველაფერი თავდაყირა დადგა და არმიელებს ტაქტიკაზე მუშაობის საშუალება აღარ მისცემიათ, რაც დადებითი ამბავი ნამდვილად არ არის...

აი, რა იგულისხმება სიტყვა „თავდაყირაში“:

...მატჩი მხოლოდ 32:24 წუთს გაგრძელდა, მაგრამ საფინალო ანგარიში (73:71 „არმიას“ სასარგებლოდ) ძალაში დარჩა.

...მწვრთნელი შეცვლას ითხოვდა, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე არავინ ჰყავდა.

...მატჩის ბოლოს ორი თსუ-ელი ხუთ არმიელს „ეჭიდავებოდა“.

...პირველად ვნახეთ, კალათბურთელს განზრახ აეღოს ჯარიმა, რათა მოედნიდან ხუთი ფოლის გამო გაეგდოთ.

მოვლენებს „თვალს ადევნებდა“ ჩვენი კორესპონდენტის - **ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოობიექტივიც, რომელმაც ყველაფერი თანმიმდევრობით აღბეჭდა. მის „მონათხრობს“ ქვემოთ გაეცნობით.

# თავდაყირა კალათბურთი

## ხუთი ორის წინააღმდეგ!

**ოლიმპი-ქუთაისი 64:75**

16:12, 25:18, 7:18, 16:27

**ოლიმპი:** გამყრელიძე, სლიუკა (17ქ), გულისაბედაშვილი (5ქ), მ. ბერიშვილი (18ქ, 11მ), მილუტინოვიჩი (10ქ), თავართქილაძე (3ქ), მუმლაძე, ჰოგერი (11ქ, 11მ).

**ქუთაისი:** ბაბუნაშვილი (6ქ), ცეკვავა (19ქ), დიდია (15ქ, 8მ), გ. ბარბაქაძე (12ქ), მათიაშვილი (13ქ, 9მ), ფაშაევი (5ქ), დ. ბარბაქაძე (5ქ), ლომინაშვილი, კოლუაშვილი.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, გ. შიქელაძე

**კომისარი:** მ. რატიშვილი

**არმია-თსუ 73:71**

11:25, 33:21, 21:23, 8:2

**არმია:** კვიმსაძე, საყვარელიძე (3ქ), ბოისა (2ქ) მინაშვილი (9ქ), ათანელიშვილი (3ქ), რიჩარდსონი (25ქ), ბაბიაშვილი (2ქ), შელბომი (7ქ, 9მ), დიასი (9ქ), გეინსი (13ქ).

**თსუ:** დ. ბერიშვილი (9ქ), ფანჩულიძე (20ქ), კოხრეიძე (3ქ, 10მ), ნინიაშვილი (20ქ, 8მ), შერმადინი (14ქ, 17მ), მჭედლიშვილი, კორკოტაძე (5ქ), ხიზანიშვილი

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა, მ. ანდღულაძე

**კომისარი:** თ. ქიქოძე

**დინამო-შსს 94:89**

31:25, 25:15, 14:20, 24:29

**დინამო:** ბაქრაძე (5ქ), მარხვაშვილი (18ქ), სანაძე (19ქ), კარტერი (29ქ, 15მ), როდუმტა (2ქ), ლეჟავა (7ქ), კეიდია (3ქ), სუხიშვილი, ნოელი (11ქ).

**შსს:** კრეპსი (17ქ), ბოქოლიშვილი (2ქ), ლაფანაშვილი (10ქ), ტუჯანი (8ქ), ლონდარიძე (10ქ), მაქემონი (5ქ), ნიკოლაძე (5ქ), თენეიშვილი (4ქ), იმნაძე (11ქ), დვალიშვილი (17ქ, 8მ)

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

**კომისარი:** რ. გელოვანი

### გიგი ბომბაქაძე

ისევე როგორც „არმია“-თსუ-ს დაპირისპირებაზე, მსაჯის გადაწყვეტილებამ „ოლიმპი“-„ქუთაისის“ მატჩზეც დიდი გავლენა მოახდინა. პირველივე ტაიმში მოედნიდან გააძევეს „ოლიმპისა“ და საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი, **ლაშა გამყრელიძე**. როგორც წესი, ყველა გუნდის თამაშს პლეიმეიქერი განსაზღვრავს. ხოლო, როცა საქმე ნაკრების გამოცდილ უკანახაზელს ეხება, იოლი მისახვედრია, რომ მწვრთნელს ყველაფრის ხელახლა გადაწყობა მოუწევდა. ლაშას ნაცვლად თამაშში **ტატო თავართქილაძე** კარგად ჩაერთო, ხოლო სნაიპერობა **ნიკიცა სლიუკამ** და **მიხეილ ბერიშვილმა** ითავეს.

პირველი ტაიმი „ოლიმპმა“ 41:30 მოიგო, თუმცა მეორე ნახევარში თბილისელებს ცოტა დაღლა დაეტყოთ, რადგან გამყრელიძის გასვლის შემდეგ ძირითადად 6 კალათბურთელს უწევდა თამაში, მაშინ, როცა „ქუთაისის“ მწვრთნელმა 9 კალათბურთელი მეტ-ნაკლებად თანაბრად დატვირთა. მაშინაც კი, როცა იმერლებს ხუთ-ხუთი ჯარიმის გამო სამი ლიდერი დააკლდათ (**დავით ბარბაქაძე, რიჩარდ მათიაშვილი** და **გოგა ცეკვავა**), მათი თამაშის სტილსა და ხარისხზე ეს არ ასახულა, რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან „ქუთაისი“ „ოლიმპზე“ დაახლოებით ორი თვით ადრე შეიკრიბა...

მატჩის დასრულებამდე 4:16 წუთით ადრე, როცა ტაბლოზე საყაიმო ანგარიში დაფიქსირდა - 62:62. სწორედ ამის შემდეგ გამოიდეს თავი **გიგი ბარბაქაძემ** (ორი სამქულიანი ჩააგდო) და **რეზო დიდიამ** და „ქუთაისს“ მეოთხედ მოაგებინეს, რითაც პირველი წრის მეორე ადგილზე დასრულებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს.

ზუსტად რა მოხდა ბოლო წუთებზე, ამას ქრონოლოგიაში ამოიკითხავთ.

**ოლიმპი-ქუთაისი 64:75**

**IV პერიოდი**

9:47 მ. ბერიშვილი 2ქ (50:48)
9:33 ცეკვავა 2ქ (50:50)
8:58 ტექნიკური (ქუთაისი)
8:58 სლიუკა 2/1 (51:50)
8:37 გულისაბედაშვილი 3ქ (54:50)
8:19 გ. ბარბაქაძე 2ქ (54:52)
7:49 დიდია 2ქ (54:54)
7:20 ცეკვავა 2ქ (54:56)
6:55 სლიუკა 3ქ (57:56)
6:36 ბაბუნაშვილი 3ქ (57:59)
6:18 მ. ბერიშვილი 2ქ (59:59)
5:23 მილუტინოვიჩი 2ქ (61:59)
4:35 დიდია 2ქ (61:62)
4:16 მილუტინოვიჩი 2/1 (62:62)
3:23 გ. ბარბაქაძე 3ქ (62:65)
3:02 დიდია 2ქ (62:67)
2:39 სლიუკა 2/2 (64:67)
1:31 გ. ბარბაქაძე 3ქ (64:70)
0:42 დიდია 2ქ (64:72)
0:23 ფაშაევი 2/1 (64:73)
0:10 ფაშაევი 2/2 (64:75)

### ისევ კარტერი

მეხუთე ტური რომ მოვისტუმრეთ, ჟურნალისტებმა ბჭობა გავაჩაღეთ:

- ტურის საუკეთესოდ ვინ დავასახელოთ?

- გიგი ბარბაქაძემ ცენტრალურ მატჩში 2 სამქულიანით „ქუთაისის“ „ოლიმპთან“ გამარჯვება გადაწყვიტა, ამავე შეხვედრაში ბოლო წუთებზე თავი გამოიდო რეზო დიდიამ...

- ლევან ფაცაციაზე რას იტყვით? მან ბათუმში სეზონის რეკორდი დაამყარა - 40 ქულა მოაგროვა. თუმცა, „სოხუმს“ მეტოქედ ჩემპიონატის აუტსაიდერი „ბათუმი“ ჰყავდა.

- კიდევ ერთი აუტსაიდერი, „დინამო“ „ფსკერიდან“ ვინც ამოიყვანა, მას ხომ არ ეკუთვნის ტურის საუკეთესოობა?

- ისევ კეიონ კარტერი?

- რატომაც არა?! მან ხომ ძლიერი შსს დაამარცხა. კეიონმა 29 ქულა, 15 მოხსნა მოაგროვა და „დინამოს“ სეზონის პირველ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო, ბოლო წუთებზეც არაერთი მნიშვნელოვანი ქულა ჩააგდო.

მაგალითად, სირენამდე 47 წამით ადრე, როცა ანგარიშში სხვაობა 3 ქულა იყო („დინამოს“ სასარგებლოდ), შორეული ორქულიანი გამოიყენა - 89:84... ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

ბევრი მსჯელობის შემდეგ ზედიზედ მეორედ ტურის ნომერ პირველ კალათბურთელად კეიონ კარტერი დავასახელეთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



II პერიოდის დასრულებამდე 6:40 წუთით ადრე **იოაკიმ შელბომი** და თსუ-ელები შელაპარაკდნენ. მოედანზე სათადარიგოებიც შეცვივდნენ... სიტუაცია მალევე დაწყნარდა.



მატჩის არბიტრმა **დავით ბერეკაშვილმა** ვიდეოჩანაწერით გადაამოწმა: ყველა სათადარიგო მოედანზე შევიდა, თუ ზოგიერთი სკამზე დარჩაო.



არბიტრი დარწმუნდა, რომ ინციდენტისას ორივე გუნდის ყველა კალათბურთელი მოედანზე იყო და უკლებლივ ყველა სათადარიგო გააძევა.



მოთამაშეებმა ტრიბუნებზე გადაინაცვლეს. დაცარიელდა ორივე გუნდის სკამები. მატჩი კი მათ უნდა ჩაემთავრებინათ, ვინც შელაპარაკებისას მოედანზე იყო.





III პერიოდის დამთავრებამდე 35 წამით ადრე თსუ-ელმა **სოსო შერმადინმა** მეხუთე ჯარიმა მიიღო, სტუდენტები ოთხნი დარჩნენ და ვაჟკაცურად იბრძოდნენ...




...სოსოს მალე **შალვა კოხრეიძე** და **თორნიკე ნინიაშვილიც** მიჰყვნენ და თსუდან მოედანზე მხოლოდ **დავით ბერიშვილი** და **მიხეილ ფანჩულიძე** დარჩნენ **გეინსის, რიჩარდსონის, დიასის, მინაშვილისა** და **შელბომის** წინააღმდეგ.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

სირენამდე 7:36 წუთით ადრე მეხუთე ფოლი მიიღო **დათო ბერიშვილმა** და თსუ ერთი კაცის ამარა დარჩა.

- ასეთ დროს, ფიბას წესებით, მატჩი წყდება. თუ წინაა კაცნაკლული გუნდი, ან ანგარიში საყაიმოა, მაშინ მოგება მის მეტოქეს ეთვლება (2:0). ხოლო თუ იგებს ის, ვისაც ხუთი მოთამაშე შერჩა, მაშინ ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში საფინალო შედეგად ცხადდება. გაძევებულ სათადარიგოებს დისკვალიფიკაცია მომდევნო მატჩში არ გადაჰყვებათ, - განგვიმარტა ფიბა-ს კომისარმა **მერაბ რატიშვილმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მამუკა გორგოძე ისევ საუკეთესოა



ირაკლი ნატრიაშვილი (უკანა პლანზე)

ევროთასების გათამაშებაში ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება „ჰაინეკენის თასი“ ქართველ მორაგბეთა გუნდებისთვის წარუმატებლად დაიწყო. აქ ჩვენებურთა სამი გუნდი ასპარეზობს - „მონპელიე“, „კასტრი“ და „კლერმონი“. ამათგან ორი დამარცხდა. ერთი კი, „მონპელიე“, შინ ფრეს დასჯერდა თასის ამჟამინდელ მფლობელ ირლანდიურ „ლენსტერთან“ მატჩში.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელიც A ჯგუფში ასპარეზობს, სტუმრად ეთამაშა უელსურ „ჰლანეჰლის“ და 23:31 წააგო. ჩვენებურის კლუბმა წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გასწია, რომელიც ფრედ 6:6 დასრულდა. შესვენების შემდეგ მასპინძლები უკეთ ათამაშდნენ. ერთი ხანობა ანგარიშში 14 ქულითაც დაწინაურდნენ - 23:9. საბოლოოდ კი, როგორც უკვე ვთქვით, რვა-ქულიანი სხვაობით „ჰლანეჰლიმ“ მოიგო. „კასტრმა“ ერთი პრემიალური ქულის აღებაც ვერ მოახერხა.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „მანსტერმა“ შინ დაამარცხა ინგლისური „ნორსჰემპთონი“ - 23:21.

**A ჯგუფი**

ჰლანეჰლი-კასტრი 31:23, მანსტერი-ნორსჰემპთონი 23:21

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰლანეჰლი - 4 ქულა, 2. მანსტერი - 4, 3. ნორსჰემპთონი - 1, 4. კასტრი - 0.

როგორც უკვე ვთქვით, C ჯგუფში მოასპარეზე **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილის, გიორგი ჟღენტისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ“ შინ ფრედ ითამაშა ირლანდიურ „ლენსტერთან“ - 16:16. მატჩის წინ ჩვენებურთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიენ გალტიემ** თქვა:

*„მიმაჩნია, რომ ეს ირლანდიური კლუბი ევროპაში საუკეთესოა, ამიტომ ძალიან მაინტერესებს, შევძლებთ თუ არა მის დამარცხებას. თუ ეს მოვახერხეთ, შემიძლია დავასკვნა, რომ „მონპელიე“ ევროპის გრანდების ტოლ-სწორია“.*

მართალია, „მონპელიემ“ მეტოქის დამარცხება ვერ შეძლო, მაგრამ არც არაფერი დაუთმო. გალტიეს შეუძლია, მშვიდად იყოს, მისი გუნდი ევროპის გრანდების ტოლ-სწორია, მით უფრო, რომ „მონპელიეში“ მსოფლიო დონის მესამეხაზელი მამუკა გორგოძე თამაშობს, რომელიც ამ მატჩის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და ბოლომდე ითამაშა.

„მონპელიე“ მატჩის 55-ე წუთისთვის 16:6-ს იგებდა. დასკვნით 20 წუთში კი მეტოქემ იძალა, ჯერ ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა, მერე კი, მატჩის ბოლო წუთზე, **ჯონათან სექსტონმა** საჯარიმოთი გაათანაბრა - 16:16.

ჟღენტი თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო, ნარიაშვილი კი მოედანზე 78-ე წუთზე გამოჩნდა. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ბასმა“ სტუმრად ბოლო წუთზე **სტივენ დონალდის** მიერ გატანილი საჯარიმოთი დაამარცხა შოტლანდიური „გლაზგო“ - 21:19.

**C ჯგუფი**

მონპელიე-ლენსტერი 16:16, გლაზგო-ბასი 19:21.

**სატურნირო მდგოამრეობა**

1. ბასი - 4 ქულა, 2. ლენსტერი - 2, 3. მონპელიე - 2, 4. გლაზგო – 1.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ სტუმრად დამარცხდა ირლანდიურ „ალსტერთან“ - 11:16. „ვულკანებმა“ თამაში შესანიშნავად დაიწყეს და პირველი ტაიმი 11:6 მოიგეს, თუმცა მეორე ნახევარში მონაგარს ველარაფერი შესძინეს.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში იტალიური „აირონი“ შინ დამარცხდა ინგლისურ „ლესტერთან“ - 12:28.

**D ჯგუფი**

აირონი-ლესტერი 12:28, ალსტერი-კლერმონი 16:11.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლესტერი - 4, ქულა, 2. ალსტერი - 4, 3. კლერმონი - 1, 4. აირონი – 0.

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში B ჯგუფში მოასპარეზე **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ შინ იტალიურ „პადოვას“ უმასპინძლა და 53:22 დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ თამაშში სამივე ქართველი მონაწილეობდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებს, შერკინების ბურჯ ლევან ჩილაჩავას და მეორეხაზელ კონსტანტინე მიქაუტაძეს სულაც დებიუტი ჰქონდათ ტულონელთა ძირითად შემადგენლობაში.

სასიხარულოა, რომ დებიუტი ჩილაჩავამ მატჩის მე-16 წუთზე გატანილი ლელოთი აღნიშნა, მაშინ, როცა მისი გუნდი 0:6-ს აგებდა. ჩვენებურთა გუნდმა მეტოქის საბოლოოდ გატეხვა მეორე ტაიმში შეძლო და ჯამში ექვსი ლელო გაუტანა.

ჩილაჩავა 41-ე წუთზე ქუბრიაშვილმა შეცვალა, მიქაუტაძემ კი მოედანი მე-60 წუთზე დატოვა.

ამავე ჯგუფში **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი“ სტუმრად დამარცხდა ინგლისში „ნიუკასლთან“ - 19:27. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**B ჯგუფი**

ტულონი-პადოვა 53:22, ნიუკასლი-ლიონი 27:19,

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 5 ქულა, 2. ნიუკასლი - 4, 3. ლიონი - 0, 4. პადოვა - 0.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდმა მოიგო. **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვლის** „ბრივმა“ შინ დაამარცხა ინგლისური „სეილ შარქსი“ - 26:18. ნატრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, კაკოვინი მოედანზე 57-ე წუთიდან გამოჩნდა, ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა“ კი სტუმრად გაანადგურა ესპანური „ლა ვილა“ - 50:10. შეყლაშვილი თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო.

**D ჯგუფი**

ლა ვილა-აჟენი 10:50, ბრივი-სეილ შარქსი 26:18

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აჟენი - 5 ქულა, 2. ბრივი - 4, 3. სეილ შარქსი - 0, 4. ლა ვილა – 0.



მარცხნივ მამუკა გორგოძე

საქართველოს თასი



ბურთით რატი ხუციშვილი

# თითქმის წაგებული მაინც მოიგეს

**ყოჩები–ლელო 26:21**

ყოჩები: (15-9) მახარაშვილი, გარუჩავა, პ. მაისურაძე, ინაშვილი, გეგენავა, გაბუნია (ხარშილაძე 60), ბეგაძე. (1-8) ესაკია, მამუკაშვილი, ხოსიტაშვილი (შენგელია 41), ბელაშვილი, არჩუაშვილი, გრძელიშვილი (ცხვედიანი 49), მალალურაძე, ნიკოლაიშვილი.

ვლ: გეგენავა, ბეგაძე, ხარშილაძე. გ: გეგენავა. 3ს: გეგენავა (2), მახარაშვილი.

სინბინი: გაბუნია

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, კოპაძე, თოდუა, ხუციშვილი, გუგავა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) სანიკიძე, სუჯაშვილი, პატარაია, ჭეიშვილი, აზალაძე, ბ.კოლელიშვილი (ი.დაუშვილი 47), ქოიავა, ჯვარშეიშვილი.

ვლ: კოპაძე, თოდუა, ჯვარშეიშვილი. 3გ: ყიასაშვილი

სინბინი: კაჭარავა

მსაჯი: ნ.რობიტაშვილი

საქართველოს თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი „ლელოსა“ და „ყოჩებს“ შორის, რომელიც „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ საკმაოდ რთულ პირობებში ჩატარდა, დაძაბული და დრამატიზმით აღსავსე გამოდგა. ძლიერი ქარი მორაგბეებს ხელს უშლიდა თითქმის ყველა სათამაშო კომპონენტში, თუმცა ისინი მაინც ახერხებდნენ ტრიბუნაზე შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებლისთვის კარგი სანახაობა შეეთავაზებინათ.

მატჩი, როგორც აღვნიშნეთ, დრამატული გამოდგა. „ლელო“ 50-ე წუთისთვის 13 ქულის სხვაობით, 21:8-ს იგებდა, მაგრამ „ყოჩებმა“ მატჩის ბედის სათავისოდ შემობრუნება შეძლეს და მეტოქეს ხუთი ქულით აჯობეს - 26:21.

პირველ ტაიმში ქარი „ლელოს“ სასარგებლოდ ქროდა, თუმცა ანგარიში პირველივე წუთზე „ყოჩებმა“ გახსნეს. ფულბეკმა **შავლეგ მახარაშვილმა** ახლო მანძილიდანს საჯარიმო გაიტანა - 3:0. ეს ანგარიში 27-ე წუთამდე უცვლელი იყო. დაწინაურება ლელოელებმა სწორედ ამ დროს მოახერხეს. მოედნის ცენტრში მგეზავი **ლაშა ხმალაძის** წამოწყებული შეტევა „ყოჩებმა“ 22-მეტრიანი ზონის ხაზთან წესის დარღვევით შეაჩერეს. ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** სწრაფად გაათამაშა და მარჯვენა ფრთაზე ბურთი შუამარბ **ალექსანდრე თოდუას** გაატანა, რომელმაც ლელომდე ოცი მეტრი შეუფერხებლად ირბინა. ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** გარდასახა - 7:3.

სამ წუთში „ყოჩებმა“ შესანიშნავი კონტრიერიში განახორციელეს. „ლელოს“ მოედნის ნახევარზე მახარაშვილმა იყოჩალა, ის მეტოქის რამდენიმე მორაგბეს ხელიდან დაუსხლტა და მარცხენა, მოკლე ფრთაზე შეტევაში გარემარბი **ირაკლი გეგენავა** ჩართო. მისი გატანილი ლელო მახარაშვილმა ვერ გარდასახა - 8:7.

ტაიმის მიწურულს „ლელომ“ კიდევ ერთი ლელოს გატანა შეძლო. „ყოჩების“ ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში ლელოელებმა ორჯერ მოაწოდეს აუტი, ორივეჯერ მოლით სცადეს მიზნის მიღწევა. მეორე ცდა შედეგიანი გამოდგა. მოლს მოულოდნელად მესამეხაზელი **დავით ჯვარშეიშვილი** მოსწყდა და თავისიანები დააწინაურა, ყიასაშვილმა გარდასახა - 14:8. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ უპირატესობას მთლიანად „ყოჩები“ ფლობდნენ. მახარაშვილმა სამი საჯარიმო ვერ გაიტანა, რაზეც 50-ე წუთზე „ლელომ“ დასაჯა კიდეც. შესანიშნავად ისევ „ლელოს“ მგეზავმა ლაშა ხმალაძემ ითამაშა, რომლის გარღვევა მარცხენა ფრთაზე ახალგაზრდა გარემარბმა **დაჩი კოპაძემ** ლელოთი დაასრულა. ყიასაშვილმა ესეც გარდასახა - 21:8.

ამ დროიდან მოყოლებული „ლელომ“ საკუთარ მონაგარს ველარაფერი შესძინა. „ყოჩებმა“ კი 10 წუთში ლელოთი ანგარიშის შემცირება შეძლეს. მათი შეტევა მარჯვენა ფრთაზე განვითარდა, იქ ლელოელთა 22-მეტრიან ზონაში წარმოქმნილი რაკიდან ბურთი სწრაფად გამოიტანეს და მარცხნივ, გრძელ ფრთაზე ჩაათამაშეს, სადაც „ყოჩები“ უმრავლესობაში იყვნენ. ლელო შეცვლაზე შესულმა გარემარბმა **გიორგი ხარშილაძემ** მიითვალა, მახარაშვილმა ვერ გარდასახა - 13:21.

„ყოჩებმა“ მორიგი ლელო 70-ე წუთზე გაიტანეს. „ლელომ“ საკუთარ 22-მეტრიან ზონაში თავისი შერკინება წააგო, იქიდან გამოვარდნილი ბურთი ცხრა ნომერმა **გიორგი ბეგაძემ** აიტაცა და მარჯვენა მოკლე ფრთაზე შეუტია. მოწინააღმდეგემ მისი შეჩერება ვერაფრით შეძლო. გარდასახვა ამჯერად მახარაშვილის ნაცვლად გეგენავამ დაარტყა და გაიტანა - 20:21.

მატჩის დასრულებამდე დარჩენილ დროში გეგენავამ კიდევ ორჯერ გაატარა საჯარიმოდან ბურთი „ლელოს“ კარის ძელებს შორის და განმეორებითი მატჩისთვის, რომელიც ერთი კვირის თავზე გაიმართება, ხუთქულიანი უპირატესობა დაიბევა - 26:21.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა ქუთაისის „აიასა“ და „არმიას“ შორის დღეს ქუთაისში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მძლეოსნობა


უსაინ ბოლტი

# ბოლტი მესამედ, პირსონი პირველად

მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) 2011 წლის საუკეთესო მძლეოსნები დაასახელა. ამ სეზონის ლაურეატები გახდნენ იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** და ავსტრალიელი მორბენალი **სალი პირსონი**. დაჯილდოების ცერემონია 12 ნოემბერს მონაკოში გაიმართა.

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბოლტმა მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატზე 100 მეტრის ფინალში ფალსტარტი გააკეთა და დისკვალიფიკაცია მიიღო. სამაგიეროდ, ორჯერ გრძელ დისტანციაზე პირველობა არავის დაუთმო, 4x100 მეტრზე ესტაფეტაში კი იამაიკის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა.

ბოლტი მესამედ გახდა IAAF-ის პრიზის მფლობელი, პირსონი კი პირველი ავსტრალიელია, ვინც ამგვარ აღიარებას მიაღწია.

პირსონმა მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა, თანაც ბოლო 19 წლის განმავლობაში საუკეთესო დრო დააფიქსირა.

■ ■ ■

ამასობაში, ბოლტმა გადაწყვიტა ლონდონის ოლიმპიადაზე ოთხი ოქროსთვის იბრძოლოს. იამაიკელი ტრადიციულად გამოვა 100 და 200 მეტრ დისტანციებზე, აგრეთვე 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. და ამას დაემატება 4x400 მეტრზე ესტაფეტა. ბოლტის თქმით, ის ამ დისციპლინაში იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ იამაიკის ნაკრებს ოქროს მოპოვების შანსი ექნება.

*„თუ მე შემეძლება გუნდისთვის დახმარება, მზად ვარ გავირბინო 400 მეტრი. ამჟამად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები უკან დარჩა და უკვე შევუდექი სერიოზულ ვარჯიშებს“*, - ამბობს ბოლტი.

■ ■ ■

სეზონის ლაურეატების დაჯილდოების გარდა, IAAF-მა მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქი გამოავლინა. ეს პატივი წილად ხვდა ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონს.

მისი კონკურენტი გახლდათ კატარის დედაქალაქი დოჰა, თუმცა ბრიტანული განაცხადი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მას მხარი დაუჭირა ასოციაციის საბჭოს 16-მა წევრმა, დოჰას - 10-მა წევრმა.

შეგახსენებთ, რომ ლონდონი და დოჰა უახლოეს ათწლეულში ორ სხვა დიდ ტურნირს უმასპინძლებენ. ლონდონში გაიმართება 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადა, კატარში მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში.

ასევე შეგახსენებთ, რომ მძლეოსნობაში მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატი მოსკოვში ჩატარდება, 2015 წლისა - პეკინში.

## ხელბურთი

# კორუმპირებული პრეზიდენტი

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (IHF) პრეზიდენტი კორუფციაშია ეჭვმიტანილი. შვეიცარიელმა სამართალდამცავებმა ჩხრეკა ჩაატარეს IHF-ის ოფისსა და ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის **ჰასან მუსტაფას** ბინაში.

ჩხრეკა გერმანიის პროკურატურამ მოითხოვა, რომელმაც მუსტაფას საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. მას აინტერესებს მუსტაფას როლი მარკეტინგულ კომპანია Sportfive-ში, რომელმაც, თავის დროზე, 2006-09 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატებზე სატელევიზიო უფლებები მიიღო. მუსტაფა ეჭვმიტანილია მექრთამეობასა და კორუფციაში, აგრეთვე ტელეუფლებებთან დაკავშირებულ მაქინაციებში.

გამოძიების ყურადღების ცენტრში მოექცა 602 მილიონი ევროს ოდენობის ორი გადარიცხვა, რომელიც მუსტაფამ 2007 წელს Sportfive-ის კონსულტანტის რანგში მიიღო. ეს შეთანხმება გერმანულმა პრესამ გასული წლის დასაწყისში აღმოაჩინა. არც მუსტაფასა და არც ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციას ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

## კალათბურთი

# პროფკავშირს ახალი შეთავაზება არ მოსწონს, მაგრამ...

დღეს უნდა გადაწყდეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 2011-12 წლების სეზონის ბედი. ნიუ იორკში გაიმართება მოთამაშეთა პროფკავშირის სხდომა, სადაც კალათბურთელები იმსჯელებენ კლუბების მფლობელთა ბოლო შეთავაზების შესახებ და ერთიან პოზიციას შეიმუშავებენ. შესაძლოა, გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრით მიიღონ. ახალი კოლექტიური ხელშეკრულების ბოლო ვარიანტზე მოთამაშეთა უარი, სავარაუდოდ, სეზონის საბოლოოდ გაუქმებას გამოიწვევს, ხოლო მათი თანხმობის შემთხვევაში რეგულარული ჩემპიონატი 15 დეკემბერს დაიწყება და თითო გუნდი 72 მატჩს ჩაატარებს.

ამ უმნიშვნელოვანესი სხდომის წინ ამერიკულ პრესაში ბევრი დაიწერა ლოკაუტის დასრულების შანსებზე. მაგალითად, არაოფიციალური ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ პროფკავშირი არ ეთანხმება შემოთავაზებულ წინადადებას და დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ჩემპიონატი არ ჩატარდება.

იქვე ერთ-ერთმა აგენტმა განმარტა პროფკავშირების უკმაყოფილება კოლექტიური ხელშეკრულების ახალი ვარიანტის გამო. მან ამ დოკუმენტს „დრაკონული“ უწოდა და აღნიშნა, რომ ვერ წარმოუდგენია სცენარი, რომლითაც მოთამაშეთა პროფკავშირი ამ პირობებით ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას დათანხმდება. წყაროს ცნობით, მფლობელთა წინადადებაში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც კლუბებს შეუძლიათ პირველი ხუთი სეზონის განმავლობაში კალათბურთელი ნებისმიერ მომენტში გაისტუმრონ D-ლიგაში, თანაც გადაუხადონ მას კონტრაქტით გათვალისწინებულ ხელფასზე ექვსჯერ ნაკლები თანხა.

„დალასის“ მცველმა **ჯეისონ ტერიმ** განაცხადა, რომ მოთამაშეებმა უკან არ უნდა დაიხიონ, თუნდაც ეს სეზონის დაკარგვის ფასად დაუჯდეთ.

*„ჩვენ კალათბურთის თამაში გვინდა, მაგრამ ამასთან, მოთამაშეები არ უნდა დათანხმდნენ მათთვის მიუღებელ პირობებს. ყველას უნდა ესმოდეს, რომ NBA-ში არსებობს კალათბურთელთა სამი ჯგუფი - უმაღლესი, საშუალო და დაბალი კლასი. ახლა კლუბების მფლობელები ცდილობენ თავიდან მოიშორონ საშუალო კლასი. ჩვენ არ დავთანხმდებით არასასურველი პირობებით ხელშეკრულების გაფორმებას, თუნდაც ამან სეზონის გაუქმებამდე მიგვიყვანოს“*, - ამბობს გასული სეზონის საუკეთესო „მეექვსე მოთამაშე“.

„მემფის გრიზლისის“ მცველი **ო ჯეი მაიო** კი აცხადებს, რომ ზოგიერთი მოთამაშე მზად არის მიიღოს მფლობელთა ბოლო შეთავაზება, ოღონდ კი სეზონის დაკარგვა აიცილონ თავიდან.


დევიდ სტერნი

*„მფლობელთა ახალი წინადადება იდეალური არ არის და ბევრ პუნქტში ზღუდავს მოთამაშეთა უფლებებს. ვფიქრობ, პროფკავშირი უარს იტყვის მის გაფორმებაზე. თუმცა ლიგაში ბევრი ისეთი კალათბურთელია, რომლებიც იმდენად სასოწარკვეთილნი არიან, რომ ყველაფერზე მოაწერენ ხელს, ოღონდ კი სეზონი გადაარჩინონ. ვფიქრობ, სწორედ ამის იმედი აქვს მფლობელებს“*, - გვიზიარებს თავის აზრს ახალგაზრდა კალათბურთელი.

მაგრამ ვრცელდება ისეთი განცხადებებიც, რომელიც კალათბურთის მოყვარულებს იმედიანად განაწყობს. ჟურნალისტი **შონ პაუელი** იტყობინება, რომ მოთამაშეთა პროფკავშირი, სავარაუდოდ, დაეთანხმება კლუბების მფლობელთა ბოლო წინადადებას.

*„ყველას ესმის, რომ მფლობელებმა ყველაზე მომგებიანი წინადადება გააკეთეს*, - განუცხადა ინკოგნიტო წყარომ ჟურნალისტს. - *თუ პროფკავშირი ხმების უმრავლესობით დაეთანხმება ამ წინადადებას, ოთხშაბათს ლოკაუტი დასრულებული იქნება“.*

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია იმაში მდგომარეობს, რომ, შესაძლოა, შეიცვალოს მოთამაშეთა პროფკავშირების ხელმძღვანელი. ამ ორგანიზაციის წამყვანი პოსტის დაკავებას აპირებს „დეტროიტ პისტონზის“ ლეგენდარული კალათბურთელი **აიზია ტომასი**. შეგახსენებთ, რომ პროფკავშირებს 1996 წლიდან სათავეში უდგას **ბილი ჰანტერი**.

# კალათბურთი ავიამზიდზე

სანამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სეზონის გადარჩენას ცდილობენ, ამერიკის სტუდენტურ ლიგაში ერთმანეთს შეხვდნენ NCAA-ის საუკეთესო გუნდები - ჩრდილოეთ კაროლინა და მიჩიგანი. შეხვედრა კაროლინელთა გამარჯვებით დასრულდა - 67:55. თამაში მიეძღვნა ვეტერანთა დღეს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეროვნულ დღესასწაულად ითვლება. საინტერესოა, რომ მატჩი არა რომელიმე გუნდის დარბაზში, არამედ სამხედრო ავიამზიდ „კარლ ვინსონზე“ ჩატარდა. მოედანი პირდაპირ ასაფრენ ბილიკზე გამართეს, რომლის გარშემო ტრიბუნები იყო აგებული. შეხვედრას 8 ათასი მაყურებელი დაესწრო. მათ შორის იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა, მეჯიქ ჯონსონი, ვინს კარტერი, პამელა ანდერსონი...**

ბარაკ ობამამ შემთხვევით ისარგებლა და იმედგაცრუება გამოთქვა იმის გამო, რომ NBA-ში სეზონი, შესაძლოა, არ გაიმართოს.

*„შეწუხებული ვარ იმის გამო, რომ NBA-ის სეზონს საფრთხე ემუქრება. მოთამაშეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კალათბურთი მსოფლიოში მილიონობით ადამიანს უყვარს, მათ შორის მეც და ყველანი მოუთმენლად ველოდებით მატჩებს მსოფლიოს საუკეთესო ლიგიდან.*

*ბოლო დროს გოლფმა გამიტაცა და დიდ დროს ვატარებ მოედანზე, მაგრამ კალათბურთს ჩემს გულში ყოველთვის პირველი ადგილი ექნება“*, - ამბობს ამერიკის პრეზიდენტი.

# უეიდს ოლიმპიადა მოუნდა

„**მაიამი ჰიტის**“ ერთ-ერთმა ლიდერმა **დუეინ უეიდმა** ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის მზადყოფნა გამოთქვა. ადრე პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული აცხადებდა, რომ ეჭვი ეპარება ოდესმე ისევ ჩაიცვას ამერიკის ნაკრების მაისურა.

*„მოლაპარაკებები თამაშებში ჩემს მონაწილეობაზე ჯერ ისევ გრძელდება, მაგრამ უკვე ვთქვი, რომ თუ გუნდს დავჭირდები, მზად ვარ მოედანზე გავიდე. ლონდონის ტურნირი ჩემი ოლიმპიური კარიერის საუკეთესო დასასრული იქნებოდა“*, - განაცხადა უეიდმა სააგენტო „როიტერთან“ ინტერვიუში.

■ ■ ■

შაბათს გამოქვეყნდა **ჯონ ნეისმიტის** სახელობის საკალათბურთო დიდების დარბაზში მოხვედრის კანდიდატთა გაფართოებული სია. პრეტენდენტთა შორის ვხედავთ „ინდიანა პეისერსის“ ლეგენდარულ ლიდერს **რეჯი მილერს**, „გოლდენ სტეიტის“ ყოფილ დამრიგებელს **დონ ნელსონს** და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ყოფილ ცენტრს **ვლადე დივაცს**.

კანდიდატთა სრული სია ასე გამოიყურება: **დიკ ბავეტა, მორის ჩიქსი, ლეფტი დრიზელი, ბილ ფიტჩი, კოტონ ფიტცსიმონსი, კურტ გოუდი, ტიმ ჰარდუეი, სპენსერ ჰეივუდი, ტომ იერნსტედტი, მარკ ჯექსონი, ბერნარდ კინგი, დიკ მოტა, ბილი პაკერი, რიკ პიტინო, პოლ სილასი, ჯორჯ რეიველინგი, მიჩ რიჩმონდი, რაფლ სემპსონი, ედი სატონი, რუდი ტომიანოვიჩი, ჯინ შუ, ჯიმ ვალვანო, დონი უოლში, გერი უილიამსი, პოლ უესტფალი, ჯამალ უილკსი და ჯერი კრაუსი.**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 12 ნოემბერი

**პიტსბურგი-დალასი 3:1**

**0:1, 1:0, 2:0**

**გოლები:** ნისტრიომი-5 (დვორაკი-6, ფიდლერი-4), 1:1 ჯ. ნილი-10 (კუნიტცი-4, სალივანი-6), 2:1 ჯ. ნილი-11 (მალკინი-7, ლეტანგი-13), 3:1 კუკი-5 (ბულიტი).

**რეინჯერსი-კაროლინა 5:1**

**1:0, 0:1, 4:0**

**გოლები:** 1:0 შ. ეივერი-1 (ვოივიტკა-2), 1:1 პონიკაროვსკი-3 (ბოიჩუკი-2, მაკბეინი-5), 2:1 ჟირარდი-3 (ბ. რიჩარდსი-7, მაკდონაჰი-4), 3:1 დუბინსკი-1 (კელეჰანი-2, ბ. ბოილი-2), 4:1 კელეჰანი-7 (ზაუერი-1, დუბინსკი-7), 5:1 ბ. რიჩარდსი-5.

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 1:3**

**1:0, 0:1, 0:2**

**გოლები:** 1:0 ა. ლარსონი-1 (ზუბრუსი-3, ელიაში-8), 1:1 ოვეჩკინი-7 (ვიდემანი-9, ბექსტრიომი-15), 1:2 ჩიმერა-5 (ბროუერი-5, ერსკინი-2), 1:3 იოჰანსონი-6 (ელზნერი-5).

**ბაფალო-ოტავა 5:1**

**3:1, 0:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 დ. როი-5 (სტეფორდი-4, ერჰოფი-8), 2:0 ელისი-1 (ტროპი-1, მაკორმიკი-2), 2:1 გონჩარი-1 (ე. კარლსონი-14, სპეცა-11), 3:1 ლეოპოლდი-3 (სტეფორდი-5, დ. როი-6), 4:1 ლ. ადამი-5 (ვანეკი-9, პომინვილი-13), 5:1 ლეინო-2 (სტეფორდი-6, დ. როი-7).

**დეტროიტი-ედმონტონი 3:0**

**1:0, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 დ. მილერი-1 (ივსი-1), 2:0 კრონვალი-3 (ჰუდლერი-4, აბდელკადერი-2), 3:0 ფილპულა-3 (ზეტერბერგი-3, ფრანცენი-6).

**ჩიკაგო-კალგარი 4:1**

**1:0, 1:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 კიტი-1 (კარჩილო-4, შარპი-8), 2:0 სიბრუკი-1 (მარიან ჰოსა-7, შარპი-9), 2:1 ო. იოკინენი-4 (ჯორდანო-4), 3:1 სტალბერგი-4 (მარიან ჰოსა-8, ტეუვზი-6), 4:1 პ. კეინი-6 (შარპი-10, კარჩილო-5) 1 - 4

**ანაჰაიმი-ვანკუვერი 4:3**

**0:0, 4:0, 0:3**

**გოლები:** 1:0 ს. კოივუ-2 (კოლიანო-2), 2:0 კოლიანო-2 (რაიანი-3, ჰილერი-1), 3:0 პერი-6 (გეტცლაფი-5, სელიანე-10), 4:0 ჰოლანდი-1 (ლიდმანი-5), 4:1 ბიეკსა-1 (ბუტი-5, ჰამჰუისი-6), 4:2 ჰანსენი-3 (დ. სედინი-15, სალო-6), 4:3 ჰანსენი-4 (დ. სედინი-16, ბიეკსა-4).

### 13 ნოემბერი

**ბოსტონი-ბაფალო 6:2**

**0:1, 3:0, 3:1**

**გოლები:** 0:1 ვანეკი-11 (პომინვილი-14), 1:1 პევერლი-4 (კ. კელი-5), 2:1 სეგუინი-10 (მარშანი-6), 3:1 ჰორტონი-5 (ბოიჩუკი-3, ხარა-10), 4:1 კ. კელი-4 (პევერლი-5), 5:1 სეგუინი-11 (პ. ბერჟერონი-9, მარშანი-7), 6:1 მარშანი-5 (სეგუინი-9, ხარა-11), 6:2 გრანიანი-1 (ერჰოფი-9, ლ. ადამი-8).

**ნეშვილი-მონრეალი 1:2 (ო)**

**0:1, 1:0, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 დეშარნე-3 (კოული-3, ჯორჯესი-7), 1:1 შ. უებერი-2 (რ. სატერი-6, სპალინგი-3), 1:2 პასიორეტი-7 (სუბანი-5, დეშარნე-7).

**კოლამბუსი-ვინიპეგი 2:1**

**1:0, 0:0, 1:1**

**გოლები:** 1:0 რ. იოჰანსენი-4 (ვიშნიევსკი-5, მეტოტი-1), 2:0 რ. იოჰანსენი-5 (პროსპალი-9, ნიკიტინი-1), 2:1 მ. სტიუარტი-2 (ბაფლინი-7).

**დეტროიტი-დალასი 5:2**

**1:1, 1:1, 3:0**

**გოლები:** 0:1 ლ. ერიქსონი-9 (დელეი-4, ბენი-14), 1:1 კრონვალი-4 (ქლირი-3, ჰოლმსტრიომი-4), 2:1 ი. უაიტი-3 (დ. მილერი-4, ლიდსტრიომი-6), 2:2 მოროუ-3 (რიბეირო-10, ბარიში-5), 3:2 ფრანცენი-9 (ფილპულა-9, ბ. სტიუარტი-1), 4:2 ჰელმი-2 (ჰუდლერი-5), 5:2 ბ. სტიუარტი-1 (ფრანცენი-7, ფილპულა-10).

**კაროლინა-პიტსბურგი 5:3**

**1:0, 2:0, 2:3**

**გოლები:** 1:0 სკინერი-7 (ი. იოკინენი-7, ტ. კაბერლე-4), 2:0 ტ. რუუტუ-5 (სკინერი-9, ი. იოკინენი-8), 3:0 ტ. რუუტუ-6 (სკინერი-10), 3:1 ჯ. სტაალი-7 (მალკინი-8, ჯ. ნილი-6), 3:2 ჯ. სტაალი-8 (კუკი-5, ორპიკი-2), 3:3 კუნიტცი-6 (დუპუი-8), 4:3 ე. სტაალი-4 (გლისონი-5, ლაროუზი-6), 5:3 ლაროუზი-5 (ე. სტაალი-3, ჰარისონი-6).

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 2:3 (ბ)**

**2:0, 0:2, 0:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 ბროუერი-4, 2:0 ჩიმერა-6 (ჯ. კარლსონი-5, იოჰანსონი-4), 2:1 სიკორა-3 (ზუბრუსი-4, ელიაში-9), 2:2 რ. კარტერი-1 (სალვადორი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** პარიზე (ნიუ ჯერსი), ოვეჩკინი (ვაშინგტონი), კლარკსონი (ნიუ ჯერსი).

**ტორონტო-ოტავა 2:5**

**1:0, 0:2, 1:3**

**გოლები:** 1:0 ბოჟაკი-1 (კესელი-12, შენი-4), 1:1 გონჩარი-2 (დაუგავინსი-1, ზ. სმიტი-6), 1:2 ფოლინო-5 (ე. კარლსონი-15, კ. ანდერსონი-2), 1:3 ზ. სმიტი-3, 2:3 ლუპული-9, 2:4 ფოლინო-6 (ვინჩესტერი-2), 2:5 მ. მიხალეკი-11.

**სენტ ლუისი-ტამპა ბეი 3:0**

**1:0, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 რასელი-3 (გრაჩოვი-2, პოლაკი-5), 2:0 შატენკირკი-2 (სტინი-4, ლანგენბრუნერი-5), 3:0 ოში-5 (ბეკსი-4).

**კოლორადო-კალგარი 3:4**

**0:3, 1:1, 2:0**

**გოლები:** 0:1 ბირონი-1 (დ. სმიტი-1, სტემპნიაკი-4), 0:2 იგინლა-5 (ბოუმისტერი-4, ტანგეი-9), 0:3 გლენკროსი-5 (კოსტოპულოსი-3, მოსი-4), 0:4 სტემპნიაკი-3 (ჰორაკი-4), 1:4 ჰეიდუკი-7 (ჰეიდა-4, ლინდსტრიომი-3), 2:4 დუშენი-6 (ო'ბრაიენი-6, ჰეიდუკი-5), 3:4 დ. ჯონსი-6 (რ. ო'რაილი-10, რ. უილსონი-9).

**სან ხოსე-ფინიქსი 0:3**

**0:2, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 ვრბატა-6 (რეი უიტნი-9, ჰანჟალი-8), 0:2 ბ. გორდონი-3 (ტორესი-2, კორპიკოსკი-3), 0:3 ო'სალივანი-2 (ჩირჩუპა-1, ა. ოკუანი-2).

**ლოს ანჯელესი-მინესოტა 5:2**

**1:0, 4:0, 0:2**

**გოლები:** 1:0 ფრეზერი-1 (მორო-2, ტ. ლუისი-1), 2:0 მარტინესი-2 (ჯასტინ უილიამსი-10, საიმონ განიე-5), 3:0 დ. ბრაუნი-4 (ჯ. ჯონსონი-4), 4:0 საიმონ განიე-6 (კოპიტარი-13, ჯასტინ უილიამსი-11), 5:0 მეტ გრინი-1 (ჰანტერი-2, სტოლი-5), 5:1 კლატერბეკი-3 (მ. კოივუ-9, ჰიტლი-6), 5:2 პოუ-2 (ჟიდლიცკი-6, პროსერი-3).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი



როჯერ ფედერერი

# რვაასიანი ფედერერი

პარიზის მასტერსის მეოთხედფინალში როჯერ ფედერერის გამარჯვება ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი იყო მის კარიერაში. არგენტინელი **ხუან მონაკოს** დამარცხებით (6:3, 7:5) როჯერს 800 მოგება დაუგროვდა პროფესიულ ტურში. ამით ის გახდა მეშვიდე მოთამაშე ისტორიაში, ვინც ამ ზღვარს მიაღწია. მასზე წინ შემდეგი მოთამაშეები არიან:

| | |
|---|---|
| ჯიმი კონორსი (აშშ) | 1242 |
| ივან ლენდლი (ჩეხ) | 1071 |
| გილერმო ვილასი (არგ) | 923 |
| ჯონ მაკინროი (აშშ) | 875 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 870 |
| სტეფან ედბერგი (შვედ) | 806 |

პარიზის მასტერსი ფედერერისთვის ორმაგად წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ის აქ კარიერაში პირველად გავიდა ფინალში. ამისთვის მას დიდი ჯაფა არ დასდგომია - ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან** მატჩში მან ორივე სეტის სტარტზე აილო ბრეიკი და თავად ერთი გეიმიც არ დაუთმო საკუთარ მოწოდებაზე მეტოქეს.

გაცილებით საინტერესო იყო მეორე ნახევარფინალი **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და **ჯონ ისნერს** შორის. ამერიკელმა პირველი სეტი ერთადერთი ბრეიკით მოიგო, მეორეში საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ ისნერმა ჩააგდო „საჩოგბურთო ლატარია“ - 1:7. თუმცა ჯონი მაინც ახლოს იყო გამარჯვებასთან - 6:5-ზე მიღებისას მან სამი მატჩბოლი მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, ტაი-ბრეიკზე კი ისევ უფრო უკეთ ფრანგმა ითამაშა, მეტოქისგან განსხვავებით პირველივე მატჩბოლი გამოიყენა და ფინალში გავიდა.

ასე რომ, პარიზის მასტერსის ფინალში ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს ფრანგი ჩოგბურთელი. 2008 წელს ცონგამ სამ სეტში მოუგო **დავიდ ნალბანდიანს**, მომდევნო ორ ფინალში კი **გაელ მონფილსი** დამარცხდა - ჯერ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან**, შემდეგ **რობინ სიოდერლინგთან**.

**BNP Paribas Masters**

პარიზი (საფრანგეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 992 648 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) ჯოკოვიჩის უარი; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 2) 4:6, 7:6(5), 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ხუან მონაკო (არგ) 6:3, 7:5; **ჯონ ისნერი (აშშ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 6:3, 3:6, 6:3.

**1/2 ფინალი**

**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-ჯონ ისნერი (აშშ) 3:6, 7:6(1), 7:6(3); **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5) 6:4, 6:3.

## რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# რვაგზის ლოები

ლეგენდარული ფრანგი რალისტი **სებასტიან ლოები** მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონი გახდა. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გენერალურ კლასიფიკაციაში ფრანგის ერთადერთი კონკურენტი, ფინელი **მიკო ჰირვონენი** ბრიტანეთის რალის დისტანციას ჩამოშორდა.

ჰირვონენი ლიდერობდა საერთო ჩათვლაში მეშვიდე სპეცმონაკვეთის წინ, მაგრამ მექანიკური პრობლემების გამო ძალიან ბევრი დრო დაკარგა და მე-13 ადგილამდე ჩამოქვეითდა. საბოლოოდ, ფინელმა ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო, რითაც ლოები ავტომატურად გახდა მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონი.

„საკმაოდ უცნაური შეგრძნება მაქვს, რადგან ჩემპიონი გავხდი, რბოლა კი გრძელდება, - განაცხადა შაბათს ლოებმა. - მაგრამ გავაგრძელებ გამოსვლას მაყურებლებისთვის, რადგან აქ ბევრი მხარდამჭერი მყავს. მთელი სეზონის განმავლობაში მჯეროდა, რომ შევძლებდი ტიტულის მოპოვებას“.

მერვე ტიტულის მოპოვებით ლოებმა კიდევ ერთხელ გადაწერა ისტორია. ამდენჯერ ამ სარბოლო სერიაში არავის გაუმარჯვია. უფრო მეტიც, ტიტულების რაოდენობით ფრანგის უახლოეს მდევრებს - ფინელებს **იუჰა კანკუნენსა** და **ტომი მიაკინენს** ოთხ-ოთხი გამარჯვება აქვთ კარიერაში.

გაისად ლოებს შეეძლება საკუთარი რეკორდის გაუმჯობესება. წლის დასაწყისში სებასტიანი აცხადებდა, რომ 2011 წლის სეზონი ბოლო იქნებოდა მის კარიერაში, მაგრამ ზაფხულში ფრანგმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და უახლოესი ორი წლის განმავლობაში ისევ გაახარებს თავის გულშემატკივრებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



სებასტიან ლოები

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2012**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-ბოსნია | 2:1 |

**ევრო 2012**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| მოლდოვა-ხორვატია | 0:4 |
| ჰოლანდია-ფინეთი | 2:0 |
| უკრაინა-მაკედონია | 3:0 |
| ყაზახეთი-შვეიცარია | 0:2 |
| ჩეხეთი-სერბეთი | 1:0 |
| ისრაელი-ლიტვა | 2:2 |
| პოლონეთი-ლუქსემბურგი | 2:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ს. აფრიკა-კოტ დ'ივუარი | 1:1 |
| უელსი-ნორვეგია | 4:1 |
| ნიგერია-ბოტსვანა | 0:0 |
| ალჟირი-ტუნისი | 1:0 |
| ინგლისი-ესპანეთი | 1:0 |
| სუდანი-უგანდა | 0:0 პენ. 0:1 |
| მაროკო-კამერუნი | 1:1 პენ. 1:2 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ებსფლიტი-სტოკპორტი | 2:1 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| ნიუპორტი-შრიუსბერი | 0:1 |
| ბრენტფორდი-ბესინგსტოუკი | 1:0 |
| ისტ ტაროკი-მაკლსფილდი | 0:3 |
| ტოოტონი-ბრედფორდი | 8:1 |
| უიმბლდონი-სკანტორპი | 0:0 |
| ალფრეტონი-კარლაილი | 0:4 |
| ბაროუ-როტერჰემი | 1:2 |
| ბრითი-გეიტშიდი | 0:2 |
| ბორნმუთი-ჯილინგემი | 3:3 |
| ბრედფორდი-როჩდეილი | 1:0 |
| როვერსი-კორბი | 3:1 |
| ბერი-ქროული | 0:2 |
| ჩელმსფორდი-ტელფორდი | 4:0 |
| ჩესტერფილდი-ტორკი | 1:3 |
| ქრიუ-კოლჩესტერი | 1:4 |
| დაგენჰემი-ბეთი | 1:1 |
| ექსეტერი-უოლსოლი | 1:1 |
| ფლიტვუდი-უიკომბი | 2:0 |
| ჰარტლპული-სტევენეიჯი | 0:1 |
| ჰერეფორდი-იეოვილი | 0:3 |
| ჰინკლი-ტამუორტი | 2:2 |
| ლეიტონი-ბრომლი | 3:0 |
| ლუტონი-ნორთჰემპტონი | 1:0 |
| მეიდენჰედი-ალდერშოტი | 1:1 |
| მილტონი-ნანტვიჩი | 6:0 |
| ნოტსი-აკრინგტონი | 4:1 |
| ოლდჰემი-ბარტონი | 3:1 |
| პლიმუტი-სტუორბრიჯი | 3:3 |
| პორტ ვეილი-გრიმსბი | 0:0 |
| პრესტონი-საუთენდი | 0:0 |
| რედბრიჯი-ოქსფორდ სიტი | 0:0 |
| შეფილდი-ოქსფორდი | 3:0 |
| საუთპორტი-ბარნეტი | 1:2 |
| სატონი-კეტერინგი | 1:0 |
| სუინდონი-ჰადერსფილდი | 4:1 |
| ტრანმერი-ჩელტენემი | 0:1 |
| სალისბერი-ერლსი | 3:1 |
| ჰალიფაქსი-ჩარლტონი | 0:4 |
| მორეკამბი-უენსდი | 1:2 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| პესკარა-პადოვა | 1:1 |
| რეჯინა-ნოჩერინა | 2:1 |
| ბრეშა-ასკოლი | 0:1 |
| ჩიტადელა-ლივორნო | 2:2 |
| გროსეტო-ვარეზე | 1:5 |
| გუბიო-სასუოლო | 0:1 |
| იუვე სტაბია-ალბინოლეფე | 2:2 |
| მოდენა-ემპოლი | 0:2 |
| სამპდორია-ვიჩენცა | 0:1 |
| ვერონა-კროტონე | 2:1 |
| ტორინო-ბარი | 1:1 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| ბენევენტო-აველინო | 2:2 |
| კომო-კარპი | 1:0 |
| ფოჯა-ტარანტო | 0:1 |
| ფოლინო-ტრიტიუმი | 0:1 |
| მონცა-ტერნანა | 0:2 |
| პრო ვერჩელი-ვიარეჯო | 2:0 |
| რეჯანა-სპალი | 3:0 |
| სორენტო-ლუმეცანე | 1:2 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ტრაპანი-ლანჩანო | 1:3 |
| ბარლეტა-პერგოკრემა | 2:0 |
| ბასანო-ტრიესტინა | 2:0 |
| კარარეზე-სირაკუზა | 1:1 |
| კრემონეზე-ფერალპიზალო | 1:0 |
| ლატინა-პორტოგრუარო | 4:1 |
| პიაჩენცა-ფროსინონე | 1:1 |
| სპეცია-პრატო | 1:0 |
| სუდტიროლი-ანდრია | 1:1 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უესკა-ვალიადოლიდი | 2:2 |
| ალკორკონი-ხიმნასტიკი | 0:1 |
| ბარსელონა B-ხირონა | 2:2 |
| კარტახენა-ელჩე | 1:1 |
| ერკულესი-მურსია | 0:1 |
| ხერესი-ნუმანსია | 1:2 |
| საბადელი-კორდობა | 0:3 |
| გვადალახარა-ალკოიანო | 1:1 |
| ვილიარეალი B-ალმერია | 2:1 |
| რეკრეატივო-ლას პალმასი | 4:2 |
| დეპორტივო-სელტა | 2:1 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| მუნსტერი-არმინია | 0:0 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| მოისელვიტცი-ბერლინერი | 0:1 |
| კოტბუსი II-ვოლფსბურგი II | 1:1 |
| ჰანოვერი II-ჰაველსე | 1:1 |
| ჰერტა II-მეპენი | 0:0 |
| პლაუენი-ჰალეშერი | 0:1 |
| ლაიპციგი-კილი | 2:1 |
| სტ. პაული II-გერმანია | 0:0 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი (ა)-ჰოფენჰაიმი II | 1:1 |
| ფრაიბურგი II-ვორმატია | 1:1 |
| კარლსრუე II-ინგოლშტადტი II | 1:2 |
| ვალდჰოფი-პფიულენდორფი | 1:1 |
| ნიურნბერგი II-მემინგენი | 4:0 |
| ზონენჰოფი-კასელი | 6:1 |
| ბაიერნი II-შტ. კიკერსი | 1:2 |
| ფრანქფურტი II-მიუნხენი II | 2:3 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ობერშტაინი-ლევერკუზენი II | 3:1 |
| ფერლი-კიოლნი II | 1:0 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-ბრიუსელი | 2:2 |
| ეუპენი-შარლერუა | 0:1 |
| ლომელი-აალსტი | 2:0 |
| რუზელარე-ოსტენდე | 0:0 |
| ტუბეკე-ჰაისტი | 2:3 |
| ვიზე-ბორინაჟი | 5:0 |
| სტ. ნიკლაასი-სტანდარდი (3) | 0:1 |
| ტიენენი-ვაასლანდი | 1:1 |
| დენდერი-ვოლუვე | 0:1 |

**პორტუგალიის თასი**

| | |
|---|---|
| პამპილოსა-ოლანენსე | 0:3 |

**პორტუგალია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბეირა მარი-მორეირენსე | 1:2 |
| მარიტიმუ-მადეირა | 2:0 |
| ჟილ ვისენტე-ბელენენსეში | 2:0 |
| ლეირია-სანტა კლარა | 1:0 |
| აკადემიკა-პენაფიელი | 0:1 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლივინგსტონი-ჰემილტონი | 1:0 |
| მორტონი-დანდი | 1:2 |
| ქუინი-პარტიკი | 0:0 |
| რეითი-ეირი | 0:1 |
| როსი-ფალკირკი | 3:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეირდრი-ფორფარი | 4:4 |
| ბრეჩინი-ალბიონი | 1:4 |
| კოუდენბითი-სტენჰაუზმური | 2:0 |
| დამბარტონი-ისტ ფაიფი | 3:0 |
| სტირლინგი-არბროა | 0:1 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბირუიკი-ქუინზ პარკი | 2:0 |
| კლაიდი-ანანი | 0:0 |
| ისტ სტირლინგი-ელჯინი | 1:1 |
| პიტერჰედი-ალოა | 1:1 |
| სტრანრარი-მონროუზი | 4:4 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვესტსიელანდი-ფრედერისია | 0:2 |
| სკივე-ბრონსჰოი | 4:1 |
| ჰიორინგი-ვიბორგი | 1:2 |
| აკადემისკი-ბლოხუსი | 2:4 |
| როსკილდე-ჰობრო | 3:2 |
| ნაესტვედი-ესბერგი | 2:3 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლარისა-ვიზასი | 0:0 |
| ტრასივულოსი-კალონი | 0:1 |
| აგროტიკოსი-დიაგორასი | 1:0 |
| ანაგენისი (ე)-ირაკლისი | 1:0 |
| ეთნიკოსი (ა)-პანსერაიკოსი | 0:1 |
| ფოკიკოსი-ანაგენისი (ი) | 0:1 |
| კალითეა-პლატანიასი | 1:1 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ვინტერტური-ლოკარნო | 0:0 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ერჩიესი-ახისარი | 2:3 |
| თავსანლი-ბოლუ | 1:1 |
| ელაზიგი-ადანა | 1:0 |
| ქართალი-რიზე | 1:2 |
| ქასიმფაშა-გაზიანთეფი ბბ | 2:1 |
| ქონია-გიონგურენი | 2:1 |
| გიოზთეფე-საქარია | 1:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ნიუთაუნი-ლანელი | 0:2 |
| ეირბასი-აფან ლიდო | 3:1 |
| ტნს-ბანგორი | 3:4 |

**ჩეხეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უსტი-ჟლინი | 3:0 |
| ბრნო-კარვინა | 4:1 |
| ვლაშიმი-სპარტა II | 2:1 |
| სეზიმოვო-მოსტი | 2:0 |
| ტრშინეცი-იჰლავა | 1:3 |
| ზნოიმო-სლოვანი | 0:0 |
| ჩასლავი-ოპავა | 2:1 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| სოკოლოვი-პლზენი | 1:3 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| რუდარი-მარიბორი | 0:3 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-ბოტევი | 2:1 |
| სვეტკავიცა-სლავია | 0:3 |
| ცსკა-მინიორი | 3:1 |
| ლოკომოტივი (ს)-მონტანა | 1:1 |
| ბეროე-ლევსკი | 1:2 |
| ჩერნომორეცი-ლუდოგორეცი | 0:0 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| კერიკი-გლენტორანი | 3:3 |
| დონეგალი-კრუზეიდერსი | 0:2 |
| გლენავონი-კლიფტონვილი | 1:2 |
| ლინფილდი-კოლრეინი | 1:0 |
| ლისბურნი-დუნგანონი | 1:2 |
| პორტდაუნი-ბალიმენა | 2:1 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ფიგეირენსე-ატ. მინეირო | 2:1 |
| ფლუმინენსე-ამერიკა | 1:2 |
| სან პაულუ-ავაი | 2:0 |
| სეარა-სანტოსი | 2:3 |
| კორინთიანსი-ატ. პარანაენსე | 2:1 |
| კურიტიბა-ფლამენგო | 2:0 |
| გრემიო-პალმეირასი | 2:2 |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| დანუბიო-რივერ პლეიტი | 0:0 |
| ფენიქსი-სერიტო | 3:1 |
| რამპლა-ნასიონალი | 0:2 |
| ელ ტანკე-სერო | 2:0 |
| ბელა ვისტა-რასინგი | 0:1 |
| სერო ლარგო-დეფენსორი | 0:3 |
| პენიაროლი-მონტევიდეო | 1:2 |
| რენტისტასი-ლივერპული | 3:0 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბონი-ბამბერგი | 73:85 |
| ტრირი-ბრაუნშვაიგი | 52:63 |
| ოლდენბურგი-ჰაგენი | 86:70 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-პერისტერი | 92:65 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მონტეგრანარო-ბიელა | 64:69 |
| ვენეცია-ტერამო | 86:71 |
| მონფერატო-ბენეტონი | 71:72 |
| კანტუ-აველინო | 90:55 |
| რომა-ვანოლი | 85:78 |
| ბოლონია-ვარეზე | 74:63 |
| მილანი-მონტეპასკი | 63:56 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| სარაგოსა-მურსია | 71:62 |
| უნიკახა-რეალი | 80:96 |
| გრან კანარია-ბილბაო | 77:71 |
| ობრადოირო-ფუენლაბრადა | 77:85 |
| კახა ლაბორალი-ალიკანტე | 65:55 |
| ვალენსია-ბარსელონა | 68:72 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ფენერბაჩე-თურქ ტელეკომი | 64:83 |
| ალიაგა-ანთალია | 89:76 |
| გალათასარაი-ანადოლუ | 61:69 |

**ჰოკეი**

**ევროტური**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ჩეხეთი | 2:1 |
| ფინეთი-შვედეთი | 3:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. პარიზი**

| | |
|---|---|
| ფედერერი-ბერდიხი | 6:4, 6:3 |
| ცონგა-ისნერი | 3:6, 7:6, 7:6 |
| ფედერერი-ცონგა | 6:1, 7:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი


მარკესს ასეთი დარტყმა ბევრი ჰქონდა

# პაკმენის საეჭვო გამარჯვება

გუშინ ლას ვეგასში გამართულ „წლის ბრძოლაში" ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებით დაამარცხა მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი** და შეინარჩუნა ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. აზიელი ბრძოლის წინ ულაპარაკოდ ფავორიტად იყო მიჩნეული, მაგრამ რინგზე არაფრით სჯობდა ნაკლებად რეკლამირებულ მეტოქეს.

ბრძოლა ნელ ტემპში დაიწყო. პაკიაო, რომლის ყოველ მოძრაობაში დამაჯერებლობა იგრძნობდა, მაშინვე დაეუფლა ინიციატივას, მაგრამ მარკესი ამისთვის მზად აღმოჩნდა. ის თავად არ უტევდა, მაგრამ არც „პაკმენს" აძლევდა თავისუფალი მოქმედების საშუალებას. მენი გარს უვლიდა მექსიკელს, თუმცა ზუსტი ძლიერი დარტყმა არ გამოსდიოდა.

ბუკმეიკერებს პაკიაო ფავორიტად ჰყავდათ გამოცხადებული, მაგრამ ორი რაუნდის შემდეგ ბრძოლა აბსოლუტურად თანაბარი იყო. მექსიკელი გულშემატკივრები კმაყოფილი უნდა ყოფილიყვნენ. მათმა კერპმა გაუძლო პაკიაოს სასტარტო ზეწოლას და მეათეწუთისთვის უფრო „თავხედურადაც" ამოქმედდა. მეოთხე რაუნდში „პაკმენმა" ერთი სერიოზული დარტყმა გაატარა, შემდეგ რაუნდში - კიდევ ორი. რინგის გვერდზე დიდ ეკრანზე გამეორებებისას მხოლოდ მარკესის კონტრშეტევებს აჩვენებდნენ.

მეექვსე რაუნდის წინ პაკიაო აშკარად შეშფოთებული ჩანდა. მექსიკელის წინაშე უპირატესობა მას არ ჰქონდა. ფილიპინელმა სისწრაფეში მომატება სცადა, მაგრამ მარკესი კარგად გრძნობდა მეტოქეს. დაცვაში მექსიკელი შესანიშნავად მოქმედებდა. ამასთან, მისი კონტრშეტევები კვლავაც სახიფათო იყო.

პაკიაოს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, უფრო მეტად ფლობდა ინიციატივას, მაგრამ მერვე რაუნდის ბოლოს ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ფილიპინელს უფრო მეტი დარტყმა ჰქონდა მილებული. ის აშკარად დამარცხების პირას იდგა.

დარბაზი საგიჟეთს დაემსგავსა. პუბლიკა დაულალავად ყვიროდა მარკესის სახელს და სენსაციის მოლოდინში იყო. მექსიკელი უკვე გმირი გახლდათ. ბრძოლის წინ ყველას ეგონა, რომ თუ მარკესი ექვს რაუნდს გაუძლებდა - ეს დიდი წარმატება იქნებოდა. სინამდვილეში კი მეცხრე რაუნდისთვის მას უფრო მეტი დარტყმა ჰქონდა შესრულებული, ვიდრე პაკიაოს.

ბოლო ორი რაუნდის წინ გაჩნდა ეჭვი, რომ მარკესს, შესაძლოა, ფიზიკურად ვერ გაეძლო. პაკიაო ამ მხრივ აშკარად უკეთ იყო მომზადებული. და მეათე რაუნდის ბოლოს შესამჩნევი იყო, რომ მარკესმა მართლაც შეანელა საკუთარი მოძრაობები. მაგრამ ამასთან, მენი აგრძელებდა ჰაერში მუშტების ფუჭქნევას, ხშირად აცილებდა მიზანს და ასეთი დარტყმები მას ძალიან ბევრი დაუგროვდა.

დასკვნით რაუნდში ყველა ელოდა პაკიაოსგან ფინალურ შტურმს, მაგრამ ფილიპინელმა მხოლოდ იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ საფინალო გონგამდე 36 წამით ადრე კბილსაცავი დაკარგა. მარკესმა გაძლო და გონგის შემდეგ საზეიმოდ ასწია ხელები თავს ზემოთ. პაკიაო კი რინგის კუთხეში მუხლებზე დაეცა და თვალები დახუჭა.

ტრიბუნებზე მაყურებელი აღფრთოვანებისგან ბლაოდა, მაგრამ როგორც კი მსაჯების გადაწყვეტილება გამოცხადდა, დარბაზში გამაყრუებელი სტვენა გაისმა. სამიდან ორმა მსაჯმა გამარჯვება ფილიპინელს მიანიჭა, ერთმა ფრე დააფიქსირა.

პაკიაო მაშინვე თავისი მოზეიმე გუნდის გარემოცვაში აღმოჩნდა, თუმცა ფილიპინელის თვალებში სიხარული საერთოდ არ იგრძნობდა. ის ყველაფერს ხვდებოდა. მარკესმა კი სომბრერო დაიხურა და რინგი სასწრაფოდ დატოვა. უკმაყოფილო მაყურებელი სტვენას განაგრძობდა. ყველასთვის ცხადი გახლდათ თუ ვინ იყო ნამდვილი გამარჯვებული.

● ფორმულა 1. აბუ დაბის გრანპრი

# რბოლა ჩემპიონის გარეშე

**სებასტიან ფეტელის** („რედ ბული") ნაადრევმა გავარდნამ **ლუის ჰემილტონს** („მაკლარენი") დამაჯერებლად მოაგებინა აბუ დაბის გრანპრი.

არადა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისთვის სეზონში რიგით მე-18 სარბოლო უქმეები შესანიშნავად იწყებოდა. გერმანელმა წელს მე-14 პოული მოიპოვა, რითაც გაიმეორა ლეგენდარული ბრიტანელის **ნაიჯელ მენსელის** რეკორდი ერთ სეზონში მოპოვებული პოულების რაოდენობით. თუმცა შაბათის კვალიფიკაციის შემდეგ ჰემილტონი დაიმუქრა, რომ სტარტიდანვე შეეცდებოდა ფეტელის გასწრებას. ბრიტანელი პილოტის ოცნება ასრულდა, მაგრამ მისი რეალიზაცია ისეთი არ გამოვიდა, როგორც მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონს ჰქონდა ჩაფიქრებული.

ჰემილტონმა წააგო სტარტი ფეტელთან, მაგრამ მეორე მოსახვევში გერმანელის „რედ ბული" მოულოდნელად ტრასიდან გავარდა - მიზეზი უკანა საბურავის მწყობრიდან გამოსვლა გახდა. გერმანელმა შეძლო ბოქსებამდე მისვლა, მაგრამ მექანიკოსებმა საბურავის დისკის დაზიანება დაადგინეს და სებასტიანმა რბოლის გაგრძელება ვერ შეძლო. ეს იყო ფეტელის პირველი დაუსრულებელი რბოლა 2011 წლის სეზონში.

ფავორიტის მოულოდნელი გავარდნის შემდეგ ლიდერი ჰემილტონი გახდა, მისმა თანამემამულემ **ჯენსონ ბატონმა** („მაკლარენი") კი ვერ შეძლო მეორე ადგილის შენარჩუნება: **ფერნანდო ალონსომ** („ფერარი") სლიპსტრიმის მეშვეობით გაუსწრო ბრიტანელს. **მარკ უებერი** („რედ ბული") არც ისე დამაჯერებელი სტარტის შემდეგ **ფელიპე მასას** („ფერარი") წინ მეოთხე ადგილზე დარჩა, ბრაზილიელის უკან კი დიდი ბრძოლა გამართა ორმა „მერსედესმა". **მიხაელ შუმახერის** აქტიური თავდაცვის მიუხედავად, **ნიკო როსბერგმა** მოახერხა წინ გასვლა.

რბოლის პირველ მონაკვეთში ჰემილტონმა განავრცო ალონსოზე მცირე უპირატესობა, თავად ფერნანდომ კი მოულოდნელად დიდი მანძილით ჩამოიცილა ბატონი. ჯენსონი რაღაც მიზეზის გამო ლიდერთა დუეტზე ნელა მოძრაობდა. „მაკლარენის" პილოტს ორჯერ შეუტია მარკ უებერმა, მაგრამ DRS-ის ზონაში ბატონი ახერხებდა დაკარგულის დაბრუნებას.

პიტსტოპების პირველი სერია დაახლოებით მე-15 წრეზე დაიწყო და პირველ რიგში, ის უებერის მექანიკოსთა შეფერხებით დაგვამახსოვრდა. ამის გამო ავსტრალიელმა არა მარტო დაკარგა ბატონის გასწრების შანსი, არამედ მასაც წინ გაუშვა. ასევე აღსანიშნავია **ადრიან სუტილის** („ფორს ინდია") წარმატება, რომელმაც მეშვიდე ადგილი წაართვა შუმახერს. სხვათა შორის შუმახერმა მეორე პიტსტოპების შემდეგ დაიბრუნა დაკარგული პოზიცია, თუმცა ფინიშზე წინ გაუშვა თანაგუნდელი როსბერგი. არადა, სეზონის ბოლოს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა საერთო ჩათვლაში ნიკოს გასწრების შანსი მიიღო - ამ ეტაპის წინ თანაგუნდელებს შორის სხვაობა მხოლოდ 5 ქულა იყო.

რაც შეეხება პოდიუმისთვის ბრძოლას, აქ მეტად სახალისო სიტუაცია მივიღეთ. მასამ ბოლო პიტსტოპზე შესვლა გაწელა და წინ გაუშვა ბატონი და უებერი. მარკმა კი სამი გაჩერების ტაქტიკა აირჩია, რათა ბოლო წრეზე „მედიუმის" საბურავი გამოეყენებინა. ამან ავსტრალიელს რამდენიმე სწრაფი წრის გავლის საშუალება მისცა, მაგრამ პოდიუმზე ასვლაში ვერ დაეხმარა. მართალია, მესამე პიტსტოპამდე უებერმა გაუსწრო ბატონს, მაგრამ ბოლო წრეზე მექანიკოსებთან ვიზიტის გამო დაკარგა მესამე პოზიცია. სამაგიეროდ, მასა ჩამოიტოვა უკან.

ლუის ჰემილტონმა კი დამაჯერებლად შეინარჩუნა პირველი პოზიცია. ალონსომ მეორე პიტსტოპი გვიან შეასრულა და შეეცადა აენერვიულებინა ლიდერი, მაგრამ რბოლის დასკვნით მონაკვეთზე ისევ რვა წამით ჩამორჩა „მაკლარენს". ასე რომ, ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ ლუისმა საკუთარი პრესტიჟის რეაბილიტაცია შეძლო და დიდხნიანი შესვენების შემდეგ პირველი მივიდა ფინიშთან. რბოლა საკმაოდ მდიდარი იყო საინტერესო მოვლენებითა და გასწრებებით, მაგრამ მთავარი აკლდა: პირველი ადგილისთვის ბრძოლა, რომელიც მაშინ დასრულდა, როცა ფეტელს უკანა საბურავი გაუსკდა.


ლუისმა დიდი უპირატესობით მოიგო

| აბუ დაბის გრან-პრი. XVIII ეტაპი | |
|---|---|
| იას-მარინა (55 წრე. 305.355 კმ) | |
| 1(2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:37.11,886 |
| 2(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +8,457 |
| 3(3). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +25,881 |
| 4(4). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +35,784 |
| 5(6). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +50,578 |
| 6(7). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +52,317 |
| 7(8). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +1.15,964 |
| 8(9). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +1.17,122 |
| 9(10). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +1.41,087 |
| 10(16). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | 1 წრე |
| 11(11). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 1 წრე |
| 12(23). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 13(12). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 14(24). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 1 წრე |
| 15(15). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 16(14). ბრუნო სენა (ლოტუს-რენო, ბრაზილია) | 1 წრე |
| 17(17). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 1 წრე |
| 18(18). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 2 წრე |
| 19(19). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 2 წრე |
| 20(22). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია) | 2 წრე |
| 21(20). დანიელ რიკარდო (HRT F1, ავსტრა) | 7 წრე |
| 22(13). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 35 წრე |
| 23(21). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 36 წრე |
| 24(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 53 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 374 (11 მოგება); 2. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 255 (3); 3. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 245 (1); 4. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 233; 5. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 227 (3); 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 108; 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 83; 8. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 76; 9. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 36; 10. **ნიკ ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო, გერმანია) - 34; 11. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 34; 12. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 28; 13. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 26; 14. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 23; 15. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 15; 16. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 14; 17. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 4; 18. **ბრუნო სენა** (ლოტუს-რენო, ბრაზილია) - 2; 19. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 607 ქულა; 2. **მაკლარენი** - 482; 3. **ფერარი** - 353; 4. **მერსედესი** - 159; 5. **ლოტუს-რენო** - 72; 6. **ფორს ინდია** - 57; 7. **ზაუბერი** - 42; 8. **ტორო როსო** - 41; 9. **უილიამსი** - 5.

# ამერიკა აგვიანებს

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** აშშ-ის გრანპრის პერსპექტივების კომენტირებისას განაცხადა, რომ ამერიკელთა გეგმების რეალიზაცია რთულად მიმდინარეობს. ადრე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ორგანიზატორები ვერ მოასწრებენ ოსტინში მომავალი სეზონისთვის ტრასის აშენებას.

*„ჩვენ ვცდილობთ, მაგრამ ყველა სამუშაო რთულად მიმდინარეობს. გავაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით და შევეცდებით, რომ ოსტინში რბოლა დროულად გაიმართოს. არსებობს ორი შეთანხმება - ერთი ტრასის მშენებლებთან და მეორე - გრანპრის ორგანიზატორებთან. უბედურება იმაშია, რომ მათ დაავიწყდათ ერთმანეთში ყველა დეტალის მოგვარება. შეიძლება თუ არა დარწმუნებით იმის თქმა, რომ ამერიკაში რბოლა ჩატარდება? ვფიქრობ, მათ სურვილი აქვთ და იმედია, ინტერესთა კონფლიქტს მოაგვარებენ"*, - ამბობს ბრიტანელი ფუნქციონერი.

ამასთან, ბერნიმ კომენტარი გაუკეთა „სამეფო რბოლების" კალენდარში თურქეთის ეტაპის სავარაუდო დაბრუნებას.

*„მეეჭვება, რომ ფორმულა 1 თურქეთში დაბრუნდეს, თუმცა ასი პროცენტით ამის თქმა არ შეიძლება. პირადად მე მინდა იქ გრანპრი დავაბრუნო. შევეცდები მოველაპარაკო თურქეთის მთავრობას და შემდეგ გამოჩნდება ყველაფერი"*, - განაცხადა ექლსტოუნმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

